
მამული

№ 1(69) აგვისტო, 2012

მთავარი რედაქტორი **მანუჩარ კაჭახიძე**
EDITOR&PUBLISHER **MANUCHAR KATCHAKHIDZE**

ჟურნალის ამ ნომრის დაბეჭდვა შესაძლებელი გახდა „მამულის“ დიდი მეგობრის, ბატონ ილია ბარამიძის უშუალო ხელშეწყობითა და თანადგომით

ჩვენი სარედაქციოა: **ასავად-დასავალი**
მოგვწერეთ: **PO Box 13121, Jersey City, NJ 07303**
ტელ.: **1-347-724-0770**; თბილისიდან: **2-420-320**

ჟურნალი აკრებილია, დაკაბადონებულია, დაბეჭდილია და აკინძულია შეერთებულ შტატებში და ამ ნომრის გამოცემის დროს წარმოადგენს ერთადერთ ემიგრანტულ, ქართულ გამოცემას ა.შ.შ.-ში.

შინაარსი

5 **სიყალბის ელექსირი**
როცა ჟურნალისტი სტყუის!

15 **სახელი**
და ახალი უხერხულობა

16 **მარგარიტა**
უცნობი ქალი ფიროსმანის ნახატთან

19 **ომები „ფეისბუკში“**
ლანძღვის თავისუფლება!

20 **„ილუზიონი“ კაბადონებში**
ძეფირელის „ტრავიატა“

25 **ქართული როკი**
რა უშველის მას?

30 **ოქროს უნიტაზის ხიბლი**
პირდაპირ ყურება უნდა ვისწავლოთ!

33 **ჯეჯილი**
საყმაწვილო ჩანართი

37 **უბრალოდ, ბექა**
პატარა ბიჭუნა დიდ ქალაქში

40 **ჩუმი წასვლა**
რეზო ინანიშვილის მოგონება

42 **ასეთი არავისაც არ ჰყავს!**
კიდევ ერთხელ სამზითვო წიგნზე

44 **ვიქნები მისი პატარა!**
ბერას პორტრეტი - პატარა შტრიხებით

48 **ნომრის სტუმარი**
გაიცანით - ნანა ჯეჯელია!

54 **მასტერკლასი**
გურამ დოჩანაშვილთან

60 **ემიგრანტული პოეზია**
მონატრება პოეტურ სტრიქონებში

ბერდია
ბერიაშვილი

ქართველი

უცებ ცხელ გულზე დამადგეს ფეხი,
როცა მედეა მომგლიჯეს მკერდით.
ძველი ქართულით, ნუსხურ-მთავრულით
ბოლნისის ქვაზე ჩემს ვარამს ვწერდი.
ხელში ბატის ფრთით, გაშლილ ეტრატზე
მე სიყვარულის პოემას ვწერდი.
ჩემი ხატია, გულს მახატია:
იყალთო, გრემი და ალავერდი.
ზედ გულზე შემდგა მე თემურ ლენგი,
კოჭლი ფეხებით როცა გამთელა,
მაშინ მამულის საკურთხეველზე
ჩემი თითები ენთო სანთლებად.
მე თავი მედო გატენილ თოფზე,
მე ძილვფხიზლობდი, მე არ მეძინა.
ხან თეირანში და ხან სტამბოლში,
როგორც სამკაულს მყიდდნენ მე ძვირად.
ერთხელ ვარსქენმა თმებით მათრია,
განუკურნები დამრჩა იარა.
მაწამა და ვერ გადამარჯულა,
მომკლა და კერპებს ვერ მაზიარა.
გაზით დამგლიჯეს ათივე ფრჩხილი
და წამებული მიწოდა ხალხმა,
თუმც კაცი რაა, სიკვდილის წინაც,
მე დაჩოქილი ვერავინ მნახა!
ჩემს დაჩოქებას ნურცვინ მოელის,
უტეხი სული ჩემი განძია.
ასე ავაგე სვეტიცხოველი
და გამოვკვეთე კლდეში ვარძია.
ჩემს თვითეულ ქვას სიმღერა ჰქვია,
ჩემი ციხენი ძლევის ხმებია.
გულში მრავალჯერ მომარტყეს ტყვია,
ზურგში, - არც არვის უმიზნებია!
მე ტყვე ვიყავი ძალიან ხშირად
და არ ვიცოდი, რა იყო მონა.
თან წამოვიღე ფერეიდანში
ჩემი ქართული სიტყვების კონა.
ვერ ამომგლიჯეს პირიდან ენა -
შანთით, წამებით, მუქარით, ძღვენით
და... მღერის მთელი ფერეიდანი
ქართულ ჩონგურზე ქართული ენით.
ვერ დამავიწყეს ჩემი მამული,
ჩემებრ ტანჯული ქართული ენა,
მტერმა ვერასდროს გადამაგვარა,
მტერმა ვერასდროს გადამაშენა.
წიწამურს მომკლეს, ჰერეთს მაწამეს,
მიჯაჭვული და მკვდრეთით აღმდგარი.
ვუძლებდი ნგრევის წლებსა და წამებს
და ერთხელ მერქვა ჯურღაის ფარი.
ბევრჯერ მიმუხთლა ბედის სასწორმა,
რამდენს გავუძელ, რა შემძლებია, -
ჩემი სამგორის სამივე გორა
ჩემი სისხლი და ჩემი ძვლებია!
ამოვჭერ ქვაზე, ამოვჭერ ხეზე
და ყოველივე გულზე სწერია!
ამდენ ლეგენდებს და ამდენ ლექსებს
საქართველოზე მისთვის მღერიან.
თუკი სპარსეთის ტყვე მერქვა ერთხელ,
ბერლინზე დროშა მე ავიტანე.
და ვდგავარ, როგორც ალაზნის მუხა,
ნაგრიგალევი ძლიერი ტანით.
მქონია დარდი, ენით უთქმელი,
და არ ვქცეულვარ სევდა-წუხილად,
მე ერთ დღეს ვშობე დიდი რუსთველი,
საუკუნენი თავს რომ უხრიან.
ამირანის და არსენას დედა, -
ვინ გამაკვირვოს შვილთა დიდებით,
ცად და მიწად რომ მისი ხმა რეკდა
მე ისეთ ქართველს კიდევ გპირდებით.
მსურს კიდევ ახალ ხმებად დამრეკონ,
გპირდებით ახალ დავითს და საბას.
დე, კაბადონზე ცათა სამრეკლო
მათი დიდების ყვებოდეს ამბავს.
საუკუნენი მათ სადიდებლად
ყანწებით სვამდნენ ჩემს კახურ ღვინოს,
მეც ვიდგე, ვიდრე ქართველს ქართველის
ნამუსის ქუდი არ შემერცხვინოს!



❖ **მანუჩარ კაჭახიძე,**
ჟურნალ „მამულის“ რედაქტორი

იყო დრო, როცა სამუშაო დღის ბოლოს საბჭოთა მოქალაქე შინ დაღლილი ბრუნდებოდა და საფოსტო ყუთში გაზეთები ელოდა, სახლში კი ტელევიზია უმასპინძლდებოდა ახალ-ახალი ამბებით. გაზეთებში სტატიათა უმრავლესობას, როგორც წესი, კითხულობდნენ, უკანასკნელ ცნობებსაც (ასე ეძახდნენ მაშინ ახალ ამბებს), განსაკუთრებით მის პირველ ნაწილს ისმენდნენ.

მუშაობდა ფოსტა-ტელეგრაფი,

მუშაობდა რედაქციები,

მუშაობდა ტელესტუდიებიც.

საქმე იყო – ხალხიც ჩაფლულიყო თავის ყოველდღიურ საქმიანობაში. გვიან გულის გადასაყოლებლად გაზეთებს ათვალიერებდნენ და ტელევიზორს უყურებდნენ. ერთის სიტყვით, სისტემა აწყობილი იყო. არავინ არაფერს აპროტესტებდა, რადგან არავის სურდა ზედმეტად გადაეტვირთა თავი აზროვნებით.

ის კი ყველამ საუკეთესოდ იცოდა, რომ ტელევიზიაც და გაზეთიც სიმართლეს არ ეუბნებოდა. არც თვითონ იკლავდნენ მაინცა და მაინც თავს სიმართლის ძიებაში. პურის ფული ჰქონდა, უზრუნველი ხვალინდელი დღე გარანტირებულად გათენდებოდა. იმის იქით არც აინტერესებდა, რა ხდებოდა. ზედმეტად დაინტერესებულთათვის არსებობდა უტყუარი ინფორმაციის წყარო - ჭორი.

ამ მოსაწყენი ყოველდღიურობისგან ხდებოდა ხოლმე გადახვევაც, ასე ვთქვათ, განტვირთვაც - გაჩნდებოდა პრესაში რაღაც კრიტიკული სტატია და მთელი ქვეყანა გადაერთვებოდა, უკეთ რომ ვთქვათ, თავით გადაეშვებოდა მოცემული პრობლემის გარშემო.

მსჯელობდნენ, იწერებოდა კოლექტიური წერილები და მერე ყველაფერი ისევ თავის კალაპოტს უბრუნდებოდა. ზომიერება დაცული იყო, წესიერებაც ასე თუ ისე შესაბამისად... ყველამ იცოდა რეალობის დიქტატის არსებობის შესახებ, ყველაფერი ტრიალებდა მაგიური წრის გარშემო.

ხალხი გაგებით ეკიდებოდა რეალობის მსახურთ, მათ იცოდნენ, რომ ჟურნალისტებს სხვაგვარად არ შეეძლოთ მოქცევა, წესსა და რიგს ვერ დაარღვევდნენ. წესის დამრღვევი ნაზი შამანაური საგიჟეში გამოამწყვდიეს. ამ თანაგრძნობისთვის თვით ჟურნალისტებიც მადლიერები იყვნენ, მეტის მეტს რომ არ ითხოვდნენ მკითხველები. რისი გაკეთებაც შეიძლებოდა (და ამისი უფლებაც ჰქონდათ), აკეთებდნენ. ეს მადლიერება ჟურნალისტების მხრიდან არ იყო აფიშირებული,

სპონტანურად ხდებოდა ყველაფერი,

მათდა უნებურად,

არც კი იცოდნენ, როგორ.

უბრალოდ „ვგრძნობდი და გრძნობდა“-ს იდუმალი ურთიერთობა გაბმულიყო ჟურნალისტებსა და მკითხველებს (ტელემაყურებლებს) შორის. ასე მაგალითად:

„ჯაყოს ხიზნების“ ტელესპექტაკლად დადგმამ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია თავის დროზე;

სოლიკო ხაბეიშვილის დაპატიმრების შემდეგ ქართული მას-მედია წალეკა ათასგვარმა გამოხმაურებამ;

„თვითმფრინავის ბიჭების” საქმემ ლამის შეაზანზარა მძლეთამძლე შევარდნაძის ტახტი;

აბაშის ამბებმა საკავშირო სკანდალი გამოიწვია,

კონსტიტუციის მიღებამ ლამის სისხლისღვრამდე მიიყვანა საქმე, მაგრამ -

ყველაფერი იყო და არც არაფერი იყო.

ერთის სიტყვით ჩამოყალიბდა მყარი სტერეოტიპი მკითხველისა და ავტორების ურთიერთგაგებისა. ყველამ ვიცოდით, რომ ესა თუ ის მოვლენა შესაბამისი სცენარით უნდა წარმართულიყო, რადგან სხვანაირად არც შეიძლებოდა მომხდარიყო. ერთგვარი გართობაც იყო და თანაც დაფიქრებაც - ყოფიერებაზე, რა თქმა უნდა ზედა-

პირულად, მაგრამ მაინც დაფიქრება. ფიქრი კი ყოველთვის ისეთ სივრცეებში იჭრებოდა, რომლებიც ვერას გზით გაკონტროლდებოდა. ამიტომ ყოველთვის იყო მზად იდეოლოგიური მანქანა ადამიანთა ტვინები გაკვალულ რელსებზე შეეყენებინა და სადაც წაიყვანდა, ეს უკვე არც თვითონ იცოდნენ.

ვცხოვრობდით დღეის დღით, ხვალე კი ზრუნავდა ხვალისთვის.

ნაზი შამანაური

მასებს არ სურდა ცვლილებები, კმაყოფილდებოდნენ უზრუნველი დღევანდელობით. დედამიწის ერთი მეექვსედი სივრცე მათთვის იყო გადაშლილი და იტკბობდნენ მოჩვენებით კეთილდღეობას. პრობლემის პრინციპი სრულფასოვნად არ იყო გააზრებული მასაში.

თითქოს რეალობაც არაფერი იყო ცხოვრებისეულ ყოველდღიურობაში, თითქოს შეუფერხებლად მუშაობდა სახელმწიფო მანქანა პირველკაცებიდან ბოლოკაცებამდე -

ყველა თავისი მოვალეობით,

ყველა თავისი უფლებით.

ცოტაც და, კაპიტალიზმით გარემოცულ გვირაბის ბოლოს კომუნიზმის შუქი გამოჩნდებოდა, ერთგვარი მიწიერი სამოთხე... და ამის გულისათვის ყველანაირ მანკიერებაზე თვალის დახუჭვა სავალდებულო იყო.

ასე გამოვიარეთ ეს გვირაბი და გვირაბის ბოლოს, შუქი რომ ჩანდა კომუნიზმის, უფსკრული აღმოჩნდა მისი დამასამარებელი და ყველანი ერთად მასში ჩავიჩეხეთ. რა თქმა უნდა, მოულოდნელი იყო ასეთი დიდი იმპერიის ასე ერთბაშად ისტორიის სანაგვეში ჩახლეწვა. მიღებული შოკი მოსალოდნელზე აღმატებული აღმოჩნდა.

რეალობაში ვეძებდით იმ წარსული კეთილდღეობის ნამსხვრევებს, მაგრამ ვერ კი ვპოულობდით -

ერთი გაზეთი ამა თუ იმ მოვლენას ერთი თვალსაზრისით აშუქებდა,

მეორე გაზეთი სხვანაირად,

კიდევ სხვა - თავისებურად.

აზრები მკითხველ საზოგადოებაშიც იხლიჩებოდა და თანაც ისეთი სიმძაფრით, რომ სახეზე სამოქალაქო დაპირისპირება მივიღეთ. პლურალიზმმა თავისებურად ნეგატიური გავლენა მოახდინა საზოგადოებაზე, რადგან ხალხი მრავალფეროვნებასა და მრავალსახოვნობას არ იყო შეჩვეული. ამიტომ მტკივნეული გამოდგა ჩვენთვის ე.წ. დემოკრატიული მას-მედიის პირველი ნაბიჯები. თუმცაღა, სხვა ვითარება შენარჩუნდა ტელევიზიებთან მიმართებაში - სახელმწიფომ თავისი ცენზურა სწორედ მათზე დაამყარა, რათა იდეოლოგიის უმთავრესი რუპორი შეენარჩუნებინა და ამით ხალხისთვის უკეთ ამოედო ე.წ. პერესტროიკის დროს მიშვებული აღვირები. აზრობრივმა გაორებამ მკითხველში ინდიფერენტულობა გამოიწვია, ამან კი დაუკარგა პრესას თავისი მნიშვნელობა.

საზოგადოებამ მიაგდო გაზეთი და გაზეთთან ერთად წიგნიც, რამაც მასობრივი უწიგნურობა გამოიწვია. უკვე სახეზე გვქონდა ის ვითარება, როცა „ქვედაფენებს აღარ სურდათ ძველებურად ცხოვრება“, სამაგიეროდ ზედა ფენებს შესანიშნავად შესწევდათ ძალა ძველებურად ემართათ სიტუაცია და თანაც ისე ემართათ, რომ ასეთი ხალხი სათავისოდ გამოეყენებინა. მათ ხომ იცოდნენ საბჭოთა წნეხგამოვლილი ხალხის, ანუ მასების, იგივე ბრბოს ფსიქოლოგია... ყველაფერი ხელში ჩაიგდო ტელევიზიებმა და რასაც დაუკვეთავდა მთავრობა, იმას აკეთებდა, ანუ ტელეჟურნალისტებისთვის პირობითად არაფერი შეცვლილა, გარდა იმისა, რომ ერთი ცენტრალური ტელევიზიის ნაცვლად გაჩნდა რამდენიმე და კონკურენციისათვის ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ უცხოური შოუ-პროგრამების გადმოღებაში. საკუთარსა და ორიგინალურს არავინ სთავაზობდა მაყურებელს, ამ უკანასკნელისთვის კი ეს შოუ-პროგრამები უცხო ხილი იყო და სიამოვნებით ეწაფებოდნენ. ტელესერიალებმა კი სავსებით მოადუნა ხალხის აზროვნება და მიაჯაჭვა ყოველდღიურ უაზრობათა და უზნეობათა ავანტიურას, რაც ცხოველურ აზარტში გადაიზარდა საბოლოო ჯამში.

ხელმოცარულობა მხოლოდ უნიჭობაში არ გამოიხატება, ის ადამიანის ფსიქიკაზე მოქმედებს და მოქმედებს დამანგრეველი ძალით. მკითხველის დაჩლუნგებამ თავისთავად გამოიწვია მწერლისა და ჟურნალისტის დეგრადაცია. თუ მწერალმა იოლად შეაფარა თავი ფანტაზიას, ჟურნალისტი (და განსაკუთრებით პრესის ჟურნალისტი) მწარე რეალობის წინაშე დადგა, რასაც ჰქვია გაკოტრება. ბოლოს გამოსავალიც იოლი იპოვა, ისეთი, საკუთარი თავი რომ არ ამოეჭამა დაგროვილი ნეგატიური ემოციებისაგან. ჟურნალისტებმა ერთი ხანი დაიწყეს პამფლეტებისა და სატირული სტატიების გამოქვეყნება. მიზანი იყო ქილიკი ყველაფრის მიმართ, რაც მათ გარშემო ხდებოდა და ყველასი, ვინც მათ გარშემო ტრიალებდა.

ამ ფუნქციებში არაფრის მიმართ ზღვარი დაცული არ ყოფილა. შევარდნაძის რეჟიმით გამოწვეულმა ნიჰილიზმმა სწორედ ამ ჟანრში იჩინა თავი.

არ იყო კრიტიკა,

იყო უსაშველო დაცინვა.

გაზეთს მოწყურებული მკითხველი ჩაეჭიდა ასეთი ხასიათის გაზეთებს და ერთი ხანი ასე გაგრძელდა, მაგრამ ესეც ხელოვნური ნაბიჯი იყო მხოლოდ კომერციული თვალსაზრისიდან ნაკარნახევი.

მანკიერება საზოგადოებაშიც იყო და ელიტაშიც, საწერი და საქილიკო ბევრი დაგროვდა. გადაწვდნენ ერსაც, ასეთი თვისებისანი ვართო. მაგალითებად ილიასა და აკაკის ცნობილი ლექსები მოჰყავდათ.

თუ იყო ილიას პუბლიცისტიკა მწვავე, მისი ლექსი „ბედნიერი ერი“ ერის სახის წარმომჩენი, აკაკიც თუ ამბობდა „ფურთხის ღირსი ხარ შენ საქართველოვ“-ო, ამას იმისთვის არ ამბობდნენ, რომ ვინმეს ამ ნათქვამზე გაცინებოდა, ისინი წერდნენ მხოლოდ გულისტკივილით, თუ როგორები არ უნდა ვყოფილიყავით.

აქ კი სხვა არაფერი იყო, თუ არა დაცინვა. ჟურნალისტების ეს ზნედაცემულობა, რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, მწერლობასაც გადაედო. ზეიმობდა სრული უმეცრება და დაგვცინოდა ყველა - მტერიც და მოყვარეც.

იქნებ ღირსებიც ვიყავით –

მკითხველიც და ჟურნალისტიც,

მაგრამ გულსატკენია თვით ფაქტი. ამის საფუძველზე ევროპამ არშემდგარ სახელმწიფოდ გვაღიარა და კარტ-ბლანში მოქალაქეთა პარტიის უმწიფარა ახალგაზრდების ნეოკომკავშირულ ფრთას მისცა.

შევარდნაძით უკმაყოფილოთა რიცხვი დღითი-დღე

მატულობდა. გაზეთებმაც მოუხშირეს ზვიად გამსახურდიას აპოლოგიას, რათა ზვიადისტების გული მოეგოთ, რიცხობრივი სიმრავლისათვის იყო ეს საჭირო და თანაც სამართლიანობის იმიჯის შესაქმნელად (ესეც ერთგვარი დაცინვა იყო იმ დიადი იდეისა, რასაც საქართველოს პირველი პრეზიდენტი ემსახურა და რასაც თავი შესწირა საბოლოოდ). სამაგიეროდ ფანატიკოსთა მთელმა არმიამ თავშესაფარი ჰპოვა რედაქციებში. ამით ყველაზე უკეთ „თავსაფრიანი დედაკაცი“ სარგებლობდა და არქიფო სეთურივით თავის „მომხრეებს“ აგრესიული ნაბიჯებისკენ მოუწოდებდა. შევარდნაძე კი ბერდებოდა და სიტუაციაზე კონტროლს ეტაპობრივად კარგავდა, მღვრიე წყალს კი საეჭვო რეპუტაციისა და ფსიქიკის „მეთევზეები“ შეესიენ.

როდესაც დეზინფორმაციის მანქანამ - ტელევიზიებმა ხალხში ავტორიტეტი დაკარგეს და სიმართლის ძიებისთვის მასამ ისევ გაზეთებს მიაშურეს, პრესის მზარდმა რეიტინგმა შეაშინა თვით ხელისუფლებაში მოსასვლელად გამზადებული ნეოკომსომოლები. საგაზეთო ჯიხურებიდან ყველასათვის უჩუმრად გაქრა ერთადერთი ოფიციალური ოპოზიციური გაზეთი „იბერია-სპექტრი“, ცოტა უფრო ადრე საქართველოში შემოდინება შეწყდა გაზეთებისა „აღდგომა“ და „საქართველოს სამრეკლო“, რომლებიც არალეგალური არხებით იბეჭდებოდა ჯერ ზუგდიდში, შემდეგ გროზნოში და ნებართვის მიღების შემდეგ თბილისში (ისიც მხოლოდ „საქართველოს სამრეკლო“). დანარჩენი გაზეთები კი ან ფეხის ხმას იყვნენ აყოლილნი ანტიშევარდნაძისტული განწყობილების შესაქმნელად, ან დარაზმულად ებრძოდნენ დამხობილი ხელისუფლების მომხრეთა რადიკალური შინაარსის პუბლიკაციებს. ყველაფერმა ამან ერთობლიობაში ის განაპირობა, რომ ბეჭდვითი მედიის პროდუქცია თანდათან გაკოტრების პირას დადგა.

მომხრეები მომხრეებად რჩებოდნენ, ხოლო ვისაც ნეიტრალური დამოკიდებულება ჰქონდა პოლიტიკის მიმართ, ან საერთოდ განზე იდგა ყოველგვარი პოლიტიკური შეხლა-შემოხლისაგან, იმათთვის ყველანაირი გაზეთი უინტერესო გახდა. ასეთი ხალხი ქვეყანაში უმრავლესობა იყო, ხოლო ნათქვამი რომაა „უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონენო“, ნეოკომსომოლებმა ეს ხალხი ტელევიზიების მეშვეობით თავისკენ გადაიბირეს და საჭიროების შემთხვევაში „ქუდზე კაცის“ დაძახებისას, როგორც ერთნი, ისე უნდა დამდგარიყვნენ ფსევდორევოლუციის მოსახდენად. ამ მიზნით ერთ დროს რეგიონული მნიშვნელობის ტელევიზია რუსთავიდან თბილისში გადმოიტანეს, სახელწოდება შეუნარჩუნეს - „რუსთავი-2“.

აღარავის სურდა თავისუფალი აზრის მოსმენა, ისედაც ტელევიზიების მეშვეობით თოქ-შოუებსა და ტელეგადაცემებში იყო განუწყვეტელი ლანძღვა ხელისუფლების, ისევ და ისევ ხალხის გულის მოსაგებად. ყველაფრის უკან ახალგაზრდა „შევარდნაძეები“ იდგნენ. ხალხს ისე ჰქონდა თვალები დაბრმავებული, რომ რეალობის სიბინძურეს ვერ აღიქვამდნენ. მთელი აქცენტი გადაატანინეს კორუმპირებულ ჩინოვნიკებზე, მთავარი უბედურება კი საგანგებოდ მიჩქმალეს –

სისტემა აპირებდა თავის გადარჩენას ახალი ძალების მეშვეობით, სისტემა, რომელმაც დაშალა საქართველო და გახრწნა საზოგადოება.

რევოლუციურ აღტკინებას ხელოვნურად ჩამოაცილეს პრესა, რადგან დაბეჭდილი სიტყვიერი მასალა, მართალია, მყარი დოკუმენტი იყო არსებულ ხელისუფლებასთან საბრძოლველად, ასევე ისტორიისათვისაც ფასდაუდებელი კომპრომატი გახდებოდა მათი დაწერილი მათსავე საზიანოდ, რომელიც სრულიად თავისუფლად შეიძლებოდა შეენახა ნებისმიერ მკითხველს საკუთარ სახლში, ტელედოკუმენტები კი სად, თუ არა საარქივო შენობა-დაწესებულებებში შეინახებოდა, იქამდეც თუ მიაღწევდა.

კარგად გაითვალისწინეს გარდასული ეპოქების მაგალითებიც, თუ რა ძალა ჰქონდა პროკლამაციებსა და გაზეთებში დაბეჭდილ მანიფესტებს.

გაზეთები წყობიდან გამოიყვანეს.

იმ დროინდელ პერიოდიკაში არ აისახა, ან არ ასახეს სრული ვითარება და ამით ტენდენციურობას შეუწყვეს ხელი. ყველამ იცოდა, რომ შევარდნაძე მიდიოდა, მისი დრო ამოიწურა, და მიტომ. სამაგიეროდ ცოტამ თუ იცოდა და ამის თაობაზე დუმდნენ, შევარდნაძის ნაცვლად შევარდნაძე რომ მოდიოდა, ახალი უფრო მეტად დამანგრეველი ძალით. დუმილისათვის, ან ნახევრად სიმართლისათვის, ან სულაც სიყალბისათვის გაზეთებმა განსაკუთრებით კი იმ გაზეთებმა, რომლებსაც თავისუფალი პრესის ამბიცია გააჩნდა, თავისი ზღვეს - ისინი სრულად გარიყულები დარჩნენ საზოგადოებისაგან.

იმისათვის, რომ არსებობა შეენარჩუნებინათ, ისინი დიდ ჰოლდინგ-კომპანიებს შეერწყნენ, უფრო სწორად შეეფარენ. წამგებიანი პრესის ქონება ვერაფერი ხეირია - ყვითელი პრესისთვის დამახასიათებელი მყვირალ-მყვირალა სათაურებით, უშინარსო და არაფრისმომცემი სტატიებითა და ინტერვიუებით ჟურნალ-გაზეთები თავს ვერ ირჩენენ, ვერც შოუ-ბიზნესის მყვირალა სახელების სათაურად გამოტანით და მათი პიკანტური ამბების სკანდალად მონათვლით ჰოლდინგ-ბრენდებს ვერ მოხიბლავ და თვალს ვერ აუხვევ, ფერად სათვალედ ვერც ცნობილ ადამიანთა ნაკლებად ცნობილი ფაქტების გამომზეურება გამოდგება. ეს, რა თქმა უნდა, რაღაც ხნით ითამაშებს მკითხველისა და ბოს-პატრონების გასაბრიყვებლად. ბოლოს და ბოლოს დამშეული, თუ ნახევრად დამშეული მკითხველისთვის შვებისმომგვრელი კი არა, გამაღიზიანებელი ფაქტორია მხოლოდ და ვერც ვერაფერი ნუგეშია საზოგადოებისთვის ესა და ეს მომღერალი

აქ გაერთო, თუ იქ წავიდა დასასვენებლად,
ვინ ვის რა საჩუქარი გაუკეთა,
ვინ ვის დაუდგა საყვარლად,
ვინ როდის გათხოვდება და
ვინ როდის შეირთავს ცოლს,
ვინ არის შეყვარებული და
ვინ - განქორწინებისთვის ემზადება.

ასეთი მდორე ხარისხის მასალით რედაქციები აგებენ თავიანთ საგამომცემლო პოლიტიკას და ბევრსაც **აგებენ**, რადგან ყალბი რეკლამა ამა თუ იმ „ცნობადი სახეებისა“ მეტისმეტად აღიზიანებს მკითხველს.

როგორია -

შენ დღეს ლუკმას ეძებდე და ამ დროს წაიკითხო გაზეთში მსხვილ-მსხვილი ასოებით დაბეჭდილი მოკლე ტექსტური შეტყობინება – ესა და ეს არ კადრულობს ამა და ამ რესტორანში, ან კაფე-ბარში, ან ღამის ბარში სიარულს და მას ურჩევნია მოკრძალებულად პარიზის რომელიღაც სასადილოში დროის გატარება.

მერწმუნეთ, ნამდვილად გამაღიზიანებელია ყველაფერი ეს. გამოდის, ჟურნალ-გაზეთების უმრავლესობა ადამიანთა ფსიქიკაზე თამაშობს მხოლოდ იმისთვის, რომ დამკვეთის ყველანაირი კაპრიზი შეასრულოს, ხოლო ეს დამკვეთი იგივე რესპოდენტია, ან ჟურნალის მორიგი ნომრის სტუმრად მოვლენილი „ცნობადი სახე“. რეკლამა ასეთ შემთხვევაში ანტირეკლამის ელფერს იძენს და მკითხველს აგრე-

სია უჩნდება არათუ მხოლოდ პერიოდიკის, არამედ თვით იმ „ცნობადი სახის“ მიმართაც. ასეთი დაკვეთები არც პროფესიონალიზმის მაჩვენებელია, არც ინტელექტის (ამ მხრივ შეიძლება პარალელები გავავლოთ დამკვეთსა და ჟურნალისტს შორის), უბრალოდ სრული პროვინციალიზმი მეფობს ყვითელ პრესაში. ყვითელი პრესისგან სხვას რას უნდა ველოდოთ, მაგრამ უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ თითქმის ყველა გაზეთი და ჟურნალი მთელს ქვეყანაში ყვითელ პრესად ქცეულა და ვერ ნახავ აზრიან გაზეთს, სანლითი რომ ეძებო, მაინც.

მასობრივი ინფორმაციის საშუალება კი არა, ერთეულების ნება-სურვილის გამომხატველი პროდუქციაა, რომლის საშუალებითაც ამა თუ იმ „ცნობადმა სახემ“ თავი უნდა მოიწონოს ტფილისურ ბომონდში –

აი, ჩემზე ეს სკანდალი ააგორეს,

ჩემზე ამას წერენ,

ჩემზე ამა და ამ ჟურნალში შიშველი ფოტოები დაიბეჭდა და ა.შ.

რა გინდა, რას ერჩი, ასე ერთობა სატახტო ქალაქის თავცარიელი ელიტა, არ ვიხმარ სიტყვას „ინტელიგენცია“, რადგან მეტისმეტი შეურაცხყოფა იქნება ამ სიტყვის.

მკითხველი საზოგადოებისათვის კომპენსაციის სახით ერთი ფრიად საინტერესო პროექტები შეიმუშავეს მედია-ჰოლდინგების მესვეურებმა და სხვათაშორის საკმაოდ წარმატებულადაც. ყვითელი პრესის გასაღების მიზნით მოცემულ ჟურნალ-გაზეთებთან ერთად დაიწყეს გამოცემა წიგნების სერიებისა, რაც საკმაოდ აპრობირებული მეთოდია ევროპასა და ამერიკაში.

ასე მაგალითად –

ერთხანს იბეჭდებოდა სერია „ქართული მწერლობის ნიმუშები“ (სულ გამოვიდა სამოციოდე ტომი),

ამას მოჰყვა სერია - „ჩემი რჩეული“, სადაც გამოიცა ვაჟა-ფშაველას ხუთტომეული, მიხეილ ჯავახიშვილის შვიდტომეული, გალაკტიონ ტაბიძის ხუთტომეული, ოტია იოსელიანის ექვსტომეული, ლადო ასათიანის ორტომეული, გურამ რჩეულიშვილის ექვსტომეული, ნოდარ დუმბაძის ექვსტომეული, იოსებ გრიშაშვილის ოთხტომეული, ილია ჭავჭავაძის ექვსტომეული და ა.შ.,

გამოდის ქართული მწერლობის საუნჯე 25 ტომად,

მსოფლიო კლასიკის სერია 50 წიგნისგან გრიფით „წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ“ (დაბეჭდილია ბალზაკი, ჯეკ ლონდონი, შოთა რუსთაველი, ალექსანდრე დიუმა, უილიამ შექსპირი და სხვა მრავალი), ცალკე სერიებად გამოდის ბიოგრაფიული და მემუარული ლიტერატურა საერთო გრიფით: „ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო“ (სერია შედგება 100 წიგნისგან, სადაც უკვე გამოსულია წიგნები მაჰათმა განდის, ფრანსისკო ფრანკოს, უინსტონ ჩერჩილის, მიგელ დე სერვანტესის, კარდინალ რიშელიეს, გაბრიელ გარსია მარკესის, ნაპოლეონ ბონაპარტეს, ვაჟა-ფშაველას, რომის კეისრების, მუსტაფა ქემალ ათათურქის, კოკო შანელის, ჩარლი ჩაპლინის, მარკო პოლოს, ბითლზების, ალფრედ ნობელის, რონალდ რეიგანის, რუალ ამუნდსენის, ჩინგიზ ხანის, ფრანკლინ რუზველტის, ნიკოლო პაგანინის, ალფრედ აინშტაინის შესახებ).

აგრეთვე იცემა სერია „დიდი ქართველები“, რომელთა თექვსმეტი ტომი უკვე გამოცემულია ბიოგრაფიის სახით ექვთიმე თაყაიშვილის, კალისტრატე ცინცაძის, ერეკლე II-ის, ამბროსი ხელაიას, დიმიტრი ყიფიანის, ვახტანგ VI-ის, ილია ჭავჭავაძის, ნიკო ფიროსმანის, ნიკო ნიკოლაძის, აკაკი წერეთელის, ანტონ II კათალიკოსის, ვაჟა-ფშაველას, დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის, სოლომონ I-ისა და სოლომონ II-ის შესახებ.

ცალკეულ კრებულებად გამოდის (რა თქმა უნდა, ჟურნალების დანართების სახით) „1001 ღამე“, უკვე გამოცემულია კონსტანტინე გამსახურდიას დავით აღმაშენებელი (8 ტომად), ამჟამად გამოდის ლევან გოთუას „გმირთა ვარამი“ (ესეც 8 ტომად) - ეს უკანასკნელნი ჟურნალ „ისტორიანი“-ს დანართის სახით.

სულ ახლახანს გამომცემლობა „პალიტრა L“-მა სხვა გამოცემებთან ერთად დაიწყო ახალი სერიის გამოცემა გრიფით „დიდ კინოდ ქცეული წიგნები“.

რა დასკვნის გამოტანა შეიძლება არსებული ვითარებიდან –

უდავოდ მისასალმებელი ფაქტია და მხარდასაჭერია ყველა ხსენებული პროექტი, რადგან ეს სერიები, ასე თუ ისე, მაინც ხელმისაწვდომი ხდება მასიური მკითხველისთვის. ზოგიერთი წიგნი და მით უმეტეს ავტორი (მაგალითისთვის ჯორჯ ორეული, საბჭოთა კავშირში აკრძალული მწერალი იყო და მისი რომანები მხოლოდ დისიდენტურ პრესაში იბეჭდებოდა) პროფესიონალი მკითხველისთვისაც კი ხელმიუწვდომელი იყო, აგრეთვე დიდი დაბრკოლებები არსებობდა ე.წ. დეფიციტურ ავტორებზე, რომელთა წიგნები მხოლოდ გამოწერით მოდიოდა, ხოლო გამოწერა სამსახურებში ხდებოდა იერარქიული კიბის მიხედვით ზემოდან ქვემოთ. ჩამონათვალში მსოფლიო კლასიკა პირველ რიგში ეკუთვნოდა პარტიული ჩინოვნიკების მაღალ ეშელონებს, საბჭოთა კლასიკა უფრო ფართო წრეზე ვრცელდებოდა, ხოლო თანამედროვე (იმ დროისთვის) ლიტერატურა, რომელშიც მაკულატურაც ბევრი იყო და ღირებულიც, ყველას შეეძლო შეეძინა.

ასე რომ, მკითხველთა ფართო წრე ვერას გზით გაეცნობოდა დანტეს „ღვთაებრივ კომედიას“, სერვანტესის „დონ კიხოტს“, ჰომეროსის „ილიადასა“ და „ოდისეას“ და სხვ. ასეთს მრავალს. თანაც როგორც წესი ამ წიგნების უმრავლესობა რუსულად თარგმნილი ჩამოდიოდა საბჭოეთის პერიფერიებში. ქართული თარგმანებით მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა მოგვიანებით გახდა ხელმისაწვდომი მკითხველთა ფართო წრისათვის და ესეც მაშინ, როცა სერიის ნახევარზე მეტი უკვე გამოცემული იყო. საბჭოეთი ცდილობდა ქვეყანაში მასიური უციდონარობა და უწიგნურობა ყოფილიყო, რათა იოლად ემართათ ბრბოდ ქცეული მასა. მიუხედავად იმისა, რომ სწავლა-განათლება უფასო იყო საბჭოეთში, ერუდირებული პიროვნება თითზე ჩამოსათვლელნი იყვნენ და მათ სპეცსამსახურები განსაკუთრებულად მეთვალყურეობდნენ. მხოლოდ ელიტას და მის კომსომოლა შვილებს უნდა სცოდნოდათ სრულფასოვნად შარლ ბოდლერი და ედგარ ალან პო, რიუნოსკე აკუტაგავა და ლიონ ფოიხტვანგერი, ჰერმან ჰესსე და რაინერ მარია რილკე და სხვა მრავალი... ფლობერის „მადამ ბოვარის“ იქით ჩვეულებრივ მოკვდავს ცხვირს არ აყოფინებდნენ. საზოგადოებაში იმიჯის შესაქმნელად მხოლოდ პარტიის ნომენკლატუროვიჩებს უნდა სცოდნოდათ ფრანც კაფკა და ერიხ მარია რემარკი, უნდა წაეკითხათ ორიგინალში თუ არა, რუსულ თარგმანში მაინც იმხანად აკრძალული ამერიკული პოეზიის კლასიკოსები უოლტ უიტმანი და ტომას ელიოტი, იქამდე თვითონვე მიუწვდებოდათ ხელი მათ მიერვე აკრძალულ ბორის პასტერნაკსა და ალექსანდრე სოლჟენიცინზე, თვითონვე იზეპირებდნენ ვლადიმერ ვისოცკისა და იოსიფ ბროცკის ლექსებს, ღამეებს ათევდნენ ვლადიმერ ნაბოკოვის „ლოლიტას“ კითხვაში, ჩვეულებრივ მოქალაქეს კი მათი სახე-

ლები და გვარებიც კი არ უნდა სცოდნოდათ. ისინი რომ დაიწყებდნენ რაიმეზე მსჯელობას, შენ პირდაღებულს უნდა გესმინა მათთვის და გეთქვა –

ეს რა განათლებული შვილი ჰყავს ამხანაგ ამას და ამასო... აი, პოლიტიკა, აი, განათლება, საბჭოური, „თანასწორუფლებიანი" განათლება...

მხოლოდ სამადლოდ მოგვიგდებდნენ გახრწნილი გორკის „პესნია ო ბურევესტნიკეს" და უნდა გვეზეპირებინა ის. ლამის იყო თოფით დასდევნენ გერონტი ქიქოძეს, ესაო-და რაიმე ანტისაბჭოური არ თარგმნოს და არ გაგვაპაროსო. დანის პირზე იარა კონსტანტინე გამსახურდიამ დანტესა და გოეთეს თარგმანის დროს. რომ არა გალაკტიონი, ვერლენი არ გვეცოდინებოდა, პაოლო იაშვილის დიდის მეცადინეობით შემოვიდა ჩვენში ბოდლერი და ისიც მივიწყებას მიეცა 1937 წლის შემდეგ, საბჭოეთის თითქმის მთელი არსებობის მანძილზე.

ერთი იყო - გაბრიელ-გარსია მარკესი დაუბრკოლებლად შემოვიდა საბჭოთა ყოფიერებაში და იმთავითვე დაიპყრო მკითხველი საზოგადოების აზროვნება და შეიქმნა დიდი მწერლის იმიჯი. ეს იმიტომაც მოხდა, რომ იგი ასე თუ ისე მაინც ნეიტრალური იყო საბჭოეთის მიმართ, თანაც მწერალი კოლუმბიის პრომერიკული ორიენტაციის მთავრობის მსხვერპლი იყო. „მტრის მტრის მოყვრობის" ფორმულამ ითამაშა თავისებური როლი, რათა „მარტოობის ას წელს" შემოეღწია საბჭოეთში. ნობელის პრემია მარკესისთვის არ ყოფილა საშვი საბჭოეთში. ნობელს იმხანად ბევრი იღებდა, მაგრამ ასე გულღიად არ ხვდებოდნენ საბჭოეთის **ბებერი მეზრუნეები**. ასევე იყო ერნსტ ჰემინგუეის მიმართაც, ოღონდ ხრუშჩოვის პირველ პერიოდში, ვიდრემდე სრულფასოვნად გაიაზრებდნენ, რა დაწერა თავის რომანში „ვის უხმობს ზარი". ამ შემთხვევაშიც ცენზურის ქვენა გრძნობამ ითამაშა გადამწყვეტი როლი და არა ნობელის პრემიამ, თუნდაც ფიდელ კასტროსთან მწერლის მეგობრულმა ურთიერთობამ. საერთოდ, საბჭოთა მთავრობებისთვის ნობელის პრემია ინდულგენციას არ წარმოადგენდა და ნობელიანტები დაზღვეულნი არაფერში იყვნენ საბჭოთა სივრცეში.

ერთის სიტყვით, მედია-ჰოლდინგის მთავარი „კოზირი" არის არა თვით ჟურნალ-გაზეთების შიგთავსი, არამედ კლასიკოსთა შემოქმედებითა და ბიოგრაფიებით მანიპულირება. ძნელი სათქმელია, ამით მას სურს, იმ დაკარგული წლების კომპენსაცია გასწიოს, თუ მხოლოდ ბაზრის მოთხოვნილება დააკმაყოფილოს. ცხადია, რომ მედიაბიზნესს კარგადა აქვს გასიგრძეგანებული მკითხველის მოთხოვნა და ინტერესები –

რაც შეიძლება იაფად (ხელმისაწვდომად) და

რაც შეიძლება ისეთი ლიტერატურა მისცეს მკითხველს, რაზეც ვერც კი იოცნებებდა კომუნისტურ პერიოდში. სამაგიეროდ, იშვიათი გამონაკლისის გარდა ჟურნალ-გაზეთები არც კი გადაიშლება, იმდენად უშინაარსონი არიან.

იშვიათი გამონაკლისი-თქო, ვამბობ და ამაში ჟურნალ „ისტორიანი"-ს ვგულისხმობ, სადაც დანართ ლიტერატურას (კონსტანტინე გამსახურდიას „დავით აღმაშენებელი" და ლევან გოთუას „გმირთა ვარამი") ჟურნალის ძირითადი მასალა არაფრით ჩამოუვარდება და შეიძლება ითქვას ისიც, რომ კარგი მწერლისთვის ამ ჟურნალში გამოქვეყნებული მასალები უთუოდ ლიტერატურულ კონსპექტად იქცევა მომავალი ნაწარმოებებისთვის. აი, ხსენებული დანართები ნამდვილად ასრულებენ თავის მისიას (დანართობას), სხვა გაზეთებსა და ჟურნალებში

დანართებად წოდებული წიგნები ძირითადი შემოსავლის წყაროა გამომცემლობებისთვის, ხოლო პერიოდიკა კი სწორედ რომ დანართად ქცეულა.

მე არაფერს ვამბობ ისეთ ჟურნალ-გაზეთებზე, რომელთაც არ სჭირდებათ დანართებით მანიპულირება და ისინი თავისი სტატიებით ასე თუ ისე მაინც ახერხებენ საბაზრო ეკონომიკასა და სახელმწიფო წნეხის გარღვევას.

უზნეობის საკვიზიტო ბარათი

დღევანდელი ტექნიკური პროგრესის ეპოქაში ჟურნალისტიკის ბირთვს მაინც ტელეჟურნალისტიკა წარმოადგენს. თავისთავად ვეღარ ვიხელმძღვანელებთ გარდასული დროების პრინციპებით, სადაც ცინცხალი ამბები და საპოლემიკო პუბლიცისტიკა გაზეთების ფურცლებიდან შემოდიოდა ადამიანთა ყოფიერებაში.

ნივთიერი მასალა შეცვალა ვიზუალურმა,
თანაც ამ სიახლემ ადამიანი გააზარმაცა,
მოადუნა, სრულად მიენდო ვიზუალს.

მაგრამ უნდა ითქვას ისიც, რომ ერთმა მეორე ვერ ჩაანაცვლა. ამის დასტური თუნდაც იმ ყვითელი პრესის მიმართაც მინავლებული, მაგრამ მაინც ინტერესის გამოხატულებაა. ერთი ცდილობს შეინარჩუნოს პოზიციები, რათა არ დაკარგოს მომთხოვნი, ამ დროს კი მეორე სულ სხვა გზითა და მეთოდებით ვითარდება (ამ სიტყვას მოცემულ შემთხვევაში ვიყენებ როგორც პირდაპირი, ასევე გადატანითი, ამ შემთხვევაში, ირონიული მნიშვნელობით).

განვითარებამ არ იცის საზღვრები,
და თუნდაც ზნეობა.

იმისთვის, რომ დაიკავო ეთერი და დამოძღვრო საზოგადოება, ამისათვის არც პროფესიონალიზმია საჭირო და არც ინტელექტი. ამის ნათელი დასტური, შორს რომ არ წავიდეთ, დიმა ობოლაძეა. რა როგორ ხდება და რა როგორ ფუჭდება, არ ვიტყვი, უბრალოდ მის თითოეულ ქმედებას, ჟესტს, საუბარს უკომენტაროდ უნდა უყურო.

იგი არის იმის ეტალონი,
თუ როგორი არ უნდა იყო ჟურნალისტი,
როგორი არ უნდა ეჩვენო მაყურებელს,
როგორ არ უნდა ამოიღო ხმა ტელეეკრანებიდან,
როგორი არ უნდა იყო ზოგადად - პიროვნება.

უყურეთ და მისგან ისწავლით ამას. ზოგჯერ ანტირეკლამაც კი გამოდგება დიდაქტიკისთვის. ამით ამოვწუროთ დიმა ობოლაძეზე საუბარი და უფრო სერიოზული პრობლემები მიმოვიხილოთ.

ტელევიზიას აქვს ერთი ფრიად მნიშვნელოვანი შირმა, ჩვენში განსაკუთრებით გამძაფრებული ფორმით, -

ესაა საინფორმაციო საშუალების საკუთრების შეგრძნება. როგორ გხიბლავს და გათრობს, როცა იცი, რომ ათასი თანამშრომელი და თანაც მათი უმეტესობა „ცნობადი სახე“ გემსახურება შენ ერთს - მესაკუთრეს. ხანდახან იმასაც ვფიქრობ, ალბათ იმპერატორებს, სულთნებსა და კეისრებს არ ექნებოდათ ისეთი ცხოველი ტკბობა ცხოვრების სიამით, როგორც ეს ტელევიზიების პატრონებს გააჩნიათ. ისინი ყველაფერზე მიდიან, ლამისაა კალიგულას ცხენის კონსულობისა არ იყოს, თავიანთი შინაური ცხოველები ტელეპროდიუსერებად დააჯინონ. ეს კიდევ არაფერი, თვითონაც, ნერონის მსახიობობისა არ იყოს, თავი უბადლო და ერთადერთ ტელეწამყვანებად მიაჩნიათ.

განცხრომაა და მერე როგორი!..

და ეს მაშინ, როცა იურიდიულად ისინი შეიძლება არც კი ითვლებოდნენ ტელევიზიის მესაკუთრეებად, ან აქციათა მფლობელებად. იქნებ ითვლებიან კიდეც, მაგრამ ეს სააშკარაოზე არაა გამოტანილი.

ტელევიზიებმა თავისუფლება ორმხრივად დაკარგეს. მათგან არ გამოდის საღი აზრი, სინამდვილის აღქმა. „ტელევიზიონშჩიკები“ მათ მიერვე შექმნილ მირაჟებში ცხოვრობენ და არც უნდათ ამ მირაჟებიდან გამოსვლა, თავს ძალას ატანენ, რათა დაიჯერონ ეფემერების რეალურობა, რომ ცხოვრება სხვებისთვისაც ისეთივე საამურია, როგორც მათთვის.

აქ უკვე გონიერება და ფანტაზია წარმართავს ყველაფერს, უფანტაზიოდ და უგემოვნოდ შოუ არ ჩატარდება. აქ მთავარია ყველგან სუფევდეს მესაკუთრის იმიჯი - მედიდურობა. შოუს წარმოდგენისას ქვეტექსტად უნდა გასდევდეს იმპერატორული ნება-სურვილი, მადა, ლეიტმოტივად უნდა გასდიოს ყველასა და ყველაფერს ფულითი საზომი, ფული უნდა იყოს ჯებირი გარესამყაროსგან ხელშეუხებლობისა, ჩაკეტილმა სივრცემ უნდა უზრუნველყოს პროექტის წარმატებულობა (ჩაკეტილ სივრცეში ვგულისხმობ ტელესტუდიასა და გადაცემების ავტონომიას, ხანდისხან ეს ავტონომია სრულ დამოუკიდებლობას რომ უდრის). მხოლოდ ერთ რამეში არიან ყველანი ყურმოჭრილი მონები და ეს ერთი რამ არის ხელისუფლების ერთგულება (თავისუფლების საფასური).

ყველა, როგორც ერთი, მთავრობის ყველანაირი სისულელის გამმართლებლები არიან, იქნება ფანატიკოსები თუ საღად მოაზროვნენი, სულ ერთია, -

„როცა მოგვიხმობს პარტია,
აგუგუნდება მთა-ბარიო“, -

მღეროდნენ ძველად საშვიდნოემბრო და საპირველმაისო დემონსტრაციებზე რადიო-რუპორებში, ასეა ახლაც. იქნებ არ მღერიან, მაგრამ პარტია თუ მოუხმობს, ყველა ჟურნალისტი (წამყვანი თუ რიგითი) მზად არის თავი და ნაშიერი შესწირონ ჰალუცინაციურ იდეებსა და აზრებს.

ანაზდად მახსენდება ჰანს ქრისტიან ანდერსენის ზღაპარი „მეფის ახალი სამოსი“, როცა ბრიყვ მეფეს ვერავინ უბედავს უთხრას სიმართლე, სიმართლე კი ისაა, რომ მეფე შიშველია და მხოლოდ ქუჩაში მიმავალ სამეფო ესკორტს ვიღაც ბავშვი საქვეყნოდ და ყველას გასაგონად შესძახებს: „მეფე შიშველიაო!"

იმ ბავშვისთვის ეს გამბედაობა სულაც არ იყო,
უბრალოდ, რაც დაინახა, ისა სთქვა.

ამ შემთხვევაში კი ჟურნალისტისგან საჭიროა სამოქალაქო თავდადება თუნდაც საკუთარი კარიერის ფასად, რათა საყოველთაო გასაგონად იმ ბავშვივით დაიყვიროს - „მეფე შიშველიაო“. ამას კი ჩვენი ტელეჟურნალისტები ვერასოდეს გააკეთებენ, რადგან ის მესაკუთრობა მთავრობების წყალობითა აქვთ მოპოვებული. ასე რომ მოიქცნენ, დარჩებიან გატეხილი გობისამარა.

აი, ჩვენი ჟურნალისტების სინდის-ნამუსი სადამდე მიდის და რა „სასწაულებს“ ჩაიდენენ. ლუკმა პურისთვის ყველაფერი არ უნდა იკადრო.

იმის ნაცვლად რომ იყვირო: „მეფე შიშველიაო“, თვითონ იხდი და შიშვლდები, თუმნიანებზე დახარბებული კიკუსავით. აი, ესაა სხვაობა ჟურნალისტების ზნეობასა და უზნეობას შორის. ანაზდად მახსენდება შექსპირის საყოველთაოდ ცნობილი სონეტი, რომლის ფორმულირება სავსებით შეეფერება ჩემი და ჩემი კოლეგების ყოფას – „And purest faith unhappily forsworn...“ („რადგან სიცრუე ერთგულების გახდა თვისება...“).

„მეფე შიშველიაო“, - ამას ვერ იყვირებენ ჩვენი ტელეჟურნალისტები ორი მიზეზის გამო. ერთია ის, რომ გო-

ნიერება უნდა გაგაჩნდეს, რათა დაინახო სიშიშვლე.

მირაჟებით შემოსილი „მეფე“ კარგი საყურებელია, საამოა საცქერლად, მთავარი მომხიბლაობა მირაჟია, და მიტომ. მირაჟი სხვა არაფერია, თუ არა სიყალბე და სიცრუე. ეს თუ ვერ დაინახე და ვერ გაანალიზე, სხვაფრივ „მეფე“ შემოსილი გეგონება და მორალური უფლებაც არ გექნება სხვა რამ ამტკიცო. აქ მთავარი პრობლემა ჟურნალისტის უგუნურებაშია - უყურებს სიყალბეს და გულწრფელად ჰგონია, რომ ეს სინამდვილეა და სხვა არაფერი.

გულწრფელობა ერთია,
გულთამხილაობა,
გულთმისნობა - მეორე.

სწორედ ეს მეორე აკლია ქართველ ჟურნალისტთა კორპუსის უმრავლესობას. უგონო აზროვნებით საკუთარ თავსაც კი ავჯერებენ მირაჟებს და თვალი რომ აუხილო, მათში ეს გამოიწვევს რწმენის მოკვლის ტოლფას განცდებს. რაგინდ ნიჭიერი ჟურნალისტიც არ უნდა იყო და ამისდა მიუხედავად მაინც დაემონე ეფემერულ წარმოსახვებს, ყველაფერი გაიფანტება ბოლოს, რაც კი რამ შეგიქმნია ღირებული, ყველაფერი გაუფასურდება ერთი ხელის მოსმით, როდესაც დაგანახებენ, რომ „მეფე“ შიშველია და შენ ემსახურებოდი ამ სიშიშვლეს და შიშველი შენი სინდის-ნამუსით შემოსე.

ამას რომ გაისიგრძეგანებ და თუ ნამუსიანი ხარ, ის სინდისი მოგქენჯნის და გულწრფელად ინანებ არა იმ მსახურებას, რასაც წლები და ნიჭიერება შეალიე, არამედ თვით გამრუდებულ ნიჭიერებას. ვინძლო, ამ წუხილმა თვითმკვლელობამდე მიგიყვანოს (მრავალთა სიცოცხლე ასე დასრულდა. მაგალითად, სტალინის სიკვდილის შემდეგ, მესამე რაიხის ომში დამარცხების შემდეგ, საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ... და ა.შ.). ღმერთმა დამიფაროს, ამისკენ მოვუწოდო ვინმეს, საკუთარ თავს უნდა სძლიოს ყველამ, ვინც დღეს ბრმად და გაუაზრებლად ემსახურება მამონას, რათა მერე - ნგრევისას იმათი ბედი არ გაიზიაროს ვინმემ. არადა ჩვენ ეპოქათა აუცილებელი ნგრევის მოწმენი გავხდებით, პოსტსაბჭოური მენტალიტეტი შეიცვლება ადამიანთა ცნობიერებაში.

ასეთი ჟურნალისტის გულში ის ნამსხვრევი ბოროტების ლექად თუ დაბინავდა და სული დაუშალა, იგი ცხოვრებაზე, და საერთოდ, ყველაზე და ყველაფერზე გაბოროტდება. სამყაროს უბედურების სათავეს დაუწყებს ძებნას,რათა იპოვოს საკუთარი წარუმატებლობის ფორმულა. ამაში ყველას და ყველაფერს დაადანაშაულებს, საბოლოოდ გაბოროტდება და მისგან „არაფრად“ დარჩენილი „ყველაფერი“ აჯანყდება. იგი ან თვითონ განერიდება ყველაფერს, ან მას განერიდებიან ყველანი, რადგან ასეთებთან ურთიერთობა საშიში იქნება. ასკეტობა მხოლოდ ეკლესიურ პიროვნებებს შეუძლიათ სიკეთის სამსახურში ჩააყენონ და არა ხელმოცარულებს. ამის იქით რა შეიძლება ითქვას, თუ არა აკაკის მართალი სიტყვა:

„გაეგონათ *(საუბარია მონღოლებზე, ზოგადად დამპყრობლებზე)*, ქართველები პირდაპირად ვერავინ სძლია, და იმათი დამჩაგვრელი მხოლოდ სულის სიმდაბლეაო“.

ისევ და ისევ ღმერთმა არ მისმინოს და გულწრფელად მსურს ჩემი ეს ვარაუდი არ გამართლდეს.

სხვა საქმეა იმათი პიროვნების წარმოჩენა, ვინც გამიზნულად, გააზრებულად და სრული შეგნებით იცის, რომ „მეფე“ შიშველია და მაინც მხოლოდ თავისი კეთილდღეობის გადასარჩენად ყველაფერს ხატავს ისე, როგორც ეს შექმნილ ატმოსფეროს შეეფერება და არა სინამდვილეს. მათთვის ცხოვრება მირაჟი არაა, მირაჟს სწორედ ისინი ქმნიან. მათთვის მხოლოდ იმასა აქვს მნიშვნელობა, თუ რაოდენ წარმატებით შექმნიან თავიანთ თოქ-შოუებს.

თოქ-შოუები პოლიტიკური ხასიათის სულაც არაა, ისინი საზოგადოების ყველა სფეროს შეეხება პოლიტიკის გარდა, ესეც ერთგვარი პოლიტიკაა, და მიტომ. რომ არა მეფის ყურმოჭრილი მსახურება, არ იქნებოდა ასეთი შოუები, ასეთი გემოვნებათა და ძვირად ღირებული გადაცემების მომზადება. ვინ გაუშვებდა ეგვიპტესა და მექსიკაში ნანუკად წოდებულ ჟორჟოლიანს, თანაც ეგვიპტეში ისეთ დროს, როცა სამოქალაქო დაპირისპირება პიკს აღწევდა. ესეც რაღაცნაირ შპიონურ მაქინაციას მაგონებს, ამ გადაცემის უკან (ანუ კადრს მიღმა) რა ხდება, არავინ რომ არ იცის და ალბათ ჩვენთვის საჭიროც რომ არ არის, მაგრამ ვისთვისაც საჭირო იყო, მან ეს შირმა საუკეთესოდ გამოიყენა. ამის მერე გამოდგებიან და ტელევიზიითა და პრესით ტრაბახობენ -

ასე ვიყავი, ისე ვიყავი, აქ ვიყავი, იქ ვიყავიო
და სხვა მრავალი.

ხალხი კი ცხვარივით შესჩერებია ტელევიზორს და თუ ვინმეს ჭკუა-გონება ოდნავ შერჩენია, აუცილებლად გააღიზიანებს ასეთი შინაარსის და ხასიათის გადაცემები. ჟორჟოლიანმა კარგად იცის, „მეფე” შიშველი რომაა, მაგრამ მას იმდენი ჭკუა და მოხერხება კი აქვს, რომ თავი მოიკატუნოს და მამა აბრამის ბატკნად წარმოაჩინოს საკუთარი პერსონა. ურემი რომ გადაბრუნდება, მას პასუხს ვერავინ მოკითხავს, იტყვის –

„მე „მეფეებთან“ საქმე არასოდეს მქონიაო და თუ მქონდა, მხოლოდ ჩემი გადაცემის ფორმატიდან გამომდინარეო“.

ვერაფერს ეტყვი, ისე შენიღბა ეს მსახურება ჟორჟოლიანმა და მასთან ერთად სხვა დანარჩენებმაც (მაგალითად თიკო (ალბათ უნდა იყოს თინათინი) სადუნიშვილმა, დოდოშკებმა, ნანკა (ალბათ ნანა) კალატოზიშვილმა და სხვ.) მათ კარგად იციან როგორ უნდა იმოქმედონ მაყურებელზე, რათა მასები მონუსხონ თავიანთი არაფრისმთქმელი და უშინაარსო გადაცემებით (ამჯერად მხედველობაში მაქვს დოდოშკებისა და სადუნიშვილის გადაცემები). ვერ გაიგებ რაზე ლაყბობენ, რა უნდათ საერთოდ. არ გააჩნიათ გადაცემის ღერძული თემა, თანმიმდევრობით რომ მიჰყვნენ და ამოწურონ დასმული საკითხები და თემები.

სადუნიშვილმა ამ ბოლო დროს შედარებით გამოასწორა თავისი შოუს პრინციპი,მაგრამ უინტერესოა იმდენად, რამდენადაც მისი ინტერესთა სფერო შემოიფარგლება ტფილისური ბომონდით, ე.წ. ტუსოვკებითა და მსგავსი

ღონისძიებებით.

ასეთივე გადაცემა იყო „ფეისკონტროლი“ - ნანკა(?) კალატოზიშვილისა და ნინი(?) ბადურაშვილის ერთობლივი პროექტი. ეს შოუ სწორედ რომ დაბალი რეიტინგის გამო დაიხურა, თორემ მასზე უარს ნამდვილად არ იტყოდა ტელემფლობელი (თუ მფლობელები). ხელს არავის უშლიდა, გადიოდა გვიან ღამით. თემატიკა - იგივე ელიტარული ჭორები, სტუმრებიც საგანგებოდ შერჩეულები, თინეიჯერთა ფავორიტები. მართალია, უალტერნატივო გადაცემა არ ყოფილა, მაგრამ უპრეტენზიო კი ნამდვილად იყო.

მხოლოდ პრეტენზიულებისა და ინტრიგანების გადაცემები დატოვეს.

ესაა პოლიტიკა, თუნდაც უწყინარი.

მაგრამ საწყენია ის, რომ ყველაფერი ეს ფარული პოლიტიკაა და სხვა არაფერი.

უკეთესობა არც „გამარჯვებული ხალხის ტელევიზიაშია“, იქ საერთოდ არაფერი ხდება, გარდა ყბადაღებული ვანო ჯავახიშვილის ჯღანაობისა (სხვა უკეთესი სიტყვა არ მოეპოვება იმას, რაც მის გადაცემებშია) - ლანძღავენ ოპოზიციას, რბილად აქილიკებენ მთავრობას, ლანძღვა უმეტესწილად შეურაცხყოფაშიც კი გადადის. მართალია, ოპოზიციამ ყველაფერი დაიმსახურა, რასაც აკადრებენ, მაგრამ შენ ტელევიზიის მესვეური რომ ხარ, არ უნდა იკადრო და არ უნდა დამდაბლდე პოლიტიკოსების დონემდე.

განა სასაცილო და საიუმორო სხვა არაფერია ჩვენს ქვეყანაში?!

მათი ცალმხრივობაც გამაღიზიანებელია –

მოსდგნენ და ზუსტად ისეთივე გულმოდგინებით აქილიკონ და დასცინონ დღევანდელ ხელისუფლებას. ასე რომ ჰქნან, ზუსტად ისეთივე გულმოდგინებით დააპანღურებენ მათაც, როგორი გულმოდგინებითაც ემსახურებიან ისინი მთავრობას.

შიში, რა თქმა უნდა, დიდია, შიშმა არ იცის საზღვარი ზნეობასა და უზნეობას შორის, თორემ რა რჯის იმის ფასი ოთარ ტატიშვილს, რომ ასე არ გაიმასხარავოს პირველყოვლისა საკუთარი თავი. ნუთუ არავინ აყურებინებს მას თავისი გადაცემების ვიდეოჩანაწერებს? ექიმი და განათლებული კაცი ვარო, - ამბობს და ნამდვილად არ ტოვებს იგი განათლებული კაცის შთაბეჭდილებას. დათა თუთაშხიასავით უნდა შესძახო ამათ:

„რას ჰგავხართ ხალხო, რას დაგამსგავსათ მამაძაღლმა აბელა სეთურმა და მოსასპობმა თაბაგარმაო!“

ყველა საკუთარ ტყავს უფრთხილდება, ყველას უნდა უზრუნველი ხვალინდელი დღე, მაგრამ იმას არავინ ამბობს –

იქნებ სხვასაც უნდა, უზრუნველად გაუთენდეს დილა და არ ჰქონდეს შიში...

გიჟი ყოველთვის უმართავია –

დილას არ იცი ღამისთვის რას მოიფიქრებს და

საღამოს არ იცი დილისთვის რას გადაწყვეტს.

ასე დანის პირზე ცხოვრობს მთელი საქართველო უკვე ათეული წელია. თუმცაღა, ამაში ტელევიზიამ დიდი როლი ითამაშა. ამიტომ არიან მათ წინაშე ვალდებულნი. ამავე დროს მუჭშიც არიან მოქცეულნი ერთნიც და მეორენიც, ამიტომ ყველაფრის უფლებას აძლევენ ჟურნალისტებს, გარდა პოლიტიკაში ჩარევისა. არის საინფორმაციო გადაცემები და იმით დაიკმაყოფილეთ პოლიტიკური ამბიციებიო.

საინფორმაციო პროგრამებით თავის გამოტენვა იგივეა, ყოველდღე რომ თავისთავად დოზირებული შხამით ამოივსო მუცელი. სამაგიეროდ არის უამრავი ტელესერიალი ევროპიდან თუ ამერიკიდან შემოტანილი. მათ, რა თქმა უნდა, უკეთებენ ქართულ გახმოვანებას, ხოლო სრულფასოვან ან თუნდაც ნაკლებად ღირებულ ფილმებს კანონმდებლობიდან გამომდინარე უკეთდება სუბტიტრები და ფილმებს კი არ უყურებ, მათ კითხულობ. ფილმების მხატვრული სახე შენს მიღმა გადის, ეს მხოლოდ იმისთვის კეთდება, რომ იძულებული გაგხადონ ისწავლო ინგლისური ენა.

ახლა რომ ჩვენში ანგლიკანიზაცია მიდის, თავის დროზე ასეთი დოზით რუსიფიკაცია არ ყოფილა. არა მგონია ამერიკას, თუნდაც ევროპას სჭიდებოდეს ასეთი იაფფასიანი ტრიუკების ჩატარება, რათა ერი მათ ენაზე მოსაუბრე გახდეს. ეს გამიზნული ანტიქართული პოლიტიკაა და სხვა არაფერი.

ბევრ მეფეს ტანჯავდა სიცოცხლის ბოლოს ჯაშუშომანია და განდიდების გიჟური გამოვლენები. არაფერს ვამბობ ველოსიპედისა და შლოპანცების ძეგლებზე, ეს უკვე გავლილი სიგიჟის გავლილი ეტაპია, არც ლაზიკას ავანტიურაზე ვიტყვი რამეს, განა იმიტომ, რომ არ მაქვს სათქმელი, სათანადო თემა არაა, და მიტომ.

აქ მხოლოდ ჟურნალისტურ სიმახინჯეებზე ვამახვილებ ყურადღებას - თუ როგორ აუგდეს თავში სიდიადის ეიფორია და ამყოფებენ ამ მდგომარეობაში.

გულის ამრევია, როდესაც აქეთ-იქით დაათრევს (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) ბებრებს და ლექციებს უკითხავს,

თუ როგორი კარგები ვართ ჩვენ და

როგორი ცუდები - რუსები და

ეს გამოხჩუებული ბებრები, რომლებსაც ხან კბილები უვარდებათ პირიდან და ხან ფეხსაცმელები ძვრებათ, ლოშნიან „მარჩენალსა“ და პენსიების მომმატებელს.

ამ ბებრებს ნუთუ პატრონი არა ჰყავს, ქვეყნის სასაცილოდ რომ გახადეს... ქალაქიდან ქალაქში დაათრევენ ამ საავადმყოფოდან იმ საავადმყოფოს გახსნამდე... დაატიონ სახლში და ახლად დაგებულ გზებზე წოწიალში არ ამოხადონ სული...

ან ტელევიზიას სად აქვს ჭკუა და ნამუსი ასეთ სამარცხვინო კადრებს რომ იღებს და მთელი დღეები ატრიალებენ ეთერში.

იმ მართლაც და სამარცხვინო ფაქტზე ნამდვილად ღირს დაფიქრება – ვინ არიან ჩვენი წამყვანი ჟურნალისტები, მათი „ცნობადი სახეების“ უნიღბო იერი - მხედველობაში მაქვს ბიძინა ივანიშვილის ერთ-ერთი პირველი ბრიფინგი. ორმხრივად შეგვიძლია დავაკვირდეთ მათ - ან რა ზრდილობა აქვთ, რა გონება-გამჭრიახობა... ეს მათი თვითლუსტრაცია იყო და სხვა არაფერი, და მე, პროფესიით ჟურნალისტს, ამაზეა რომ მტკივა გული!

დეტალები, რომლებიც ქმნიან სრულყოფილ აბსურდს

ტელევიზორები კიდევ ერთ მაქინაციას მიმართავენ, რომლებიც თითქმის არაფრისმთქმელია, მაგრამ ეს ფაქტორი საერთო სატელევიზიო პოლიტიკის შესაქმნელად ფრიად მნიშვნელოვანია. თითქოს არაფერია ამაში საგანგაშო, მაგრამ როდესაც საფუძვლიანად ჩააკვირდები მის არსს, მივიღებთ შემაძრწუნებელ სურათს:

სახელმწიფოს მიერ კონტროლირებად ყველა ტელევიზიას ჰყავს თავისი ე.წ. ცნობადი სახეები, რომლებსაც უკეთებენ რეკლამირებას და ამით ხრწნიან საზოგადოე-






ბის შეგნებას.

ეს ხალხი არ არიან რაიმეთი სწავლულნი,

არც თავიანთი საქმიანობის პროფესიონალები არიან.

ისინი საეჭვო რეპუტაციით სარგებლობენ, მაგრამ თუ ტელევიზიას სჭირდება, ისინი ფეხის წვერებზე დგანან. ესენი არც პოლიტიკოსები არიან, არც ხელოვანები, არც თანამდებობა აქვთ, უბრალოდ ტელევიზიის სათადარიგო პიროვნებები არიან, რითაც ავსებენ და ტენიან ტელეჟურნალისტები თავიანთ თოქ-შოუებს. მათ გადაცემებში გამოჩენა მხოლოდ ინტრიგაა და მეტი არაფერი.

ვნახოთ, თუნდაც, ტელეგადაცემა „100 გრადუსი C“. ეს გადაცემა სხვა არაფერია, თუ არა ინტრიგა, თუ არა ყალბი სენსაციების დევნა.

მისი სტუმრების უმრავლესობა ტელერეზერვს წარმოადგენს, მხოლოდ იმ მიზნით, რომ რაზეც არ უფიქრია საზოგადოებას, ახლა იმაზე აფიქრონ. ეს არის გახრწნილი ჟურნალისტის გახრწნილი ბენეფისი. იგი მხოლოდ იმისკენ მიისწრაფის, რისი ამოთქმაც სურს და იმის იქით კი ყველა უნდა დადუმდეს. ბევრი შემთხვევა იყო ისეთი, როდესაც აღვირები ვეღარ მოთოკა და მართლაც 100 გრადუსით დაიძაბა დარბაზში სიტუაცია და თითქმის უკონტროლო გახდა. თემატიკა გნებავთ, რითაც საზრდოობს „ჟურნალისტი“? -

ტრანსვისტიტები,

გეები,

დონორული ჩასახვა,

შარლატანი ექიმბაშები და ა.შ.

იყო გადაცემა, სადაც საათობით მსჯელობდნენ კესარია-ბესარია ტრანსვისტიტი იყო თუ ბისექსუალი, ექიმბაშის წამალი ნამდვილია თუ ყალბიო. ეს უკანასკნელი თემა კი წარიმართა ჟურნალისტის მკაცრი ჩარევის წყალობით, სადაც მან განავითარა თავისი ცალმხრივი და მიკერძოებული პოზიცია და ამით მის მიერ მოწვეულ რესპოდენტს მოუსპო (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) თავისი პოზიციის დაფიქსირების საშუალება, რათა მას დაემტკიცებინა თავისი სიმართლე, ან მიეცა მაყურებლისთვის საშუალება თვითონ გამოეტანა დასკვნები. შემდეგ კი თავისი უტაქტობა იმით გაამართლა, რომ დასძინა – „დარბაზიდან გაიქცნენ, თორემ მე მათ ეთერი მივეციო”. არადა, რესპოდენტის (ე.წ. ექიმბაშის) დარბაზის დემონსტრაციულად დატოვების ინსპირირება თვითონვე მოაწყო, არ მისცა რა საშუალება გამოეთქვა თავისი მოსაზრება, ისე ეჭრებოდა საუბარში. ეს ხომ მისი ჩვეული მეთოდია არასასურველ რესპოდენტებისგან თავის დახსნისა და არასასურველი მოსაზრებებისგან თავის დაღწევისა.

ბესარია-კესარია,

ლალი მოროშკინა,

ბიჭოლები

და სხვანი მსგავსნი მათნი

და დანი მათნი ხშირი სტუმრები არიან ამა თუ იმ ტელევიზიის. რა თქმა უნდა, მათთან საუბარი მორალზე და ზნეობაზე არ წარიმართება. ესენი რეკლამას უკეთებენ საზოგადოებას,

თუ როგორ უნდა დაეცნენ,

თუ როგორ უნდა ავნონ სულს,

თუ როგორ უნდა გაითახსირონ თავი.

ვიღაცისთვის ესენი ცნობადი სახეები ხდებიან, მხოლოდ თითზე ჩამოსათვლელთათვის თუ არიან ისინი ეშმაკის კერძები.

განა რაიმე ღირებული დაწერა ლალი მოროშკინამ თავის ვაიწიგნებში. მათში იგი წარმოაჩენს თუ როგორი ბოზური ბუნების პიროვნებაა მათი ავტორი და სხვებსაც ანალოგიურისკენ მოუწოდებს, თუ არ მოუწოდებს აშკარად, ქვეშეცნეულად ამას აკეთებს. ხან შიშველ „მეფეზე“ წერს, ხან „მეფის“ მხევლებზე და „სამეფო ამალაზე“, მიზანი ამ წიგნებისა ერთია - „იცხოვრეთ ისე, როგორც მე ვცხოვრობ, თუ გინდათ მიაღწიოთ წარმატებას

და ცნობადობას“. ეს ბინძური ქალი არ მოერიდა საჯარო სკანდალსაც, როცა დანა-ჩანგლებით შეიარაღებულმა „განგმირა“ ერთ-ერთი თავისნაირი, თავისთაგანი, თორემ ზნეობრივად მაღალი სულის ადამიანზე იგი ვერ აღმართავდა ხელს.

როგორადაც ბინძურად იქცეოდა იგი, ისე ბინძურადაც გაუსწორდა თავის მეტოქეს, მის მიმართ ბინძური ქმედების განხორციელების გამო.



იქამდე, ლალი მოროშკინა არც ოპოზიციონერობას თაკილობს და არც მთავრობისტობას, ანუ სულითა და ხორცით ბოლომდე თახსირი მეძავი რჩება და სხვა არაფერი. სწორედ, მისი ამ თვისების გამომზეურება და მისი „გაცნობადობაა“ ტელევიზიებისთვის ამორალობა.

იყოს, წეროს და იკითხოს თავისთვის, შენ რომ რეკლამას გაუკეთებ მას და იტყვი, აი, იცნობდეთ, ეს არის ლალი მოროშკინაო, სწორედ ესაა უზნეობა და საზოგადოების გახრწნა. თორემ მასზე ნაკლებად არავინ არც ბოზობს და არც წერს, მაგრამ ტელევიზიებს არავის გამო ვენები არ გადაუხსნია. არ გვეცოდინებოდა ვინ არის იგი, ან წავიკითხავდით და ან არა მის სექსუალურ ნაბოდვარს, არაფერი დაგვაკლდებოდა ამით. ტელევიზიები კი გვიბიძგებენ - აჰა, წაიკითხეთ ეს წიგნები, ესენი ხომ ამა და ამ გადაცემაში მოწვეულმა სტუმარმა დაწერაო. ვითომ სხვა წასაკითხი ქვეყნიერებაზე აღარ არის, ლალი მოროშკინას მაკულატურით რომ არ გავავსოთ საკუთარი ბიბლიოთეკა?!

და კიდევ ერთი, ეს უკვე საზოგადოებრივი ატმოსფეროს შექმნისთვის - ყველა, ვინც ეწინააღმდეგება დადგენილ წესსა და კანონს, უწოდებენ მარგინალებს, თავსაც იმართლებენ –

წერონ და იკითხონ, ჩვენ ხომ დემოკრატია გვაქვს და არავის ვუშლით სიტყვის თავისუფლებას, მაგრამ მაინც მარგინალები არიანო.

ეს იმ ხალხისთვის კეთდება, ვინც ორჭოფობს და ჰგონია - იქნებ რამეში ვცდებიო. ოდესღაც ოპოზიციაში რომ ვიყავი, ვაი და, არ გამიგონ და მარგინალობა არ დამწამონ, სირცხვილია საზოგადოებაში ასეთი იარლიყიო.

ეს იგივეა, რაც პეტრეს უარყოფა, განსხვავება მხოლოდ უარყოფის ობიექტებზეა –

იქ თუ ღმერთს უარყოფდა პეტრე, ამ შემთხვევაში მრავალი „ობივატელი“ უარყოფს

- სიტყვას,
- იდეას,
- სიმართლეს.

სიმართლე და ღმერთი ახლოს დგანან ერთმანეთთან. ღვთის სიტყვა - ძე ღვთისაა, სიტყვა მართალი, ღვთის მსახურებაა იგივე და ამიტომ გამრუდებული სიტყვა ანტიქრისტეა, მამონას მსახურება, ხოლო მართალი სიტყვა, რაც ესოდენ იშვიათობაა ჩვენში, უფლისმიერია.

„მარგინალების“ ტელევიზიები და პრესა, რა თქმა უნდა, დემოკრატიის ნიღბის ქვეშ არსებობს ჩვენში, მათ კომენტარებს არ უკეთებენ –

რა უნდა ვთქვათო ამათზეო,
- ამ მოტივით.

სათქმელი კი ბევრი დაგროვდა, ბევრი სიყალბით ავივსეთ. ახლახან გამოვლინდა ის ფაქტები, რომლებითაც თავისი აღმშენებლობით თავი მოჰქონდა შიშველ „მეფეს“ -

სიღნაღი,
ქუთაისი და
ბათუმი

სრულად წერია ბიძინა ივანიშვილის აქტივში, საакაშვილმა რომ დაითავისა და თავის ნაქმნად მიიწერა, ასევეა სასოფლო ტრაქტორები, დღემდე რომ წინასაარჩევნო პიარად იყენებს. სამების ტაძრის მშენებლობაზე ვეღარაფერს ამბობენ, სამაგიეროდ მახათას მთაზე ალტერნატიული ტაძრის მშენებლობა წამოიწყეს და მის გახსნაზე პრეზიდენტი ისე იყო დაღლილ-გაბრუებული, რომ სად იყო და რას აკეთებდა, აზრზე ვერ მოსულიყო.

სხვა არაფერია მეფის სიშიშვლე.

ამასაც მხოლოდ იმიტომ ვწერ, რომ ტელემაუწყებლობათა საზრდოდ პრეზიდენტი სააკაშვილია ქცეული.

შესაძლებელია ჟურნალისტებმა - მომხრეებმაც და მოწინააღმდეგეებმაც უფრო შინაარსიან, აზრიან თემებზე იფიქრონ. ■

ჩვენი ჟურნალის მეგობარია ექიმი - მერაბ ბოთქარაშვილი

მსხვილი ვარიკოზული ვენების მკურნალობის უახლესი
და ყველაზე უდანაკარგო მეთოდი

ტკივილის გარეშე!
ნაწიბურების გარეშე!
ნარკოზის გარეშე!

ექიმ მერაბ ბოთქარიძე

2177 65th st.
Brooklyn, NY 11204
1-718-238-1555

VEIN & LASER CENTER

სახელი

❖ **ბიძინა მაყაშვილი,**
რადიო „თავისუფლება“

სახელებს დიდ მნიშვნელობას არასოდეს ვანიჭებდი. უფრო პრაქტიკული კუთხით ვუყურებდი: მთავარი იყო დამემახსოვრებინა გარშემომყოფებს რა ერქვათ, რათა საჭიროების შემთხვევაში იმას მოეხედა, ვისაც ვეძახდი. ამ მეთოდმა გაამართლა. სახელებზე არ ვფიქრობდი, უბრალოდ ვიყენებდი მათ, როგორც, ვთქვათ, ჩანგალს.

მაგრამ ერთხელ, მართალია, ცოტა ხნით, მაგრამ მაინც მომიხდა ამ თემაზე დაფიქრება. სხვა გზა არ მქონდა - მეორე დღეს ჩემს ცოლს უნდა ემშობიარა. ამ შემთხვევაშიც ცივი გონება შევინარჩუნე და საკითხს, პრაქტიკულად, მხოლოდ 15 წუთი დავუთმე. დავეყრდენი საერთაშორისო გამოცდილებას, რაც მკარნახობდა, რომ ჩვენს პლანეტაზე, რეალურად, ან გოგონები იბადებოდნენ, ან ბიჭები. აქედან გამომდინარე, მხოლოდ ორი სახელი უნდა შემერჩია: გოგოსი და ბიჭის.

ბიჭის სახელზე თითქმის არ მიფიქრია: საფრანგეთში ემიგრირებული წინაპრის თხოვნით, რომელიც კომუნისტების ზიზღით სამშობლოში ვერ ბრუნდებოდა, ბიჭისთვის მისი სახელი უნდა დაგვერქმია. გამოდის, რომ მხოლოდ გოგონას სახელი უნდა შემერჩია. აქაც ტრადიციებიდან გამოვედი და გადავწყვიტე ბავშვისთვის წინაპრის სახელი დამერქმია. არც მე და არც ჩემს მეუღლეს ჩვენი დედების სახელები არ მოგვწონდა, ამიტომ ბავშვისთვის მამაჩემის დედის სახელი ავირჩიეთ.

სულ ეს იყო. ამის შემდეგ სახელებს დიდი, ძალიან დიდი ხანი არ შევუწუხებივარ. თუმცა, უკვე ნახევარი წელია, რაც ყველაფერი უკუღმა დადგა. ეს კი იმის ბრალია, რომ ჩემი სახელი ზედმეტად ტირაჟირებული გახდა.

საერთოდ, ჩემი სახელის შესახებ არცთუ ბევრის თქმა შემიძლია. პირველ ყოვლისა, ვიცი, რომ ქართული სახელია და ჩვენ გვარში ტრადიციულად ითვლება. მეც პაპაჩემის მიხედვით დამარქვეს. 21 წლის იყო, მამამისთან ერთად რომ დახვრიტეს კომუნისტებმა ქაქუცა ჩოლოყაშვილთან თანადგომისთვის. მამაჩემი მაშინ ექვსი თვის ყოფილა, ბებიაჩემთან ერთად, რაღაც ხნით, აკვნით, ციხეშიც კი ჩაუსვამთ. ზემოთ ნახსენები საფრანგეთში ემიგრირებული წინაპარი კი პაპაჩემის ძმა იყო, რომელმაც დახვრეტისას წარმოქმნილი არეულობით ისარგებლა და გაიქცა.

ეს ისე, ცოტა ისტორიული გადახვევა გამომივიდა. ისევ თემას რომ დავუბრუნდეთ, იმ უცხოელებს გავიხსენებ, რომლებიც პირადად არ მიცნობდნენ და მხოლოდ ელექტრონული ფოსტით გვქონდა ურთიერთობა. მათ აბსოლუტურ უმეტესობას აინტერესებდა სახელ Bidzinaს უკან Dear Sir იდგა, თუ Madam. „ახლოსაზღვარგარეთელებს“, ამ მხრივ, ნაკლები პრობლემა ჰქონდათ: რუსები, მაგალითად, ყოველგვარი ირონიის გარეშე, თუმცა, მსუბუქად გაოცებულები, ბენზინას მეძახდნენ ხოლმე.

ცნობილია, რომ გასული საუკუნის 50-იანი წლების შუახანებამდე ჩვენში პიროვნების კულტი არსებობდა. სტალინის კულტი. საბედნიეროდ, ამას ვერ მოვესწარი. ჩემი ცხოვრების პირველ ნახევარში კი სხვანაირად იყო. ოჯახის წევრების და ნათესავების გარდა, ქვეყნის მეთაურები არავის უყვარდა. პირიქით, ძირითადად, სძულდათ.

90-იანების დადგომისთანავე მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტი კერპი გახდა, მეორეს ქუჩაში დაუჩოქეს, მესამეს პოპულარობასთან საქართველოს ვერც ერთი სპორტსმენი ან შოუბიზნესის წარმომადგენელი ახლოსაც ვერ მივა.

ახლა კიდე ეს ჩემი სეხნიაც გამოჩნდა და წამართვა სახელი. ამას წინათ ახლობელს დავურეკე მისთვის უცნობი ნომრიდან. როგორც კი მიპასუხა,რომ არ დაბნეულიყო, ეგრევე მივახალე ჩემი სახელი და გვარი. წამიერად ჩაფიქრდა და მიპასუხა, ნეტავ გვარი არ გეთქვაო.

ასეთი შემთხვევაც. იყო: ერთმა ჩემმა კოლეგამ მნიშვნელოვანი ორგანიზაციის დირექტორს უთხრა, ხომ შეიძლება ჩვენს შეხვედრას ბიძინაც დაესწროსო. დირექტორმა მშვენივრად იცოდა, ვისზეც იყო საუბარი, მაგრამ არ გაუშვა შანსი, დაეფიქსირებინა თავისი პოლიტიკური ორიენტაცია და „იუმორის“ გრძნობა და ღიმილით თქვა, გააჩნია, რომელი ბიძინაო.

ერთხელ კიდევ ლიტერატურული პორტალის პრეზენტაციაზე ვიყავი. საღამოს წამყვანმა, რომელიც ცალსახად ასოცირებულია ჩემს სეხნიასთან, მიკროფონით, მთელი დარბაზის გასაგონად, მხოლოდ სახელით მომმართა. საზოგადოების რეაქცია ადეკვატური იყო: ერთგვარი იმედგაცრუებაც კი შევატყვე, როცა მე შევრჩი ხელში.

ერთსაც მოვყვები და გვეყოფა. ქალბატონებმა, რომლებიც საარჩევნო სიების დაზუსტების მიზნით კარდაკარ დადიან, ვერაფრით დაუშვეს, რომ შესაძლებელი იყო, მე უპირობოდ არ გამეზიარებინა იმ ადამიანის შეხედულებები საქართველოს მომავალ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოწყობასთან დაკავშირებით, რომლის სახელიც მერქვა.

ამ ბოლო შემთხვევამ საბოლოოდ დამასამარა და ასე დავკარგე იდენტობა ჩემს სახელთან. თუმცა, არცთუ ისე დიდი ხნის წინ ეს სახელი ჩემს თაობაში სწორედ ჩემთან და ჩემ ერთ კოლეგასთან ასოცირდებოდა.

მაშინ ის დაკავშირებული იყო როკთან და ფეხბურთთან, კინოსთან და, საერთოდ, ხელოვნებასა და სუბკულტურასთან. დღეს რასთან არის დაკავშირებული, ასე უბრალოდ ვერ იტყვი. თავიდან ერთ რამეში ყველა თანხმდებოდა - ის იყო ყველაზე მდიდარი ქართველი, მატერიალურად ეხმარებოდა ქართველ მეცნიერებს და ხელოვანებს, ეკლესიას და სახელმწიფოს.

მერე გადაწყვიტა პოლიტიკოსობა. და სწორედ მაშინ გახდა ჩემი „კონკურენტი“. სწორედ ამ გადაწყვეტილებამ მოუტანა უზომო პოპულარობა.

და სწორედ ამ პოპულარობის გამო მგონია, რომ საქართველო ჯერ ძალიან, ძალიან ღრმა სოროშია ჩარჩენილი და ჯერ კიდევ ძალიან დიდი დრო გავა, სანამ იქიდან ამოვა.

ამ შემთხვევაში ჩემს გაპოპულარულებულ სეხნიას არაფერს ვერჩი. ვერჩი იმ გარემოს, რომელმაც ჩვენი საზოგადოება ისეთად ჩამოაყალიბა, რომ კერპად პოლიტიკოსის მეტი ვერავინ გაიხადა. ■



მ, ასპარეზს...

„ზუსტად 21 საათზე ფარდა იხდება, სიმებიანი საკრავების ორკესტრის თანხლებით, რომელსაც ცნობილი დირიჟორი ა. დალსიე უძღვება (რაც მისი მსმენელი ფიროსმანისთვის სულერთია). ვიწრო სცენაზე ახალგაზრდა და ტანწერწეტა მარგარიტა გამოდის. ცეკვა-ცეკვით. ასრულებს რამდენიმე პირუეტს და პეპელასავით დაფარფატებს... ჰაეროვანი მარგარიტა ოდნავ ეხება ოქროსფერი, რბილი მაშიებით უხეშ იატაკს და ხელახლა ცისკენ, წარმოსახვითი და საოცრად ხელშესახები ლაჟვარდისკენ მიფრინავს. გვერდით იარუსზე ფიროსმანს სუნთქვა ეკვრის. ქალის მოალერსე, გულში ჩამწვდომი ხმა გულის სიღრმიდან ამოდის, ფიორიტურების ლაბირინთში ეხვევა, სადღაც, შორს თითქოს ორმაგდება აღტაცებული მსმენელის გასაკვირად...

მეორე დღეს პრესა ხოტბა-დიდებითაა აღსავსე. განსაზღვრება „ორმაგი ხმა“ სამუდამოდ მიეკერება საგასტროლოდ ჩამოსულ ალზასელ ქალს. ფიროსმანზე მით უფრო ეფექტს ახდენს ღულუნის და ჭიკჭიკის მსგავსი სიმღერის სიტყვები, რაც უფრო უჭირს მათი მნიშვნელობის გაგება“... (გასტონ ბუაჩიძე, „ვარდები მარგარიტასთვის“).

* * *

ნიკო ფიროსმანის და ფრანგი „აქტრისა“ მარგარიტას უკვე კიჩად ქცეული მელოდრამა სხვადასხვაგვარადაა ინტერპრეტირებული.

ქალის გარეგნობას თუ ფიროსმანთან მისი ურთიერთობის ფორმას ასევე სხვადასხვაგვარად აღწერენ მოგონებებში, მემუარისტიკაში...

ცნობილია, საერთოდ, მემუარული ჟანრის სუბიექტივიზმი ისე, როგორც ლეგენდის თვისობრიობა - იდგეს სინამდვილეზე ოდნავ მაინც მაღლა.

თუკი დოკუმენტურ აფიშას დავუჯერებთ, პოლონური წარმომავლობის ფრანგი „აქტრისა“ საქართველოში ჩამოვიდა მაშინ, როცა ფიროსმანი დაახლოებით ორმოცი წლის იყო. მხატვარი, თავისი ჰაბიტუსით, მანერებით, ალბათ მენტალიტეტითაც განსხვავდებოდა იმ მამაკაცებისგან, რომელიც „აქტრისამ“ აღმოსავლეთში ნახა.

გადმოცემის მიხედვით, მუშტაიდის რესტორანში გამოსვლისას, ქალმა განსაკუთრებული მზერა და ყურადღება მიაპყრო ნიკო ფიროსმანს (იმ ფორმით, როგორც შანტანების მსახიობებს ახასიათებთ).

„ვარდები აქტრისა მარგარიტასთვის“ - ამ თემის რამდენიმე ვარიაცია არსებობს. ა. ვოზნესენსკის ტექსტის მიხედვით დაწერილი სიმღერა მილიონ ალისფერ ვარდზე მოგვითხრობს, რომელიც ღარიბმა მხატვარმა მსახიობ ქალს უძღვნა. ვოზნესენსკიმ ეს ლექსი გადასახლებაში დაწერა - საქართველოში ყოფნისას.

ვიქტორ შკლოვსკი წერს, რომ ფიროსმანმა თავისი დუქანი გაყიდა და აღებული ფულით შეიძინა ყველა ყვავილი (არა მარტო ვარდი), რომელიც იმ დღეს თბილისში იყო. დაიქირავა მეურმე, ყვავილები იმ ქუჩაზე მოფინეს, სადაც მარგარიტა ცხოვრობდა... მისი სასტუმროს კიბეებიც სავსე იყო ყვავილებით...

კ. პაუსტოვსკიც აღწერს ქუჩას, ყვავილებით მოფენილს. აღწერს მარგარიტას, რომელმაც ჩაიცვა თავისი ყველაზე ლამაზი კაბა და გაიკეთა სამაჯურები. საღამო ხანს კი მხატვარი თავისთან მიიხმო (იმ დღეს ნიკალა ორთაჭალის ერთ-ერთ დუქანში ქეიფობდა). იგივე პაუსტოვსკი ფრანგ „აქტრისას“ რატომღაც „შეუხედავ, წითურ და ხარბ ქალად“ წარმოგვიდგენს. ამგვარ ეპითეტებს სხვა წყაროებში ვერ იხილავთ.

„ბომღერალი და მოცეკვავე კაფეშანტანიდან - ფრანგი მარგარიტა იყო ლამაზი და მოხდენილი... ფიროსმანმა ის შეიყვარა სამუდამოდ“. - ასე ფიქრობს კირილე ზდანევიჩი.

ნიკო ფიროსმანის პარტნიორი დუქანში, მისივე ნათლიმამა, ვაჭარი დ. ალუგიშვილი ირწმუნებოდა: მთელი წლის შემოსავალი ნიკალამ გაფლანგა-გაანიავა, იმ აქტრისა ქალს დაახარჯაო.

იმ დაკარგულ ფულებზე სწუხდნენ და დაობდნენ ნიკალას აშენებულ სახლში, ნიკალასვე მოხატულ კედლებში მცხოვრები მისი და და სიძე. თითქოს ის ფულები ყოფილიყოს ყველაზე მნიშვნელოვანი საზრუნავი. ამ ადამიანებმა, ყველაზე ახლო ნათესავებმა, ვერც ბოლო ცხრა წლის უნახავი ნიკალას სიკვდილი გაიგეს და არც საფლავი უნახავთ.

იმავე დამ და სიძემ, რომლებმაც ფრანგი „აქტრისა“ ძმის ხელგაშლილობის გამო შერისხეს, დაკარგეს და გაანიავეს ნიკალას რამდენიმე ნამუშევარი, მოხატული კედლები, პირადი წერილები, ფოტოები...

- „ასეთი „დაკარგვა“ ადამიანისა ჩვენს ქვეყანაში პირდაპირ აუხსნელია“... უთქვამს გიორგი ლეონიძისთვის დალაქ გოგიტაშვილს...

და მაინც, როგორი იყო მარგარიტა?

„ნიკო მდიდარი კაცივით არ გამოიყურებოდა, მადმუაზელ მარგარიტას მისდამი ყურადღება ანგარებიანი არ იყო... - საუკუნის გადასახედიდან წერს მხატვარი თემო ჯაფარიძე. - ხალხში მისი მარგარიტასთან ურთიერთობა იმდენად მითიზირებულია, რომ მისი არალამაზ ქალად წარმოდგენა შეუძლებელი ხდება. ფიროსმანმა იგი თავისი დეფორმაციის მეთოდით დახატა. ისინი, ვინც ფიროსმანის იერსახისგან ნატურალურ მომხიბლავობას ითხოვენ, ნახატში ლეგენდას ეძებენ და არა მხატვრობას. ფიროსმანის დახატული მარგარიტა თავისი დეფორმაციის სიუშნოვეშია ულამაზესი. ამ სიუშნოვეში დიდი ინტიმი და სიწმინდეა გამოსახული. ეს, პატარა გოგონასავით გამოწყობილი ქალი ისეთი ძლიერი მხატვრული ვნებით არის დახატული, რომ შეუძლებელია ამ ვნებით აღწერილი ქალი ლამაზი არ იყოს. სილამაზე, ალბათ, სახის სტრუქტურაში და ელასტიკურ აღნაგობაში კი არ უნდა ვეძიოთ, არამედ იმ ტემპერამენტში, რაც ფიროსმანის მხატვრულ ენას გააჩნია მარგარიტას იერსახის ჩამოყალიბებაში“.

* * *

იმათ, რომელთაც ალბათ ევროპაში „კურტიზან ქალებს“ უწოდებდნენ, ფიროსმანმა „ავლაბრის ტურფები“ დაარქვა. თვით სახელდებაც სითბოს და თანაგრძნობას გამოხატავს.

„ზემოდან ამ ბედშავებს თეთრ ზეწარს ვაფარებ. თეთრი ფერით ცოდვებს მივუტევებო“ - ასე უბრალოდ და გასაოცრად განმარტავს თავის ფერწერულ ამოცანას ნიკო ფიროსმანი.

ეს მიზანია თავის თავში, რომლითაც ადამიანს ამაღლებს ყოველივე იმაზე, რაც მას ამარცხებს. თითქოს მხატვრობა უპირველესად თანაგრძნობაა... და ეს ნიჭი მხოლოდ დახატვისთვის არ არის მოწოდებული და ბოძებული...

„გრაფ“! ასე მიმართავდნენ თურმე მას თბილისელი ღვინის ვაჭრები. „გრაფ“! - ოდნავი ირონიით წარმოთქვამდნენ და ალბათ თვით ისინიც კი, რაღაც შინაგანი ფლუიდებით ხვდებოდნენ, რომ ეს სიტყვა სინამდვილის არსს გამოხატავდა: თავმოყვარე, კეთილშობილი, ფაქიზი, ბრბოსგან დისტანცირებული ადამიანის რაობას.

მელოდრამის ფინალი

1969 წელი, მარტი. „პარიზის დეკორატიული მუზეუმის დარბაზები ფიროსმანის ტილოებს მასპინძლობს. თბილისის ხელოვნების მუზეუმის დირექტორი, რომელსაც პარიზის ამ გამოფენის ორგანიზება აქვს დავალებული, ხედავს დარბაზში შემოსულ ოთხმოციოდე წლის ქალბატონს, რომელსაც, ასაკი, მაინცდამაინც არ ეტყობა. ქალს მღელვარე ღიმილი დასთამაშებს და გამოფენის კომისარს სთხოვს სურათი გადაიღოს „აქტრისა მარგარიტასთან“ ახლოს, ანუ თავის თავთან ახლოს“... (ფრაგმენტი გასტონ ბუაჩიძის ესეიდან).

ამ გამოფენას თავისი პრეისტორია ახლავს, რის შესახებაც ცნობილმა ტელეჟურნალისტმა, ფრანგული ენის სპეციალისტმა, ქალბატონმა ვალენტინა ხაზალიამ გვიამბო. მაშინ, ცნობილი „რკინის ფარდის“ ეპოქაში, ქალბატონი ვალია, თავის მეუღლესთან გივი მელაძესთან ერთად, დიპლომატიური

მისიით გახლდათ ბელგიაში, ბრიუსელში. ბატონი გივი ჯერ სსრკ-ს საელჩოში იყო, შემდგომ იუნესკოს წარმომადგენლობაში. იქვე, საკონსულოში, მუშაობდა ქალბატონი ვალია ხაზალიაც.

იუნესკოში ხშირად იმართებოდა საინტერესო შეხვედრები, საღამოები, კონფერენციები... ერთ-ერთ ამგვარ ღონისძიებაზე ქალბატონ ვალიას გაეცნეს ხელოვნების კრიტიკის საერთაშორისო ასოციაციის წევრი ჟან ა. კეიმი, რომელიც როგორც აღმოჩნდა, არც საქართველოში იყო ნამყოფი და არც ფიროსმანის შემოქმედებას იცნობდა.

„ის ერთხანს შეჩერდა, დამაკვირდა და მოკრძალებით მთხოვა, თუ ძალიან არ დაიღლებით, მომიყევით რაც იცით ფიროსმანზეო... მეც ვეცადე არ დამეკლო რა ნიკალასთვის, მისი, როგორც ხელოვანის, პირველი აღმოჩენებიდან - ფრანგი მიშელ ლე დანტიუს და ძმები ზდანევიჩებიდან დაწყებული... რაკი დაინტერესდა, იქვე დავპირდი, რომ ის უზრუნველყოფილი იქნებოდა საქართველოს ხელოვნების მუზეუმის დირექტორის, აკადემიკოს შ. ამირანაშვილის ინფორმაციითა და ფიროსმანის ნამუშევრების ფოტორეპროდუქციებით“...

ჟურნალში „ქართული მწერლობა“ (№22) დეტალურადაა მოთხრობილი ამ შეხვედრის შემდგომი განვითარების ისტორია: ჟან ა. კეიმის და შალვა ამირანაშვილის წერილები, იუნესკოს „კურიერის“ მასალები, მზადება გამოფენისთვის და ა. შ.

მივუახლოვდეთ ფინალს, მელოდრამის საკვანძო ნაწილს. „ექსპოზიციას მნახველთ თავად აკადემიკოსი შალვა ამირანაშვილი და მხატვარი გიორგი მაქაცარია აცნობდნენ და მოხდა, შეიძლება ითქვას, არც თუ მოულოდნელი, მაგრამ საოცარი რამ: გამოფენის ერთ-ერთ გამორჩეულ ექსპონატს, რომელმაც ფიროსმანმა აქტრისა მარგარიტა დაარქვა, გამოეცხადა თავად მარგარიტა დე სევრი, ორი მანდილოსნის თანხლებით... და იდგა დიდხანს მდუმარედ, მისი ფიგურული კომპოზიციის წინ. შემდეგ ბატონ შალვასთვის მოუხსენებია, რომ მას მარგარიტა ჰქვია, ნამყოფია თბილისში. თან საჭიროდ ჩათვალა ეთქვა ეს ფრაზაც: „არ იფიქროთ, თითქოს ფიროსმანი მარგარიტას ქარაფშუტულად ექცეოდა, მას მარგარიტა რაინდულად უყვარდაო“...

სხვა წყაროებში ვკითხულობთ: „მე ფიროსმანი რაინდულად მექცეოდაო“.

ეს ფოტოდოკუმენტი კი ინახებოდა აკადემიკოს შალვა ამირანაშვილის ოჯახში. ამირანაშვილის ინფორმაციით, ფოტოები გადაუღია მარგარიტა დე სევრის მეგობარს, პროფესიონალ ფოტოგრაფს ელენ ადამსს, რაღა თქმა უნდა, სათანადო ნებართვით. სხვაგვარად ლუვრში ფოტოაპარატით ერთი კადრის დაფიქსირებაც გამორიცხულია.

მარგარიტა დე სევრი ამ ფოტოსესიის შემდეგ სწრაფად გასულა დარბაზიდან. არც ავტოგრაფები დაუტოვებია და არც მისამართი. არც მოარულ ლეგენდებზე მიუცია განმარტება და ამ დღემდე დაუზუსტებელ კითხვებზე: რამდენი ხანი დაჰყო თბილისში, როგორი იყო მისი და ნიკალას ურთიერთობა...

„ფრანცუზები მოვიდნენ, - იგონებს ღვინის ვაჭარი ბეგო, ფიროსმანის კეთილისმყოფელი: - იმ ფრანცუზებმა უთხრეს ნიკალას: გინდა, საფრანგეთში წაგიყვანთო. ნიკალამ მოახსენა: „ჩემს საქართველოდან არსად წავალო!“

* * *

და მაინც, მადლობა საფრანგეთს. უპირველესად ფრანგ მხატვარს და ჯარისკაცს მიშელ ლე დანტიუს, რომელიც თავისი სამშობლოს, საფრანგეთის გადარჩენისთვის ომში დაიღუპა სრულიად ახალგაზრდა... იქამდე კი ჩვენს სამშობლოში მხატვარი ნიკო ფიროსმანი აღიარა, რაც იმას ნიშნავდა, რომ გადაარჩინა. საფრანგეთის გაზეთებშიც გამოაქვეყნა წერილები უცნობი ქვეყნის უცნობ დიდ მხატვარზე... დიდი მადლობა ფრანგ ჯარისკაცს!..

მადლობას ვუძღვნით ფრანგ მსახიობ ქალსაც - მარგარიტა დე სევრის იმისთვის, რომ შთაგონება და თუნდაც მცირეხნიანი სიხარული მიანიჭა ნიკო ფიროსმანს... იმისთვისაც, რომ ავტოგრაფის და მისამართის დაუტოვებლად გაუჩინარდა. ანუ არ ისურვა მისთვის ძალიან პირადული სხვათა ინტერპრეტაციების საგნად ექცია... არც უეცარი პოპულარობა ისურვა, არც ჟურნალისტების შოუებში მონაწილეობა და გენიალური მხატვრის მუზად საჯარო აღიარება. მან უძვირფასეს მოგონებებთან ერთად ჩრდილში ყოფნა არჩია, მართალია, ფიროსმანის „აქტრისა მარგარიტა“ მიხეილ ბულგაკოვის მარგარიტასავით ოსტატის ცხოვრების დრამაში არ მონაწილეობდა, მაგრამ იგი განუმეორებელ ლეგენდარულ პერსონაჟად იქცა. ის იყო მიზეზი, რის შედეგადაც ნიკო ფიროსმანმა თავის ხელოვნებასთან ერთად კიდევ ერთი თემა თუ საიდუმლო დაგვიტოვა: როგორ შეიძლება ჩვეულებრივი ქალის გამარგარიტება ანუ საყვარელი ქალის გამარგარიტების მისტერია... ■

ომები ფეისბუკში

რეზო შატაკიშვილი

კოკასა შიგან რაცა სდგას, დღეს სწორედ იგი მოედინება, ღვარცოფად იღვრება ინტერნეტ სივრცეში - „ფეისბუკის“ მინდვრებსა თუ სხვადასხვა საიტებზე, ფორუმებზე და სადღა აღარ. მაინც რა დგას და რა მოდის ღვარცოფად?

საზოგადოების დიდი ნაწილისთვის ინტერნეტი იქცა შინიდან გაუსვლელად ლანძღვისა და ბოღმის ნთხევის უებარ საშუალებად. სწორედ ამისთვის იყენებენ სხვადასხვა სოციალურ ქსელებს, იყენებენ სწორუპოვრად და ანგარიშმიუცემლად. ხან გეგონება მეტი დანიშნულება და ფუნქცია არც ჰქონდეს სოციალურ ქსელებს. არადა, ყველამ ვიცით, რომ ამ ქსელებსაც და საერთოდ ინტერნეტსაც ბევრად მეტი და ბევრად ღირებული დანიშნულება გააჩნია, მაგრამ ჩვენთან როგორ მოიხმარენ?

ვიღაც თავის ვოლზე დააგდებს სტატუსს, მერე ატყდება და რა ატყდება. ხან რომ გადახედავ მათ ღვარძლიან პოლემიკას, თავზარი დაგეცემა. ვიღაც პირდაპირ დაურიდებლად ლანძღავს მეორეს, ვიღაც შეფარვით კბენს და აწვეთებს გესლს, კითხულობ და ფიქრობ, ამდენ გესლს სად იტევთ? კასრებით გაქვთ? ან რითი ვერ გამოგელიათ? რამ გაგაბოროტათ?

სწორედ აქ ფეისბუკის მინდვრებში უპირისპირდებიან ერთმანეთს ოპოზიციისა და ხელისუფლების მხარდამჭერები. დაპირისპირება მშვენიერია, კამათიც კარგია - ჭეშმარიტებას შობსო, მაგრამ რასაც უმეტეს შემთხვევაში ვხედავთ, ეს არც კამათია და არც დაპირისპირება. ესაა ურთიერთლანძღვა და ფაშისტური დამოკიდებულება ყოველგვარი განსხვავებული აზრისა და შეხედულების მიმართ.

ლიბერალიზმზე, დემოკრატიულ ფასეულობების თაყვანისცემაზე დებენ თავს და იქვე რიხით ემუქრებიან ყველას ვინც განსხვავებულად ფიქრობს, მეგობრების სიიდან ამოგშლითო. მერმე კი ერთმანეთს ისე რიხით ამცნობენ, „ფრენდ ლისტი“ გავწმინდეო, წავშალე ხალხიო, ეჭვიც არ შეგეპარება რომ ეს ხალხი ვირტუალურ სივრცეში იკმაყოფილებს მოწინააღმდეგეთა გაჟუჟვის ფაშისტურ თუ ბოლშევიკურ ჟინს.

ხან არის შემთხვევები, რომ კამათი მართლაც ნორმის ფარგლებში მიდის, რამოდენიმე ადამიანი კორექტულად უზიარებს ერთმანეთს განსხვავებულ შეხედულებას, კორექტულადვე არ ეთანხმება, მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი გაახარებს ვინმეს განა? შეხტება ვიღაც და ააფრენს თავის ოფოფებს, გადავა პირდაპირ პიროვნულ შეურაცხყოფაზე, ლანძღვასა და გინებაზე. გინება კი იცოცხლე, იმდენსართულიანია, რამდენსართულიანიც ჯერ არ აგებულა ცათამბჯენებით განთქმულ ქალაქებში.

ვირტუალურ სამყაროში გინებას წინ რა უდგას? მითუმეტეს იმ შემთხვევაში, თუ ანონიმურად პოსტავ სხვადასხვა ფორუმებსა თუ საიტებზე? ათასგვარ ნიკებს ამოფარებულ ბოღმის ბუკეტებს, შეუძლიათ დაგაბრალონ რაც უნდათ, გამოგაცხადონ და გაგინონ როგორც უნდათ, თანაც იმ შემთხვევაში თუ შენ საერთოდ არაფერ შუაში ხარ. ან იმ ქვეშაფსიებს რა უნდა ელაპარაკო, ვინც ანონიმურად იგესლება და ილანძღება? კომპიუტერი კი გაქვთ, მაგრამ მოწოდებით თქვენ სწორედ 37-იანი წლების ღვიძლი შვილები ხართ, უბრალოდ არ გაგიმართლათ, გვიან გაჩნდით და თქვენ „ანონიმკებს“ ძალა აღარ აქვს, თორემ რა სიამოვნებით დაასმენდით ყველას, ვინც ნერვებს გიწეწავთ და ვისი წარმატებაც ყელში გეჩხირებათ! „აფსუს“, რა იოლად ჩამოიშორებდით გზიდან, რა იოლად გააფუჭებდით?! წახდა ხო, დრო?

თუმცა ისიც უნდა ვთქვათ, ვიღაც ანონიმურ ნიკებს სიმხდალის გამო ეფარება, ვიღაცას ნამუსი არ აქვს, მაგრამ იცის რომ ასეთი რამ არსებობს და იცის რომ საკუთარი გვარით და სახელით ლანძღვა ცოტა არ იყოს და სამარცხვინოა და ნიღაბს ეფარება. წინ წავიდა ცხოვრება. ადრე რომ ვიღაცისთვის დედა შეგეგინებინა საჯაროდ, ფართო აუდიტორიის წინაშე, ამისთვის რადიოში ან ტელევიზიაში მაინც უნდა მიეწვიე ვინმეს, ან გაზეთიდან მოსულიყო კორესპოდენტი. ამისთვის მინიმუმ „ფეისად“ უნდა ეცანი ვინმეს, და თან დიდი შანსი იყო რომ გაზეთის თუ ტელევიზიის ჟურნალისტი (თუ ნამუსი ჰქონდა) შენს უცენზურო გამოხტომას ამოჭრიდა, პირდაპირი ეთერის შემთხვევაში კი, ტელეწამყვანი - გაგაჩერებდა. ან უნდა გამოსულიყავი სადმე ხალხმრავალ ადგილას კიკასავით და აგეტეხა გინება. ახლა? არც „ფეისობა“ გჭირდება, არც ვინმეს დაპატიჟება, აგერაა ტრიბუნა და თუ „მეგობრებში“ ათასობით ხალხი გყავს, შეგიძლია აგინო იმას და ხმაც არ ჩაიხლიჩო.

ისე არ გამიგოთ, თითქოს, მხოლოდ პოლიტიკურ შეხედულებებზე მიდიოდეს ჯვაროსნული ომები „ფეისბუკის“ მინდვრებში თუ სხვადასხვა ინტერნეტ-ორღობეებში. სულაც არა, აქ ნახავთ, კოლეგების დატაკებას და იმას, თუ როგორ იყენებენ ინტერნეტს ერთმანეთის ჩასაძირად თუ ვიღაცის გასაპიარებლად, ერთმანეთისთვის გულის მოსაკლავად თუ სიცოცხლის ხალისის დასაკარგვინებლად. არც ის იფიქროთ რომ მარტო ლანძღვისა და ჩხუბისთვის იყენებენ ინტერნეტს. როგორ გეკადრებათ? საკმარისია, თვალი შეავლო ვინ ვის რას წერს საჯაროდ, ვინ ვის „სტატუსს“, თუ ფოტოს „ალაიქებს“ და რა წერია იმ „სტატუსებში“ რომ იმწამსვე ნათელი გახდება, ვინ ვის უძვრება და ვინ ვის ეპირფერება, ვინ ვის ემლიქნელება და ვინ ვის ახსენებს საკუთარ თავს და სთავაზობს თავის „ქვეშევრდომობას“ დიდსა თუ პატარა კლანში.

ადრე ეზოებთან ნახავდით წარწერას „ეზოში ავი ძაღლია“. ახლა? ვინ დათვალოს, ზღვაში ქვიშა და „ფეისბუკში“ „ავი ძაღლები“. ■

ილუზიონი

ზღაპარივით საამოდ შემოვიდა ჩვენს შეგნებაში სიტყვა - „ილუზიონი“.

ბევრმა არც კი ვიცოდით ამ სიტყვის მნიშვნელობა. შემოვიდა კი მთელი სიახლით საბჭოთა მოქალაქის ცნობიერებაში და ლეგენდასავით ჩაეჭდო ჩვენს გულებს.

ოფიციოზმა იმთავითვე საშიშროება იგრძნო ამ სიტყვაში და შეეცადა ბანალური გაეხადა ტელეგადაცემაც და მისი შინაარსის, სათაურის შეცვლასაც კი ეცადნენ...

რა არისო ილუზიონი?

ილუზია! საბჭოთა მოქალაქე ილუზიებით და ილუზიებში ხომ ვერ იცხოვრებსო?!

ხალხი კი ილუზიებში მართლაც ცხოვრობდა და ლეგენდარული გადაცემის ლეგენდარული წამყვანი, ბატონი ოთარ სეფიაშვილი ერთადერთი პიროვნება იყო, ვისაც ღია ეთერიდან ხალხი ილუზიური წარმოსახვებიდან გამოჰყავდა და ნამდვილ კინოხელოვნებას აზიარებდა.

ეს მაშინ (და ახლა მით უმეტეს) გმირობის ტოლფასი იყო. კვირიდან კვირამდე ვცხოვრობდით „ილუზიონისა“ და ბატონი ოთარის ტკბილი ხმისა და ბრძნული სიტყვის, საინტერესო ამბებისა და კინოშედევრების მოლოდინში.

ეთერში „ილუზიონის“ 750-ზე მეტი გადაცემა გავიდა, რომელთაგან ჩანაწერები არ შემორჩენილა დაუდევრობისა თუ მტრობა-გაჭირვების გამო. გადაცემის შუქ-ჩრდილის აღდგენას მხოლოდ შემონახული ავტორისეული ხელნაწერების აღდგენით ვიწყებთ.

ჟურნალ „მამულის“ რედაქცია ეცდება იმ ლეგენდარულ გადაცემათა ტექსტებისა და თესიზების დაბეჭდვით, დაგაბრუნოთ იმ დიადი ილუზიონის ეპოქაში.

ოთარ სეფიაშვილი,
ხელოვნების
დამსახურებული მოღვაწე

„ტრავიატა" მუსიკა ხილვად სახეებში

ახლა უკვე გულდაჯერებით შეიძლება ითქვას, რომ არსებობს კინოოპერა.

დიახ! არა ამღერებული ფილმი, არა საოპერო სპექტაკლის ეკრანიზება (როგორც უწინ იტყოდნენ, „ცხოველი სურათი"), არამედ ნამდვილი კინოოპერა. ამის კიდევ ერთი დასტურია ფილმი „ტრავიატა" - ახალი ჟანრის კანონებით სულჩადგმული სინთეზური ნაწარმოები, რომელშიც ორგანულად შერწყმულა დიადი მუსიკა, მაღალი ვოკალი და მათი პლასტიკური ხორცშესხმის სუფთა კინემატოგრაფიული საშუალებები. ბევრგან და ჩვენშიც მაყურებელმა ჯერ ფრთხილად აუღო ჭაშნიკი ამ სურათს, შემდეგ კი აღფრთოვანებული დაეწაფა როგორც ჯერარხილულ, ნამდვილ, ჭეშმარიტ მხატვრულ სიახლეს.

ფილმის შემოქმედია იტალიელი რეჟისორი ფრანკო ძეფირელი - წარმოშობით ფლორენციელი, განათლებით არქიტექტორი. იგი კინოხელოვნებაში „დიდმა მაესტრომ" - ლუკინო ვისკონტიმ დამოძღვრა, რომელთანაც შეგირდ-ასისტენტად მუშაობდა ფილმებზე „მიწა ცახცახებს", „ყველაზე ლამაზი", „გრძნობა". ასე აღმოჩნდა ძეფირელი ომისშემდგომი საზღვარგარეთული კინოს ყველაზე თავანკარა მდინარების - ნეორეალიზმის სათავეებთან, რომლის მაღალი ადამიანური და მხატვრული პრინციპებისადმი ერთგულებამ მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა მისი შემოქმედება.

მას შემდეგ, აგერ უკვე ოცდაათ წელიწადზე მეტი ხანია, რაც ეს თვითმყოფი რეჟისორული ხელწერით გამორჩეული ხელოვანი მოღვაწეობს დრამატულ და საოპერო სცენებზე, იღებს ფილმებს, საყოველთაო აღიარება კი მოიპოვა შექსპირის ქმნილებების ბრწყინვალე რეჟისორული ხორცშესხმით თეატრსა და კინოში, თორემ ძეფირელი კრიტიკის ქარცეცხლშიც არაერთგზის გაუტარებიათ იმ რელიგიური აპოკრიფებისათვის, რომლებსაც ორიგინალური სცენარებით იღებდა ვატიკანის დაკვეთით... იმთავითვე „უჩვეულოდ თამამი და მოულოდნელი" სპექტაკლები უწოდეს შექსპირის სამშობლოში მის მიერ სცენაზე დადგმულ „ოტელოს", „ჰამლეტს", „აურზაურს არაფრის გამო"... შემდეგ გადაიღო ფილმი „ჭირვეული ცოლის მორჯულება", რომელსაც კრიტიკოსებმა „სიხარულით გაცისკროვნებული სენსაციური სურათი" შეარქვეს და რომელმაც საბოლოოდ დაუმკვიდრა მას რეჟისორ-შექსპიროლოგის სახელი. თავად ძეფირელის კი, ეს ფილმი რამდენადმე თეატრალურად მიაჩნდა და აღნიშნავდა: „სწორედ ამიტომ მოვიწადინე კინოსაკენ კიდევ ერთი ნაბიჯის გადადგმა და ეკრანზე გადავიტანე „რომეო და ჯულიეტა". ჩემი აზრით, ეს უკვე სუფთა კინოა".

მაგრამ კინოსაკენ ამ „კიდევ ერთი ნაბიჯის" გადასადგმელად და „სუფთა კინოს" მისაღწევად რეჟისორი მთელ რვა წელიწადს ემზადებოდა, ეძებდა ტრაგედიის ახლებურ ახსნას, საკუთარ კონცეფციებს ამოწმებდა სხვადასხვა თეატრალური დადგმით. პირველად 1980 წელს ლონდონის „ოლდ ვიკში" დადგა „რომეო და ჯულიეტა", რომლის გამო ცნობილი შექსპიროლოგი კენეტ მური წერდა: ძეფირელისეული სპექტაკლი, ჩემი აზრით, „რომეო და ჯულიეტას" ყველაზე საუკეთესო დადგმაა, რომელიც კი ოდესმე მინახავსო. შექსპირის ოთხასი წლისთავის ზეიმისათვის ეს ქმნილება, ამჯერად იტალიურ ენაზე, კვლავ ახლებურად დადგა ვერონაში - ქალაქში, სადაც დატრიალდა უიღბლო შეყვარებულთა ტრაგედია. შემდეგ „რომეო და ჯულიეტას" დადგმის კიდევ ერთი ახალი ვერსია განახორციელა მან რომის კვირინოს თეატრში. ეს სწორედ ის სპექტაკლია, 1966 წლის შემოდგომაზე მოსკოვში გასტროლებისას რომ წარმოადგინა იტალიურმა დასმა ძეფირელის ხელმძღვანელობით. მასში უკვე თვალნათელი იყო ის ახალგაზრდული სულისკვეთება და თამამი რეჟისორული მიგნებანი, რაც ესოდენ ემოციურად გამოიხატა 1968 წელს გამოსულ საქვეყნოდ გახმაურებულ ფილმში. სხვათა შორის, იმავე გასტროლებზე იტალიურმა დასმა წარმოადგინა ძეფირელისეული მეორე დრამატული სპექტაკლიც - ვერგას „ძუ მგელი", რომელშიც ბედნიერება გვხვდა დიდი ანა მანიანის ცოცხლად ხილვისა.

ფრანკო ძეფირელის მრავალი ოპერა განუხორციელებია სხვადასხვა ქვეყნის სცენაზე, მათ შორის ისეთი საყოველთაოდ ცნობილი სპექტაკლები, როგორიც გახლდათ „ბოჰემა" - „ლა სკალაში" და შექსპირული ციკლი ვერდის ოპერებისა - „მეტროპოლიტენ ოპერაში". ამბობენ, „ტრავიატაც", სულ ცოტა, ხუთჯერ მაინც აქვსო დადგმული, რომელთაგან ერთ-ერთში ვიოლეტას მღეროდა ლეგენდარული მარია კალასი, ხოლო ერთ-ერთ თეატრში ბროდვეიზე დაუდგამს „კამელიებიანი ქალი" - სუზენ სტრასბერგის მონაწილეობით. თითქოსდა ვის, რომელ ხელოვანს უნდა ჰქონოდა სურვილი და სრული უფლებაც „ტრავიატას" ეკრანზე ხორცშესხმისა, თუ არა ძეფირელის? მაგრამ რაგინდ საოცრადაც არ უნდა გვეჩვენოს, ეს ყოველივე მისდაუნებურად მოხდა.

როცა ამ სამი წლის წინათ ფრანკო ძეფირელიმ დაიწყო „ტრავიატას" გადაღება და ისიც ცნობილი გახდა, რომ ფილმში ჩართულ საბალეტო დივერტისმენტში მონაწილეობის მისაღებად მან ცნობილი რუსი მოცეკვა-

ვეები - ეკატერინე მაქსიმოვა და ვლადიმერ ვასილევი მიიწვია, რეჟისორს რომის კინოქალაქ „ჩინეჩიტაში“ ეწვია რუსი კორესპონდენტი და ინტერვიუ სთხოვა. ჟურნალისტის პირველსავე კითხვაზე - ამჯერად მაინც და მაინც „ტრავიატა“ რატომ აირჩიეთ გადასაღებადო, ძეფირელის ღიმილით უთქვამს: „იმიტომ, რომ სხვამ არ დამასწროს“.

ეტყობა, კორესპონდენტი ვერ ჩასწვდა ამ პასუხის ქვეტექსტს, თორემ რეჟისორის ნათქვამს მთლად ხუმრობად არ მიიჩნევდა. საქმე ის გახლავთ, რომ ძეფირელი არ აპირებდა ამ კინოოპერის შექმნას. იგი ოცნებობდა ფილმზე, რომელშიც გადმოსცემდა ოპერის ლიტერატურული თავწყაროს, ალექსანდრე დიუმა-შვილის მოთხრობის გმირის - მარგარიტა გოტიეს რეალური პროტოტიპის - მარი დუპლესის ხასიათსა და ცხოვრების სევდიან ამბავს. მაგრამ დაიგვიანა, უფრო სწორედ, დაასწრეს. დაასწრო მისსავე თანამემამულემ, კინორეჟისორმა და საოპერო სპექტაკლების ცნობილმა დამდგმელმა მაურო ბოლონინიმ, რომელმაც გადაიღო ფილმი „კამელიებიანი ქალის ნამდვილი ამბავი“.

სხვათა შორის, მოხდა ისე, რომ ბოლონინის ფილმი და ძეფირელისეული „ტრავიატა“ ერთდროულად, პარალელურად მიდიოდა ეკრანებზე 1983 წელს მოსკოვის საერთაშორისო კინოფესტივალზე. მოგეხსენებათ, დიდი მსოფლიო კინოდათვალიერებანი მარტო კინოვარსკვლავთა „ამაოების ბაზარი“ კი არა, ნამდვილი კინობაზრობაცაა და ამიტომ ყოველ ფილმს მუდამ თან ახლავს მყვირალა რეკლამაც. ამჯერად დასავლეთის პრესა საგანგებოდ ამახვილებდა გულისყურს „ტრავიატას“ დადგმის მასშტაბურობაზე, აღნიშნავდა, ეს „ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული ფილმია“ კინოს ისტორიაშიო; რომ სურათში მონაწილეობს „მეტროპოლიტენ ოპერის“ გუნდი და ორკესტრი სახელგანთქმულ ჯეიმს ლევინის დირიჟორობით, ხოლო მთავარ პარტიებს ასრულებენ თანადროული ვოკალური ხელოვნების ბრწყინვალე წარმომადგენლები - ბერძენი ტერეზა სტრატასი და ესპანელი პლაჩიდო დომინგო; რომ მაყურებლები მოიხიბლებიან რუსული ბალეტის „ვარსკვლავების“ დახვეწილი და ცეცხლოვანი ცეკვის ხილვით; რომ ფილმში თვალისმომჭრელ დეკორაციებს ტოლს არ უდებს შესანიშნავი ნატურალური გადაღებანი და სხვ.

კაცმა რომ თქვას, ეს ყოველივე გაბუქული რეკლამა კი არა, სიმართლე გამოდგა და მაყურებელს მოლოდინი არ გასცრუებია. თანაც, ეს ის ბედნიერი შემთხვევაა, როცა „მდიდრულ დადგმაში“ არ იგრძნობა გადამლაშება და საეჭვო გემოვნება, ჩვეულებრივ, ე.წ. „სუპერფილმებს“ რომ ახლავს ხოლმე. შემთხვევით არ უთქვამს ძეფირელის ერთ-ერთ ინტერვიუში: მინდა ისე გადავიღო „ტრავიატა“, რომ ეკრანზე შევქმნა გრანდიოზული მუსიკალურ-ფერადოვანი სანახაობა და თან ვცდილობ, ფეხი არ გადამიცდეს ამერიკული „მიუზიკლების“ გზასავალისაკენო.

კინოოპერა რამდენადაც იშვიათი, იმდენად უჩვეულო და ძნელად დასაოკებელი ჟანრი აღმოჩნდა კინოშემოქმედებაში. მაგრამ განა მართლა ასე წარმოუდგენელი იყო ის სიმაღლე, რომელსაც იპყრობს ეს ჟანრი ძეფირელისეული „ტრავიატათი“? მომენტის ნებით, - თანადროულ კინოში მიმდინარე პროცესების წვდომის შედეგად თუ თავად ხელოვანის უტყუარი ალღოს წყალობით, - რეჟისორი სწორედ იმ გზაჯვარედინზე აღმოჩნდა, სადაც თავს იყრიდა და ერთმანეთს კვეთდა ეკრანულ ხელოვნებაში მრავალი წლის ძიებათა მიმართულებანი. ყველა მომენტისა თუ წინამორბედის დასახელება ძნელია, იქნებ არც არის საჭირო, ზოგიერთის გახსენებას კი ვერ ავცდებით.

ჯერ იყო და, თავად ფრანკო ძეფირელიმ გადაიტანა ეკრანზე მის მიერ „ლა სკალას“ სცენაზე განხორციელებული „ბოჰემა“. შემდეგ, 1974-ში, შვედმა ინგმარ ბერგმანმა, რომელიც საუცხოო საოპერო სპექტაკლების დადგმითაცაა ცნობილი, თითქოს ერთი ამოსუნთქვით გადაიღო მოცარტის „ჯადოსნური ფლეიტა“. გამოხდა სამი წელი და ეკრანებზე გამოჩნდა მოცარტის მეორე ოპერა - „დონ ჟუანი“ - ამერიკელ ჯოზეფ ლოუზის მიერ დადგმული. სამივე ფილმმა უმალ მიიქცია კრიტიკოსთა და კინემატოგრაფისტ-პროფესიონალთა გულისყური, გამოიწვია კამათი, სჯანი და, იმავდროულად, გამოავლინა ამ სახის ეკრანული ნაწარმოებებისადმი ფართო მაყურებლის რამდენადმე მოულოდნელი ლტოლვა და ინტერესი... 1983-ის მიწურულში, სწორედ იმ წელს, როცა ძეფირელისეული „ტრავიატა“ გამოვიდა, იტალიაში შედგა კიდევ ერთი კინოოპერის - „კარმენის“ პრემიერა, რომლის დადგმაც განახორციელა რეჟისორმა ფრანჩესკო როზიმ. თითქმის იმავე პერიოდში, ესპანელი კარლოს საურა ზედიზედ იღებს სინთეზური ჟანრის ორ ფილმს: „სისხლიან ქორწილს“ - გარსია ლორკას მიხედვით შექმნილ ბალეტს, და „კარმენს“ - ესპანური ბალეტის, მერიმესა და ბიზეს მოტივებზე შესრულებულს, ხოლო იტალიელი ეტორე სკოლა უშვებს ასევე „ქორეოგრაფიულ“ ფილმს „მეჯლისს“... (შემდეგ ყველა ეს ფილმი უჩვენეს „ილუზიონში“. რედ.).

ძნელი დასაჯერებელია, რომ თანადროული მსოფლიო ეკრანის ამ თვალსაჩინო ოსტატებს მხოლოდ ახალ ჟანრში თავის ცდის ჟინი ამოქმედებდათ - ეს, ერთის შეხედვით, თითქოსდა შემთხვევითი ფაქტები, ერთად თავმოყრილი, რაღაც მოვლენის იერს იღებდა. ახლა, ამ ფილმებთან დაკავშირებით, ხშირად იხსენებენ იმ უკე-

თილშობილეს მისიას, რომელიც იმთავითვე იტვირთა კინომ - ყოფილიყო მედიუმი ანუ შუამავალი სხვა ხელოვნებათა და მილიონობით მაყურებელს შორის, მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში მიეტანა იშვიათი და ძვირადღირებული, უმეტეს შემთხვევაში, ფართო მასებისათვის მიუწვდომელი საოპერო სპექტაკლები, საბალეტო წარმოდგენები, გამორჩეული ნიჭის მსახიობთა მაღალი ხელოვნება. ცხადია, ამ მხრივაც ფასდაუდებელია კინოოპერებისა თუ ფილმ-ბალეტების მნიშვნელობა, მაგრამ არა მგონია, რომ ცნობილ ხელოვანთ თუნდაც მარტო თავიანთი კულტურულ-პროპაგანდისტული დანიშნულების შეგნება ამოძრავებდათ. რაღა თქმა უნდა, არსებობს რაღაც სხვა, თავად კინემატოგრაფში მიმდინარე თვალხილული თუ ხშული პროცესები, რომლებიც განსაზღვრავენ ამ ფაქტებისა თუ მოვლენის გაჩენას.

ამჟამად მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ძალზე დაეცა კინოთეატრებში მაყურებელთა დასწრების მაჩვენებელი. მრავალ მიზეზთა შორის, როგორც ერთ დროს - ტელევიზიის კონკურენციას, ასახელებენ ვიდეოკასეტური კინოს ფართოდ გავრცელებას, იდეათა თუ იდეალების კრიზისს; ტექნიკური სრულყოფის მიუხედავად, კინოს სულიერად გაღარიბებას; იმასაც, რომ უკვე მეოთხედი საუკუნეა ეკრანზე აღარ დამკვიდრებულა რაიმე ძალოვანი ახალი მხატვრული მიმდინარეობა და სხვ. ეს ის ფაქტებია, რომლებიც კინოცხოვრების ზედაპირზე დევს და ყველასათვის ადვილად დასანახია. მაგრამ ჭეშმარიტი მხატვრის ბუნება ფაქიზად იჭერს თავად ხელოვნების წიაღში მიმდინარე პროცესების გამოძახილს. დროის იდუმალ მაჯისცემას მიყურადებული ხელოვანნი, დიდი კინემატოგრაფიული ფორმებისა და მხატვრული განზოგადების ახალ საშუალებათა ძიებისას, ახლებური ემოციური ზემოქმედების საიდუმლოთა აღმოსაჩენად სულ უფრო ხშირად მიმართავენ და უღრმავდებიან მუსიკას.

შემთხვევითი არ არის, რომ ბოლო ხანს იტალიელი კინოკრიტიკოსები ასე დანიაზებით აცხადებენ: ჩვენში შექმნილი საუკეთესო ფილმები, ლიტერატურით კი არა, ფერწერითა და მუსიკით არის შთაგონებულიო.

და აქ, ალბათ შეიძლებოდა ისევ გაგვეხსენებინა ლუკინო ვისკონტი, გაგვეზიარებინა მკვლევარების აზრი, რომ „მის ფილმებში გვხვდება ოპერული შინაარსისა და სტრუქტურების ელემენტები, მეტადრე, „ღმერთების დაღუპვაში“, „ვენეციაში სიკვდილისა“ და „ლუდვიგში“ ვერდის, ვაგნერის, პუჩინის საოპერო იდეები ხორცშესხმულია არაოპერული საშუალებებით“.

ძეფირელი კი, როგორც აღვნიშნეთ, მრავალი წლის განმავლობაში თანამშრომლობდა ვისკონტისთან, იყო მისი შეგირდი და თანამოაზრე. მართალია, თავად ვისკონტის საკუთარ კინოშემოქმედებაში ერთხელაც არ მიუმართავს თეატრალური პიესისათვის, არც კინოოპერის შექმნა უცდია ოდესმე, ხოლო ძეფირელიმ სწორედ შექსპირის ქმნილებების ეკრანიზაციებით მოიპოვა აღიარება კინოში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ იგი ყველაზე ერთგული მიმდევარი აღმოჩნდა „დიდი მაესტროსი“. ვისკონტისეულად გვესახება მის შემოქმედებაში ფაქიზი სტილიზაციის ხელოვნება, ლტოლვა ჭეშმარიტად მდიდრული და დიდებული დადგმებისაკენ. გულისყური დეტალებისადმი და მისი თვალისმომჭრელად გამოხატვის უნარი, დაუცხრომელი ძიება ხელოვნების „უკვდავ შედევრებში გამხელილი წარსულისა და თანადროულობის ცოცხალი კავშირისა“... მისი შემოქმედების მკვლევარები თითქმის ერთხმად აღნიშნავენ, რომ „ძეფირელის წარმოსახვა უფრო ცოცხლად ეხმიანება ესთეტიკურ აღგზნებას, ვიდრე უშუალო ცხოვრებისეულ შთაბეჭდილებებს“, რომ ხელოვანის მხატვრული ფანტაზია „თითქოს პირუკუ მოძრაობს - ხელოვნებიდან ცხოვრებისაკენ, ხოლო შემდეგ - ახალი ესთეტიკური სიმაღლისაკენ“.

და მართლაც, „რომეო და ჯულიეტას“ თუ „ჭირვეული ცოლის მორჯულების“ ეკრანიზაციებში რეჟისორი ერთდროულად წარმოგვიდგება ღრმა მკვლევარ-შექსპიროლოგადაც და მძაფრი ვნებების მხატვრადაც, რომელიც საოცრად ფაქიზი და გულისხმიერია დროის მოთხოვნებთან დამოკიდებულებაში. მას უხვად შემოაქვს ამ ფილმებში ხილვადი ისტორიული დეტალები, სულს უდგამს ყოფით ფერწერულ სურათებს და როგორც რეალურ ადამიანთა ნამდვილ ცხოვრებისეულ ამბავს, ისე გადმოგვცემს ვერონელი შეყვარებულების ტრაგედიასა თუ ადრეული რენესანსის ლაღი სულისკვეთებით გამსჭვალული კომედიის სიუჟეტს.

გავიხსენოთ, რომ „რომეო და ჯულიეტა“ ეკრანებზე გამოვიდა მშფოთვარე და მბორგავ 1968 წელს. მაყურებელმა იქვე იგრძნო, რომ სურათში, - მეთექვსმეტე საუკუნის გარემოსა და კოსტიუმებში, - ბობოქრობს თანადროული ახალგაზრდობის ვნებანი. „ჩემი წადილია, - წერდა იმხანად ფრანკო ძეფირელი, - რომ დღევანდელმა ახალგაზრდობამ თავისი თავი დაინახოს ფილმის გმირებში, პარალელი გაავლოს ოთხი საუკუნის წინათ ვერონაში მომხდარ ტრაგედიასა და ამჟამინდელ მღელვარე დღეებს შორის“. რეჟისორი ცდილობდა და კიდევაც აღწევდა თანადროულ ახალგაზრდობაში ემოციური თანაგრძნობის გამოწვევას, რითაც უშუალო, ცოცხალ კავშირს ამყარებდა ოთხსაუკუნოვან კლასიკასა და დღევანდელ მაყურებელს შორის.

ასევე „გვიყვება“ ძეფირელი „ტრავიატასაც“. თითქოს ვერ გაიმეტაო ის თავისი პირველყოფილი ჩანაფიქრი,

რეალურ მარი დუპლესზე რომ უნდოდა ფილმის გადაღება, და ეკრანზე შემოჰყავს არა ლეგენდებით დაბინდული ოპერის პერსონაჟები, არამედ ცოცხალი ადამიანები - თავიანთი მიწიერი ვნებებით, ნამდვილი სიყვარულით გულაძგერებულნი, სიხარულით გაცისკროვნებულნი და ტანჯვით ამაღლებულნი... ფილმში რაღაც ჯადოქრობით დაძლეული და გადალახულია ოპერული სტატიკა, ყველა და ყველაფერი მოძრაობს, ტრიალებს, გამთბარია სიცოცხლის სუნთქვით, მუსიკა ხილვადი სახეებით იდგამს სულს. ეკრანზე თავად ვერდისეული პარტიტურის დრამატული კონტრასტულობის თანხმიერი და განმცხადებელია ორი შუქფერი: მზის სიკაშკაშე და ოქროცურვილი გამოხატავს სიცოცხლის ზეიმს, ბინდბუნდის სილურჯე და წყვდიადი - სნეულებასა და სიკვდილს. ფილმში პოეტური მგზნებარებითა და ღრმა ლირიზმით არის აჟღერებული თემა ოპერისა - შეუბოჭავი, შინაგანად ლაღი და თავისუფალი პიროვნების სიდიადის თემა. მის განცდასა და გამოხატვას ემორჩილება მთლიანად სურათის სახეობრივი წყობა.

„ტრავიატა“ იტალიურ ენაზე გადამცდარს, უკეთურ გზაზე მავალს ნიშნავს. განა ისეთი რა ჯადო-თილისმა დაჰყვა დიუმა-შვილის მელოდრამას, რომ ასე გატაცებით და შთაგონებით თამაშობდნენ მარგარიტა გოტიეს სცენასა თუ ეკრანზე - სარა ბერნარი, ელეონორა დუზე, გრეტა გარბო, ჩვენი ვერიკო ანჯაფარიძე. რაღა თქმა უნდა, არა მოთხრობისა თუ პიესის რაიმე განსაკუთრებული ლიტერატურული ღირსებები, არამედ ერთი კონკრეტული ქალის სულიერი აღორძინების, მისი შინაგანად საოცარი მთლიანი ნატურისა და უჩვეულო სვებედის ცხადლივ გამოხატვის შესაძლებლობა ხიბლავდა დიდ მსახიობებს... ამ ფილმშიც მართლა ბედნიერი მიგნებაა ვიოლეტას როლისა და პარტიის შემსრულებელი ტერეზა სტრატასი - საყოველთაოდ აღიარებული ვოკალისტი, ბრწყინვალე სოპრანო (ზოგს იგი „ტრავიატაში“ მარია კალასის მემკვიდრედაც მიაჩნია), რომელიც ჟრუანტელის გრძნობამდე ნიჭიერი დრამატული მსახიობიც გამოდგა. მის მქრქალ სახეზე აკიაფებულ დიდრონ თვალებში, უმსუბუქეს ჰაეროვან მოძრაობაში გამოსჭვივის გულისხმას მინდობილი ქალის ნატურა, ძალა მისი ვნებათაღელვისა, მის არსებაში გაღვიძებული სულიერობის სიღრმე. ფილმი „მოჩარჩოებულია“ მელოდრამის ფინალური სცენით: უკურნებელი სენისაგან ჯანგამოჭმული ვიოლეტა იხსენებს თავის არცთუ შორეულ წარსულს, იმ ბედნიერ დღეს, როცა პირველად შეხვდა ალფრედს. და ტერეზა სტრატასი გრძნობათა მთელი გამით გვარწმუნებს, რომ ეს მოგონებანი კი არა, მისი სულის ზეიმია, რომელიც მოუშლელად ხმიანობს მის სამყაროში და რითაც იგი თვით ტანჯვის ჟამსაც კი ბედნიერია.

ყოველივე, რასაც იგი ეკრანზე წარმოსახავს, სულაც არ ჰგავს განცდათა თამაშს, ცოცხალი ძარღვის ფეთქვად უფრო წარმოგვიდგება და შეუძლებელია, ჩვენში არ იწვევდეს ემოციურ თანაგრძნობას...

ფილმ „ტრავიატაში“ ბედნიერად შეწყვილდა ორი მუზა - მარად ახალგაზრდა კლასიკური მუსიკა და უმრწემესი მუზათა შორის - კინემატოგრაფი. ფრანკო ძეფირელი ამჯერადაც დანდობილად მიჰყვება კინოში მაღალი სახვითი კულტურის გზას, ავითარებს ე.წ. „იტალიური ისტორიული ფილმის“ სკოლის ხელოვნებას, აღწევს წარსულის ჰუმანისტური ტრადიციებისა და დღევანდელობის თანახმიერებას. თავად უთქვამს: „ჩვენ, იტალიელებს, არცთუ მცირე განძი გვაქვს დადებული ხელოვნების საჭურჭლეში, მთელ კაცობრიობას რომ ეკუთვნის. ოპერა კი ის სახეობაა ხელოვნებისა, რომლითაც საყოველთაოდ მოვიხვეჭეთ სახელი. ამის შეგნებაც მაქეზებდა და შთამაგონებდა „ტრავიატას“ ეკრანზე ხორცშესხმას“.

უეჭველია, ძეფირელისეული კინოოპერა „ტრავიატა“ ნამდვილი იტალიური სულის გამომხატველი ფილმია და, როგორც ყოველი ჭეშმარიტი ეროვნული ქმნილება, ზოგადკაცობრიულ ჟღერადობასაც იძენს.

ამიტომაც არ ემორჩილება დროსა და სივრცეს.



რედაქციისაგან:

დასაწყისში დავწერეთ, რომ „ილუზიონი“ ცოცხლდება სასტამბო კაბადონებში. ჩვენ აგრეთვე უნდა გავაცოცხლოთ ერთი მაშინდელი ლამაზი და თბილი ტრადიციაც... ურომლისოდაც წარმოუდგენელია სიყვარულიც!

გადაცემის ავტორი ათასობით მაყურებელთა წერილებს ღებულობდა, შთაბეჭდილებებს უზიარებდნენ, თხოვნებსაც უმხელდნენ ხოლმე.

„ილუზიონთან“ ერთად ჩვენი რედაქცია ამ ტრადიციასაც აცოცხლებს. რედაქციის მისამართზე შეგიძლიათ გამოგზავნოთ თქვენი აზრები, შეხედულებები, სურვილები, მოგონებები... მათ პირადად ბატონი ოთარ სეფიაშვილი გაეცნობა და უპასუხებს.

ამით, თხუთმეტიოდე წლის წინ ჩატეხილ ხიდსაც აღვადგენთ!

ფილმის ნახვა შეგიძლიათ ამ ლინკზე:

http://www.youtube.com/watch?v=bW2DI9TBhSc&feature=related

რა უშველის ქართულ როკს?

❖ ნიკო ნერგაძე,
ჟურნალისტი,
რადიოწამყვანი, ბლოგერი

თვალს გაახელ, ბლოგს გადაშლი თუ ტელევიზორს შეხედავ, ყველგან ქართული ესტრადის ლანძღვას ნახავ. ზოგი გულწრფელად განიხილავს, რატომაა ასეთ ცუდ დღეში და როგორ შეიძლება გამოვაცოცხლოთო. უფრო მეტი კი უშვერი სიტყვებით მოიხსენიებს. ცოტა ნაკლებად გოიმები იმათ დასცინიან, ვისაც ცოტა მეტად გოიმებად მიიჩნევენ. ესენიც ჰოულობენ თავისზე დაბალ ღობეს და ბოლოს ყველა ერთად ნინო ჩხეიძეს შესდგება – საკუთარი უჰირატესობა რომ დაამტკიცონ.

საყოველთაოდ მიღებულ ჭეშმარიტებად დამკვიდრდა, რომ ესტრადის ხალხი სხვა, „უფრო ღირსეული“ ტიპების ადგილს იკავებს ქართულ მედიაში. (რავი, შეიძლება ვაჭარბებ და არ დამკვიდრებულა, მაგრამ ეგ არგუმენტი არაერთხელ მსმენია.) არა მგონია, მართლა ეგრე იყოს. რა, ლელა წურწუმია უშლის ხელს Kung Fu Junkies-ს? ანრი ჯოხაძე რომ არა, ZurGi უფრო პოპულარული იქნებოდა? „ნანუკას შოუმ“ შესვა ხალხი ეთერ კაკულიაზე, თორემ ისე Landmark-ის სმენით ვერ ძღებოდნენ?

არ მჯერა მე მაგისი.

არც ის მაწუხებს, დაბალი დონის იქნება თუ მაღალის ეს ქართული ესტრადა. არც ასეთი მინდა და არც ისეთი. იყო დრო, რამდენიმე წლის წინ, როცა ნორმალური, კარგი ან არაუშავსრა პოპსიმღერები გადიოდა ხოლმე ტელევიზორში - სტეფანეს „ხელები“, გიგა მიქაბერიძის რამდენიმე სიმღერა, ლექსენის რაღაცები (რაღაც პონტში), კიდევ რამდენიმე...

მერე რაა, რო?

ქართული პოპი კი არა, იმ ხალხის უმეტესობას, ვინც ესტრადას ლანძღავს, მაინცდამაინც არც უცხოური, ხარისხიანი პოპი უყვარს. ლედი გაგა, ვთქვათ. რა, მოგწონს? ალბათ, არა! არადა, ძალიან არა მგონია, Bad Romance-ის ტოლი სიმღერა დაწეროს ვინმე ჩვენიანმა.

მოკლედ, ამ ესტრადის კრიტიკა წყლის ნაყვა მგონია. იმათიც არ მჯერა მაინცდამაინც, ვინც ამბობს, რომ აი, ხალხია ცოდო, „სამი დალიეს“ რომ უსმენს და გემოვნება უქვეითდებაო.

ხალხს აშტერებს? არა მგონია, მაგრამ, ეგრეც რომ იყოს... დააშტეროს! ვინც გია სურამელაშვილს გამოალაყებინებს თავს, ღირსიცაა, გამოლაყდეს.

ვისაც ესტრადაზე შესტკივა გული, იმან იდარდოს - ცოტა უარესი სიმღერები იქნება მოდაში თუ ცოტა უკეთესი. მაგათ იმსჯელონ, „ნაკლებად გოიმური“, ირონიულად შესრულებული რესტორნულები ჯობია (გომართელის „ვილკა, რუმკა ი სალფეთკა“ ან კახაბერის „პაჩკა პაჩკა დოლარები“) თუ „მეტად გოიმური“, გულწრფელად ნამღერი ეგეთივე სიმღერები (ნინო ჩხეიძე ან ბუჭუნა და თამაზი).

კვდება ქართული შოუბიზნესი?

დე, მოკვდეს!

ან, რავი, არ მოკვდეს. თუ გინდა, აღზევდეს. მაგის მუშტარი არც ისე ვართ მე და შენ და არც ასე. დავანებოთ თავი.

იკითხავ, იმას რა ვუყოთ, თვითონ რომ არ გვანებებს თავსო?

ეგეც მართალია, მაგრამ მოდი, სხვანაირად ვთქვათ. მთავარი პრობლემა ის კი არ არის, რომ ესტრადაა ბევრი, არამედ ის, რომ როკია ცოტა (როკში ვგულისხმობ ყველაფერს, რაც ესტრადა არ არის. პრეტენზია რომ აქვს, ისეთ მუსიკას - გინდა ინდი იყოს და გინდა დრიმ-პოპი და გინდა ხარისხიანი სოული. თუ გინდა ელექტრონული მუსიკაც მივათვალოთ. არ არის როკი, მაგრამ სიმარტივისათვის დავუძახოთ. ჩვენი ნება არ არის?

აი, წარმოიდგინე, კვირაში ერთხელ, თუ გინდა თვეში ერთხელ რომ შეგეძლოს კაცს ნორმალური ქართული

ჯგუფის მოსმენა კონცერტზე. მერე დიდი პრობლემა იქნებოდა, „პროფილში“ ვინ იმღერებდა და ვინ არა?

ჰოდა, მგონი, უკეთესი იქნება, თუ ნაკლებს ვილაპარაკებთ ესტრადაზე და მეტს - არაესტრადაზე. უფრო ნაყოფიერი იქნება „ჩვენიანების“ ავკარგის განხილვა, ვიდრე აჩი მეფარიძით გულის მოფხანა.

მეც გადავწყვიტე, ჩემი წვლილი შემეტანა მაგ საქმეში და ვიფიქრე, სტატიას დავწერ-მეთქი. დაწყებიდან სამი კვირის თავზე აღმოვაჩინე, რომ უგრძესი რაღაც გამოდის.

* * *

რა უშველის ქართულ როკს?

ქართულ ესტრადას ხშირად აკრიტიკებენ ხოლმე იმის გამო, რომ რაღაც სისულელეებზე მღერიან. სამართლიანადაც: წვიმა მოდის, მასველებს; უშენოდ გატარებულ ღამეებზე ვფიქრობ; რა იქნება, ერთი ლამაზი ღამე მაჩუქო; წვიმას გავანდობ შენზე ფიქრებს; კისერში მაკოცე, თბილისო... არის კი რამე ამაზე უარესი?

კი, არის. ქართული როკი.

ქართულ ესტრადას ხშირად აკრიტიკებენ ხოლმე იმის გამო, რომ რაღაც სისულელეებზე მღერიან. სამართლიანადაც. ხომ იცით, არა? წვიმა ასველებს ჩემს თბილისს და აი, ისევ აღმაშენებლის ხეივნის მეთერთმეტე კილომეტრისკენ მიმიწევს გული, იქ გაგანდობ მოგონებებს ლამაზ ღამეზე, თუ დაგივიწყო, დვრილებიც დამისკდეს... არის კი რამე ამაზე უარესი?

კი, არის. ქართული როკი.

ქართული როკი, როცა კარგია, მართლა კარგია. ალბათ კარგა 40-50-მდე აზრიანი სიმღერა დაგვიგროვდება, შეიძლება მეტიც. ზოგი წყლის მოტანაზეა, ზოგი ტოლსტოის ანაზე, ზოგიც ჭეშმარიტებაზე. მოკლედ, ეს ის სიმღერებია, რომლებშიც ზოგი თავის განწყობას ამოიცნობს, ზოგი სხვისას გაიგებს. ზოგი სიმღერა კარგი მოწოდებაა, ზოგი კი არც განწყობას გადმოსცემს და არც არაფრისკენ მოგიწოდებს, უბრალოდ საკაიფოა.

თუმცა, ეგრე არც ესტრადაა ჯაბანი. რომ ჩამოყვე, იქ ვინძლო მეტი დაგროვდეს აზრიანი სიმღერა. სხვა თუ არაფერი, ზოგის ტექსტის ავტორი გალაქტიონია, ზოგისაც კი - ანა კალანდაძე. საშუალო საესტრადო სიმღერებიც კი, რომლებიც ენის ნაკლები ოსტატების დაწერილია, ხშირად არცთუ ცუდად გადმოსცემენ გრძნობებს - სიყვარულს, როგორც წესი, მაგრამ სხვა რამეებსაც - ახალგაზრდა ლოთი ბიჭის პრობლემებს, ვთქვათ, ან იმას, რომ დათვრები და, ავოეეე ადანდალი დანდალი რომ ხარ.

კი, საშუალოზე უარესი ესტრადის უმეტესობა უაზრო სიმღერებია წვიმაზე და გატანჯულ ღამეებზეა. კარგზე უარესი როკი კი, როგორც წესი, საერთოდაც არაფერზე არ არის. კი, რაღაც სიტყვები გესმის, უფრო ხშირად ინგლისური, მაგრამ იქიდან, უმეტეს შემთხვევებში არც არაფერი მოდის. მარტო ნორმალური მუსიკა, გასაგები ტექსტის გარეშე კი საკმარისი იშვიათადაა.

ვიდრე გავაგრძელებდეთ, ერთი გადახვევა გვჭირდება. იმის გასარკვევად, თუ ვინ სად ვდგავართ და რას რატომ ვამბობთ. იმიტომაცაა საჭირო, რომ ეს დაწერილი ერთგვარ თავდასხმად ჩანს ახალგაზრდა ქართველ მუსიკოსებზე. არადა, განწყობა მაგის საპირისპირო მაქვს. ჰოდა, აი, გადახვევაც:

ჯერ ერთი, თუ გგონია, რომ ქართულ როკს (ან ალტერნატივას, ინდის, ნეო-სოულს, გოთიკურ პოპს, ინდასტრიალ შუგეიზს, ეისიდ კარნივალ ჰიპ-ჰოპს,დაბსტეპ ფანკს,რასაც გინდა...) არაფერი უჭირს და პრობლემა მხოლოდ ისაა, რომ ბიზნესი არაა აწყობილი ან ტელევიზორში ხშირად არ აჩვენებენ, ან რომ ერია გოიმი და კარგს ვერ აფასებენ, მთელი ჩემი ნაწერი წყლის ნაყვად მოგეჩვენება. კი, ბატონო. ვისაც გჯერათ, გაგატარებთ.

ასევე გაგატარებ, თუ გგონია, რომ ქართულ როკს (ან ნეოელექტროს, სლიფ მეტალს, პროგრესივ ფოლკს, სილიკონ ქანთრის, ვაზისუბნის ბრიტპოპს...) აზრი თავიდანვე არა აქვს და ეს წმინდა ბრიტანული თუ ამერიკული მოვლენაა; ან თუ გგონია, რომ ქართული როკი ირაკლისთან ერთად მოკვდა; ან რომ პრობლემა მუსიკოსების ახალი თაობის უნიჭობაში ან სულისკვეთების არქონაშია; რომ „მეამბოხე სული დაიკარგა“ და ეგეთები - ეგეც არ მგონია, რომ მართალი იყოს და თუ ეგრე ხარ განწყობილი, მიკვირს, აქამდე წაკითხვა რატომ არ დაგეზარა.

მე მგონია ასე: ძალიან კარგი ჯგუფი, უკვე „იქ“ რომ იყოს, დღეს არა გვყავს. სამაგიეროდ, გვყავს რამდენიმე ათეული კარგი, საშუალო, ნორმალური ჯგუფი, რომლებისგანაც ზოგი შეიძლება დროთა განმავლობაში ძალიან კარგ ან გადასარევ ბენდად გადაიქცეს (ცხადია, როგორც ყველგან და ყოველთვის, უნიჭო სასტავებიც არიან, რომლებიც ვერასდროს ვერაფერს მიაღწევენ).

ასევე მგონია, რომ არსებული ვითარება არ უწყობს ხელს ამ ჯგუფებს, რომ განვითარდნენ, ან, თუნდაც, უბრალოდ არსებობა გააგრძელონ. უახლესი წარსულის გამოცდილებას თუ დავეყრდნობით, აი, ასე მოხდება:

ეს ქართული ჯგუფები, კარგებიც და საშუალოებიც ერთად დღეს და ხვალ კონცერტზე ხალხს კი შეკრებენ - ზოგჯერ ასს, ზოგჯერ ათასს და, იშვიათად, რამდენიმე ათასს. მაგრამ ყველაფერი ამით დამთავრდება. ერთი ან ორი ჯგუფი რამდენიმე წელს შემორჩება, თუ გაგვიმართლა, იქნებ მეტსაც. მაგრამ, ამათი უმეტესობა ხვალ და ზეგ დაიშლება - ზოგის ბასისტი ბანკში დაიწყებს მუშაობას, ზოგის ვოკალისტი ლონდონში წავა, ზოგს მოსწყინდება, ზოგს კი გული აუცრუვდება, რადგან „ამ საქართველოში დაფასება მაინც არ იციან“. მაზეგ ამ ბენდების უმეტესობა მხოლოდ დღეისა და ხვალის კონცერტზე მისული მსმენელის მოგონებებში დარჩება. მათგან შემორჩება ნახევრად დამუშავებული დემოები „იუტუბზე“, რომლებსაც ნახვა იშვიათად თუ მოემატება ხოლმე - მხოლოდ მაშინ, როცა ვიღაცას კარგად გატარებული დრო გაახსენდება და ერთხელაც დაატრიალებს კონცერტზე მოსმენილ სიმღერას. და მანდ დამთავრდება.

ასე იყო და ასე იქნება.

ჰოდა, ძალიან ცუდია ეგ. არ იმსახურებენ ქართული ჯგუფები ასეთ ბედს. ბოლო ოცი წლის განმავლობაში მუდმივად ჩნდებიან საშუალო და კარგი ქართული ჯგუფები და მერე მალევე კვდებიან, უძეგლოდ. მათი გვამებითაა მოფენილი უახლესი ქართული მუსიკის ისტორია.

მოდი გავიხსენოთ. რამე შესაბამისი სიმღერა ჩავრთოთ და შესანდობარი ვთქვათ. Sky End-ისა, რომელზეც ბავშვობაში ჩემი პირველი თუ მეორე სტატია დავწერე. ძმები ლეჟავები იყვნენ, სიმპათიურები, გოგოები გიჟდებოდნენ. Wild Stream-ისა, რომლებიც, სულ არ მახსოვს, რას უკრავდნენ, მაგრამ მაგათ კონცერტზე ვიყავი მარტო, მთვრალი და 15 წლისა და კარგია-მეთქი, ვფიქრობდი. Overbalance-ისა ვთქვათ, რომლის კონცერტზე UR-ში ერთ-ერთი საუკეთესო დრო მაქვს ნატარები - 20 თუ 30 კაცი ვიყავით დარბაზში, მაგრამ ძალიან კარგი იყო. Steeplechase ვახსენოთ, რომლებიც, წარმოდგენა არა მაქვს, ვინ არიან. ამას წინათ სახელი გამახსენდა, ბავშვობის კონცერტებიდან და წამლადაც ვერ ვიპოვე, რომ მომესმინა. ცოტა აქეთ რომ წამოვიდეთ, Afternoon Version დავლოცოთ - თავისი თაობის ერთ-ერთი საუკეთესო მუსიკოსებისგან შედგებოდა და დღესაც რომ მო-

რა უშავს ქართულ როკს?

ისმინო, თანამედროვედ ჟღერს. სულ რამდენიმე წლით აქეთ გადმოვიდეთ, Jazz or Cat-იც ვახსენოთ, რომლებსაც კლიპიც ჰქონდათ და ალბომიც და ის ალბომი კი საშინლად არ მომეწონა, მაგრამ ლაივებში კარგი იყოო, ამბობდნენ.

„ძველ კარგ დროს“ კი არ ვიხსენებ, რომ აი, ჩვენ დროს იყო მუსიკა და ის იყო. პირიქით. ბევრი ჯგუფი გვყავდა (აქ რაც თავში მომივიდა, ისინი ჩამოვთვალე, კიდევ ბევრი იყო) და ბევრი დავკარგეთ. კი, ზოგი იმიტომ, რომ ვერ იყო მთლად კარგი, ზოგიც იმიტომ, რომ თავის დროისთვის არა უშავდა, მაგრამ დროს ფეხი ვერ აუწყვეს. მაგრამ, დანარჩენები შეიძლებოდა დღესაც ჩვენ გვერდით ყოფილიყვნენ და ვინძლო კარგი რამე დაეწერათ. მაგრამ არა, იმიტომ რომ ასე ხდებოდა და ასე მოხდება.

ასეა, მაგრამ ასე არ უნდა იყოს.

შეიძლება, რომ ასე არ იყოს.

ქართული როკ-ჯგუფები უამრავი პრობლემის წინაშე დგანან. ზოგი ობიექტური, გარედან მოტანილი რამეა, რასაც თვითონ მუსიკოსები ძნელად თუ უშველიან - ვთქვათ ის, რომ ამ საქმეში ფული არ იშოვება და ახლო მომავალში არც იქნება. ის, რომ აპარატურა და რეპეტიციები ძვირია. ის, რომ დასაკრავი ადგილი ცოტაა.

მაგრამ ეგ გადაულახავი წინაღობები არ არის. ხომ არიან იმდროინდელები, დღესაც რომ შემორჩნენ - - „აუტსაიდერი“ და 33ა, კიდევ რამდენიმე. ეხლა, ფული შეიძლება არ უშოვიათ - მაგრამ ვინც ამ მუსიკაში ფულის გამო მიდის, სულელია - ბანკის საშუალო რგოლის კრედიტოფიცრობა უფრო შემოსავლიანი საქმეა.

ამას გარდა არის სხვა პრობლემაც. რომ ქართული ბენდების დიდი ნაწილი მსმენელთან სიახლოვეს ვერ ამყარებს (ას და ორას კაცს არ ვთვლი). არა იმიტომ, რომ მუსიკას ვერ უკრავენ კარგს, არამედ იმიტომ, რომ, დასაწყისს რომ მოვუბრუნდე, ტექსტი არ ვარგა.

ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ტექსტია. ტექსტის მთავარი ნაკლი კი ისაა, რომ ის ინგლისურადაა.

სანამ ქართული ჯგუფები ისევ ქართულად არ ამღერდებიან, ეს სიკვდილის ციკლი ისევ გაგრძელდება.

* * *

პრობლემა ის კი არ არის, რომ ვიღაც ინგლისურად მღერის. პრობლემა ისაა, რომ ყველა ინგლისურად მღერის. შეიძლება სუყველა არა, მაგრამ უმეტესობა. ბოლო რამდენიმე წელია, სრულიად შემობრუნდა ტენდენცია, რომელსაც სათავე 90-იანების როკმუსიკოსებმა დაუდეს. მაშინ უმეტესობა ქართულად მღეროდა და მხოლოდ რამდენიმე - ინგლისურად. ახლაც რომ ეგრე იყოს, უკეთესი იქნება ყველასთვის - მსმენელისთვისაც და მუსიკოსისთვისაც.

ვიდრე ვიტყოდეთ, თუ რატომაა ეგრე, ჯერ ისიც უნდა ვთქვათ, რატომ ვლაპარაკობთ ამდენს ტექსტზე და არა, ვთქვათ, მუსიკაზე ან პროდიუსერებზე, ან მომღერლის ჩაცმულობაზე. მაშ, რატომაა ტექსტი ყველაზე მნიშვნელოვანი?

ტექსტი, ყველაზე მნიშნელოვანი, ცხადია, არ არის. მუსიკა ისეთი რამაა, რომ არც ერთი კომპონენტი არ არის ყველაზე მნიშვნელოვანი. რამდენი კარგი თანამედროვე მუსიკოსია, რომელიც ვოკალს სულ არ იყენებს; ზოგია, ვოკალი რომ აქვს, მაგრამ ტექსტი არა აქვს - გამოგონილ ენაზე მღერის და ვოკალსაც მხოლოდ ერთგვარ ინსტრუმენტად იყენებს (შინამანეკენა); ზოგან მხოლოდ ვოკალი კი არა, თავად ტექსტი ასრულებს ინსტრუმენტის ფუნქციას - იმისთვისაა, რომ ფრაზების ნაგლეჯებმა და სიტყვების ჟღერადობამ შეგიქმნას განწყობა; ზოგ სიმღერას ტექსტი კი აქვს, მაგრამ მას ინტერნეტის გამოჩენამდე კაციშვილი ვერ არჩევდა; ზოგის ტექსტიც გესმის, სიტყვებსაც არჩევ, მაგრამ აზრი მაინც ვერ გამოგაქვს. ხანდახან სიტყვებიც გესმის და შინაარსიც, მაგრამ სიმღერას ეგ არაფერს მატებს - ტექსტი მსგავსი ჟღერადობის სიტყვებით რომ შეცვალო, ზუსტად იმავე სიმღერას მიიღებ. მაგასაც რომ თავი დავანებოთ, რამდენი სიმღერა მოგვწონებია ისე, რომ ტექსტზე არც დავფიქრებულვართ - კარგია, ცუდია თუ როგორია და საერთოდ რაზეა. მოგვწონს და მორჩა!

თანამედროვე სიმღერების სრულ უმეტესობას ტექსტი აქვს და ეს ტექსტი ძალიან მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს.

კარგი სიმღერა ხომ იდეაში რაღაცაზეა. შეიძლება ამბავი არ იყოს მოყოლილი, მაგრამ განწყობას გადმოსცემდეს. კარგი მუსიკოსი ხომ ისაა, ვისაც სათქმელი აქვს. შეიძლება ეს სათქმელი მუსიკოსს ჩამოყალიბებული არ ჰქონდეს. არ არის საჭირო, მუსიკა იმისია, რომ აზრის დალაგება არ გჭირდება. მაგრამ, რაღაც გრძნობა ხომ უნდა იყოს? ეგ არ არის ის მუსიკა, ჩვენ რომ გვიყვარს?

ამ ამბის თუ გრძნობის გადმოცემა უტექსტოდაც მშვენივრად შეიძლება, მაგრამ უფრო რთულია. ტექსტი გეხმარება. ერთ-ერთი ინგრედიენტია, რომელიც საბოლოო პროდუქტს უკეთესს ხდის. კი, მუსიკოსს შეუძლია თქვას - არ მინდა, ტექსტი ხელს მიშლის და მაგის გარეშე მირჩევნიაო, მაგრამ, როგორც წესი, უარს არ ამბობენ ხოლმე. სხვა თუ არაფერი, ტექსტს იყენებენ თუნდაც იმიტომ, რომ მსმენელი ამას მიჩვეულია.

კი, მუსიკა უნივერსალური ენაა. მაგრამ, ეს მაშინ, თუ მოცარტი ხარ, ან მაილს დევისი ან, „სიგურ როში“ მაინც. ნაკლებ მუსიკოსებს სიტყვები დიახაც რომ ძალიან ეხმარება.

სიმღერა ხომ მეტია, ვიდრე მის შესაკრებთა უბრალო ჯამი. რომ დაშალო - ცალკე ვოკალი განიხილო, ცალკე ტექსტი, ცალკე გიტარა და ცალკე დრამი, შეიძლება ვერც მიხვდე, რატომაა კარგი სიმღერა. ერთად კი გესმის და, ბიჭო, გრძნობ!

აი, ქიშოს და ინტელიგენციის ჭეშმარიტება ხომ მოგისმენიათ? მუსიკა როგორია? დიდი ვერაფერი. ცალკე ინსტრუმენტალი რომ ჩაგირთოს ვინმემ, შეგაწუხებს. ტექსტი? „მე ვერ გპირდები ველურ სექსს /მე ვერ გავუძლებ ასეთ ტემპს“? დაწერილი რომ ნახო, არ მოიხიბლები. ლექსი რომ იყოს, ცუდი ლექსი იქნებოდა. მაგრამ ლექსი არ არის. სიმღერაა. თან კარგი სიმღერაა. რაზეა? რის თქმა უნდა ავტორს? რა ვიცი მე. უფრო სწორად, ვიცი, მაგრამ სიტყვებით გადმოცემა გამიჭირდება. ვგრძნობ. იმიტომ, რომ ეს ყველაფერი ერთად „მუშაობს“.

ჰოდა, ინგრედიენტების ეს ერთობლიობა ძალიან ფაქიზ ბალანსზეა დამოკიდებული. ჯადოქრობაა, რა. სიმღერის ცოტა სხვა მიქსს ჩაწერ და მაგია ქრება - კარგი სიმღერა იყო და უცებ საშუალოდ გადაიქცევა. ისეც ხდება, რომ კარგი სიმღერის ჩაწერის დროს გიტარისტი სტუდიაში აურევს, სიმებს დროზე ადრე ჩამოჰკრავს

ხელს და ჰოი, საოცრებავ, ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო სიმღერას მიიღებ. ხელოვნება მცირე, ერთი შეხედვით, არაარსებით რამეებზეა დამოკიდებული. და ეს მცირე რამე ხშირად ტექსტია. მიდი, აბა, შეცვალე ქიშოს სიმღერის სიტყვები. იმავე ხმით იმღეროს ინგლისურად, თუნდაც უფრო ჭკვიანური რამეები. რა გამოვა? მაი ლეგზ.

ქართული ტექსტი - ზემოთ დაწერილში, როგორც ვხედები, ბევრი არც შემეკამათება, მაგრამ მაინც საჭიროდ ჩავთვალე - არგუმენტის უკეთ ასაგებად. ახლა ისიც ვთქვათ, რატომ არ შეიძლება, ეგ სათქმელი მუსიკოსმა ინგლისურად გადმოსცეს.

აუ, როგორ არ შეიძლება. ძალიან კარგადაც შეიძლება. უბრალოდ, უფრო რთულია და, როგორც წესი, არ გამოსდით ხოლმე. გასაკვირია? სად შენს ენას რომ გრძნობ ადამიანი და სად სხვისას?! კი, ზოგმა ინგლისურიც წყალივით იცის, ვინძლო ქართულზე უკეთესადაც, მაგრამ უმეტესობა ხომ არ არის ეგრე. აჰა, ვუსმენ ამ ბოლო ორი წლის ინგლისურენოვან ქართულ სიმღერებს და ან ისერა ინგლისურია და ან კიდევ სულ არ ისმის, რას მღერიან. მაშინ, როდესაც არა აქვს მნიშვნელობა, რას მღერი და ტექსტი მხოლოდ ორნამენტია, მაგრამ უმეტესობა რომ არ მღერის ეგეთ სიმღერებს?

რამდენჯერ მომისმენია, რომ ბევრს მუსიკოსს უფრო ბუნებრივად ტექსტი ინგლისურად მოსდის. ინგლისურად ეწერინება და რა ქნას. ან იქნებ მუსიკა აქვს ისეთი, ქართული რომ არ მოუხდება. იმიტომ, რომ ისეთ რამეებზე მღერის, ქართულად რომ არ გადმოიცემა.

არ მჯერა მე მაგისი.

ათი-ოცი სიმღერის, ან სამი-ოთხი ჯგუფის შემთხვევაში კიდევ დაიჯერებდა კაცი. ნუ, ეგრე ხედავს ადამიანი თავის მუსიკას და უთხარი ეხლა, გინდა თუ არა, სხვანაირად დაინახეო. მაგრამ ყველა?

ყველა ეგრე იმიტომ მღერის, რომ ინგლისურად ტექსტის წერა უფრო ადვილია. ადვილია იმიტომ, რომ მსმენელს არ ესმის რას მღერი და თავად მუსიკოსსაც უკეთესად ეჩვენება, ვიდრე სინამდვილეშია.

ის, რომ, აი, ინგლისურად ვწერ, იმიტომ, რომ ქართულად სასაცილოდ ჟღერსო, არის თავის მოტყუება. თუ ქართულად სასაცილოდ ჟღერს, დიდი შანსია, რომ ინგლისურადაც ეგრე იყოს. თუ ქართულად უაზროა, სავარაუდოდ, ინგლისურადაც უაზროა. არის გამონაკლისებიც. ზოგი რამე მართლა უკეთესად ჟღერს ინგლისურად. მაგრამ არა ყველაფერი. მაგის უმეტესობა არის სიზარმაცე. და კიდევ ის, რომ სათქმელი ჯგუფს რეალურად არა აქვს.

მთავარ პრობლემას, აი, ეს აზრის ჩამოუყალიბებლობა ქმნის. ნუ კარგი, არ ვარგა ტექსტი და არ ვარგა. ისედაც გავალთ იოლას. კარგი სიმღერა უსიტყვებოდაც მუშაობს. მაგრამ უშინაარსოდ კარგი იშვიათად გამოდის.



საქმე ისაა, რომ ქართული ჯგუფების უმეტესობა მთლად ორიგინალურ მუსიკას არ უკრავს. ყოველთვის ასე იყო. საქართველო და სხვა პატარა ქვეყნები მუსიკის ახალი მიმდინარეობების სამჭედლო არ არიან ხოლმე. ყველა ვიღაცის პონტში უკრავს. ეს, ცხადია, ნორმალურია. სხვისას აიღებ, შენსას დაამატებ და კარგი გამოდის.

შენი გამოდის.

ცუდი კი ისაა, როცა ამ შენის დამატება ვერ ხერხდება. ამაში დამნაშავედ კი დიდწილად ისევ ინგლისური ტექსტი მგონია. ინგლისური ბევრს სწორედ ამ, თავისი საყვარელი სიმღერების მეშვეობით აქვს ნასწავლი. ამიტომ შთაგონებას არა მხოლოდ თავიანთი საყვარელი ჯგუფების მუსიკაში ეძებენ, არამედ მათ ტექსტებშიც. შესაბამისად, როცა ამბავია მოსაყოლი, იმათ ამბავს ყვებიან და არა ჩვენსას.

ბევრი თქვენგანის საყვარელ ბენდს რომ დავესესხო, ავიწყდებათ, რომ საბურთალოდან არიან და არა ჰანტერს ბარიდან. ზუსტად არ ვიცი, სად არის ჰანტერს ბარი (სადღაც სამხრეთ-დასავლეთ შეფილდში), მაგრამ ის კი ვიცი, რომ აქედან შორია. სოუ, გეთ ოფ ზი ბენდვაგონ ენდ ფუთ დაუნ ზი ჰენდბუკ.

იე იე იე იე.

ეგაა, თორემ განა ვინმე 90-იანების მუსიკას მისტირის. ის დრო გავიდა, მოკვდა-მოკვდა, აღარ არის და ძალიანაც კარგი. არც ისე კარგი იყო, როგორც გვახსოვს. დღეს გვყავს უფრო მეტი და უკეთესი მუსიკოსი (ეს, გეხვეწები, სააკაშვილის ხმით წაიკითხე), ვიდრე ოდესმე გვყოლია. დღეს მეტ ნიჭიერ ტიპს უჭირავს გიტარა ან ლეპტოპი, ვიდრე აქამდე. და რას აკეთებს ამ ნიჭიერი ტიპების უმეტესობა?

სხვა, უკეთეს ჯგუფებს აქსეროქსებს. ამათი დიდი ნაწილი ცუდ მუსიკას სულაც არ წერს. მაგრამ, ხანდახან ნეტა ცუდი იყოს. ხშირად ჯობია ცუდი იყოს, ვიდრე საშუალო. ისე რა. ნორმალური.

ჯენერიკ.

სეიფ.

მიდიოკრ.

ქართული თანამედროვე მუსიკის უდიდესი ნაწილი მეორადი საქონელია. არ არის ეგრე? ნუ, კარგი - შენი ჯგუფი არ არის ეგეთი. სხვებისა ხომ არის? არ არის?

ხომ იცი, რომ არის. საშუალო დონის კავერ-ვერსიაა.

„ადიბასი“.

„ელვისის“ სუში.

„შუა ქალაქში“ ახალი შემადგენლობით.

ქართული ფლეშმობები.

ბუტკის პიცა კეტჩუპით და მაიონეზით.

თითქმის, მაგრამ არცთუ მთლად ზი რიალ თინგ.

თუ არა და ჰა. იძახე, თბილისის ანძა ჯობია ეიფელსო. და იცი რა? რაღაც პონტში მართლა ჯობია - თუ თბილისის ანძა თბილისანძობს და არ ეიფელობს. ეიფელი არ დაგვნათის თბილისელებს თავზედა. თბილისის ანძაა ეგ. და უმეტესობას ანძასთან მეტი ტკბილი მოგონება გვაკავშირებს (აი, ამ ჭიქით, ძმებო...), ვიდრე ეიფელთან. „გომი ორიგინალი“ უფრო ვიცით, ვიდრე „საუზერნ კომფორტი“. ვაკის პარკში უფრო ხშირად დავდივართ, ვიდრე ჰაიდ პარკში.

ჰოდა, ფაქინგ ექთ ლაიკ ით.

გეთ ოფ ზი ბენდვაგონ ენდ ფუთ დაუნ ზი ჰენდბუკ.

იე იე იე იე. ■

ახლოლ $19.99

ქართული ტელევიზია და ფილმები ამერიკაში, მთვლის ტელევიზორზე

პირდაპირი ეთერი, ერთი კვირის ჩანაწერი; ნებისმიერ დროს ყურება, პაუზა, გადახვევა; კლასიკური, დოკუმენტური, ახალი ფილმები; ქრისტიანული და საბავშვო გადაცემები; უმაღლესი ვიდეო და აუდიო ხარისხი; უმარტივესი ინსტალაცია, ქართული მენიუ.

www.iveriatv.com

1-800-959-8541

ყველა სარგებელი!

გოგი გვახარია:
ოცდაერთ ეროვნების სიბლე

„ბახი თავის მოსწავლეებს სთხოვდა მიდგომოდნენ ინსტრუმენტულ ხმებს, როგორც პიროვნებებს, ხოლო მრავალხმიან ინსტრუმენტულ ნაწარმოებს, როგორც საუბარს ამ პიროვნებებს შორის. თანაც მოითხოვდა, რომ ყველა მათგანს თავის დროზე ელაპარაკა და თუ არაფერი ჰქონდა სათქმელი, სჯობდა ჩუმად ყოფილიყო და თავის რიგს დალოდებოდა“
(ეიზენშტეინი)

მთავრობასთან ერთად ხშირად მიწევს ყოფნა. თითქმის ყოველდღე. ერთად ვცურავთ ვაკის აუზზე. ერთად ვცურავთ, ერთად ვიხდით და ვიცვამთ. პირადად მე იქ, გასახდელში, არაერთხელ დამისკვნია - მცირეოდენ განსხვავებას თუ არ ჩავთვლით, ყველანი ერთნაირები ვართ - ჩინიანებიც და უჩინონიც.

მაგრამ ეს მხოლოდ გასახდელში. აუზიდან გამოსვლის შემდეგ კი მთავრობა სხვანაირად იქცევა ხოლმე. ზოგიერთს აქ ხვდება დიდი შავი ჯიპი, საიდანაც გადმოსული დაცვის ბიჭი კარს უხსნის და ელოდება - სანამ „პიჟამოიანი მინისტრი“ ფეხს აწევს და შავ მანქანაში შეძვრება.

საშინლად მაინტერესებს, როგორ ამართლებენ ამ მიზანსცენას. რა ვნებაა ეს - იცოდე, რომ ათასი კაცი გიყურებს, როგორ უჭირავთ შენთვის მანქანის კარი და ეს გსიამოვნებდეს, მოგწონდეს „ზევიდან ქვევით ყურება“ და ძალაუფლების დემონსტრირება. რა ტრავმამ განაპირობა ეს მამაძაღლობა? და როგორ შეიძლება კაცი, რომელსაც ასეთი ტრავმები აქვს, რაღაცას მართავდეს?

არადა მეორე, ამის საპირისპირო ვნებაც ხომ არსებობს? სურვილი, იგრძნო თავი ისეთად, როგორიც სხვაა, ცოტა ხნით მაინც დატოვო, მიაგდო შენი პერსონა და სხვას შეუერთდე? ვიღაც ამ გრძნობას სიყვარულს ეძახის, ვიღაც თანასწორობის ეროტიკას. ეიზენშტეინი, საერთოდ, ექსტაზს უწოდებდა, მისი კოლეგა, რუსული კინოავანგარდის ყველაზე დაუფასებელი რეჟისორი, ლევ კულეშოვი კი ამბობდა, კინოკამერას უყვარს მხოლოდ და მხოლოდ ის მსახიობი, რომელსაც პირდაპირი მზერა აქვსო.

ეს პირდაპირი მზერა ლაკმუსია. თუკი ადამიანს პირდაპირ ყურება შეუძლია, იგი არც კარს დაუჭერს ვინმეს და არც სხვას მოსთხოვს ასე მოემსახუროს. თანაც, არასამუშაო საათებში.

რა ვიცი, ასე მგონია. ყოველ შემთხვევაში, ჯერ არასდროს შევმცდარვარ ადამიანების მზერებში. ბოლოს და ბოლოს თავს კინემატოგრაფისტად მივიჩნევ და ასე კარგად არც არაფერი მისწავლია ცხოვრებაში.

ვაცლავ ჰაველის პირადი მდივანი, რომელსაც ზოგჯერ „ჰაველის მრჩეველსაც“ უწოდებენ, ვლადიმირ ჰანზელი, გასულ კვირაში ჩეხეთში „წითელი ზონისთვის“ გადავიღეთ (ვაცლავ ჰაველზე ვამზადებთ გადაცემას). კარლოვი ვარის კინოფესტივალზე იმყოფებოდა, სადაც მისი ცოლის, დოკუმენტალისტის, ფილმს აჩვენებდნენ.

ეს კარლოვი ვარი, თავისი გაუთავებელი კიბეებით და ციცაბო ბილიკებით, ჯოჯოხეთია ჩემი კუნთებისთვის. ძლივს მივაღწიე იმ ადგილამდე, სადაც გადაღება დაგვინიშნა - სასტუმრო „ბრისტოლთან“. ცოტა ხანში აღმოჩნდა, რომ აქ ორი „ბრისტოლია“, ერთს „ბრისტოლი“ ჰქვია, მეორე სასტუმროს - „ბრისტოლ პალასი“. დაგვირეკა, თქვენ „პალასთან“ ხართ, შეგეშალათ, მაგრამ ჯანდაბას თქვენი თავი, მე თვითონ მოვალო. სრულიად ბუნებრივად მივიჩნიეთ მისი გადაწყვეტილება. მანქანით მოიყვანენ ალბათო, დაასკვნა ჩემმა პროდიუსერმა.

რამდენიმე წუთში მოვიდა. ფეხით ამოიარა ციცაბო აღმართი დაახლოებით 60 წლის კაცმა, ზურგჩანთით, „სანდლებით“ და პირდაპირი მზერით... ინტერვიუ რომ ჩავწერეთ, ფესტივალზეც ვისაუბრეთ ცოტა, ვურჩიეთ, აუცილებლად ენახა კრისტიან მუნჯიუს „ბორცვებს მიღმა“, რომელსაც მეორე დღეს აჩვენებდნენ კონკურსგარეშე პროგრამით.

მუნჯიუს ფილმზე ბილეთები გაყიდული აღმოჩნდა. არადა ორი საათით ადრე მივედით კინოში. მოლარემ გვითხრა, შესასვლელთან სპეციალური რიგია. ადგილები თუ დარჩა, ხალხს შეუშვებენ და იქიდან სცადეთ შესვლაო. სხვა რა გზა გვქონდა. მიუხედავად იმისა, რომ „ბორცვებს მიღმა“ უკვე ნანახი მქონდა კანში, ძალიან მინდოდა წლის საუკეთესო ფილმი „ზონელებსაც“ ენახათ.

სეანსის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე ჰანზელიც მოვიდა. ხელი დავუქნიე, მაგრამ არ ვიცი, ვერ

დამინახა თუ მოერიდა რიგის დარღვევა. დადგა „უბილეთოების რიგში“ თავისი ზურგჩანთით. მერე კინოდარბაზის თანამშრომლებმა იცნეს, გამოელაპარაკნენ. სკამი მიუტანეს და ასე დასვეს, რიგში.

დარბაზში ჩვენც შევაღწიეთ და ჰანზელმაც. ვუყურებდი კრისტიან მუნჯიუს ფილმს ძალაუფლების პერვერსიულობაზე და ვლადიმირ ჰანზელზე ვფიქრობდი... ჰანზელზეც და ვაცლავ ჰაველზეც, რომლის დაკრძალვაზე პრაღელმა კოლეგებმა მითხრეს, ისე მოკრძალებულად და სადად დაემშვიდობა ჩეხეთი, რომ მარტო ამის გამო წამოგივიდოდა ცრემლიო... ვფიქრობდი ჰაველის ძმაზე, რომელიც - ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი კაცი ჩეხეთში - მიყრუებულ სოფელში ცხოვრობს (ივან ჰაველიც გადავიღეთ „ზონისთვის“)... ულოფ პალმეც გავიხსენე. მერე მიხეილ სააკაშვილი, შევარდნაძეზე რომ ქილიკობდა, მისმა დაცვამ ქუჩები გადაკეტა და ხალხს პრობლემები შეუქმნაო და, რა თქმა უნდა, ის მინისტრები, აუზზე რომ დადიან ჩემთან ერთად გრანდიოზული შავი ჯიპებით... ასე,ფიქრში,ის სცენა გამახსენდა, შარშანწინ რომ გათამაშდა ჩემს თვალწინ სტოკჰოლმის ერთ პარკში, რომელიღაც უფასო როკ-კონცერტზე. ლუდისგან სრულიად გათიშული შვედები, ბარბაც-ბარბაცით დგებოდნენ დახლთან კიდევ ერთი კათხა ლუდის საყიდლად. ზოგი, იქვე, ხესთან შარდავდა კიდეც, მაგრამ... რიგს მკაცრად იცავდა. პირველად ვნახე მთვრალების რიგი! მობარბაცე კაცების კარგად ორგანიზებული რიგი...

ამიტომაცაა, რომ შვედებმა დაიმსახურეს ულოფ პალმეს მსგავსი ხელისუფალი. ვაცლავ ჰაველი დაიმსახურეს ჩეხებმა - შრომისმოყავრე და „სადა“ ჩეხებმა... ასე რომ დავცინოდით პრაღაში „ზონელები“, ეს რანაირად იცვამენ, როგორი უგემოვნო ხალხიაო.

ჩვენ კიდევ... ჩვენ, ეტყობა, დავიმსახურეთ ეს მარაზმი - ფეოდალი ხელისუფალი, რომელსაც ან ოქროს უნიტაზზე ჯდომა უყვარს, ანდა, უბრალოდ, სიამოვნებს, როცა თავის ვნებაზე ათამაშებს ქვეყანას... პირდაპირ არასდროს იყურება და ზევიდან დაგვცქერის. რაც მთავარია, ჩვენ, ეტყობა, დავიმსახურეთ იმ საზოგადოებაში ცხოვრება, რომელსაც მოსწონს ზევიდან რომ უყურებენ. არადა ამ მამაძაღლობისგან განთავისუფლება ადვილზე ადვილია - რიგში დგომა და პირდაპირ ყურება უნდა ვისწავლოთ!

მკითხველთა კომენტარი წერილზე:

ავტორი: ირაკლი

მაცხოვარი სახედარზე შემომჯდარი შევიდა იერუსალემს. ახლა ვიღაც იტყვის, მაშინ ჯიპები არ იყოო. ცხენი და აქლემი ხომ იყო, თქვე დალოცვილებო.

ავტორი: გიორგი ჭაუჭიძე

„ოქროს გარშოკი“ აჯობებდა. მომწონს მარკესის რომანიდან შემდეგი ადგილი: მთელი ცხოვრება იმით ამაყობდა, ოქროს ღამის ქოთნით რომ სარგებლობდა. მაგრამ ის ღამის ქოთანი სულაც არ ყოფილა ოქროსი, მხოლოდ ოქროს წარწერა ჰქონდა და თუ გაინტერესებთ, წარწერაც კი არ იყო ოქროსი...

ავტორი: ანონიმი

მარკესის ფრაზა გამახსენა: კაცს მხოლოდ მაშინ აქვს უფლება ზემოდან დახედოს სხვას, როცა ხელს უწვდის მას წამოსაყენებლად.

ავტორი: ხათუნა

როგორ გვენატრება „პირდაპირი მზერა“ და არამონური მენტალობა. ჩვენ ვცხოვრობთ საზოგადოებაში, როგორც დოჩანაშვილი იტყოდა: „ზოგი უფროსია, ზოგიც - უმცროსი, არ არსებობს მხოლოდ ტოლი“.

ავტორი: ნუგზარ ბარდაველიძე

კარგი წერილია, სულის შემძვრელი, მაგრამ ვისთვისაც არის მიმართული, ისინი ვერ გაეცნობიან, რადგან კითხვა დავიწყებული აქვთ და თანაშემწე ან მოურავი ამ წერილს არ წაუკითხავთ.

ავტორი: ანონიმი

სანამ ჰაველი დაიბადებოდა, 20 საუკუნით ადრე უკვე იქადაგეს თავმდაბლობა, იცით? ღმერთის ძე მეთევზეებს პირდაპირ, ტოლივით უყურებდა და წესების დაცვას, მოთმინებას და ურთიერთპატივისცემას ასწავლიდა. ეხლა კი ახალ მსოფლიო წესრიგში ვცხოვრობთ, რატომ მოგვიწოდებთ „ძველი“, „ბნელი“, „გოიმური“ აზრებისკენ? გამოსავალი გვითხარით! უნდა ვისწავლოთ პირდაპირ ყურება და რიგში დგომა? მაგრამ ვინ უნდა ასწავლოს, ვის და სად? თვითონ პიჟამოიანები, სხვას არ ასწავლიან - მე ცუდი ვარო; 20 საუკუნის წინ ვინც იქადაგა, იმის დაჯერება „გოიმობად“ ითვლება.

ავტორი: ვაკო

არ ვფიქრობ, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ „ქართული“ პრობლემაა და ვინმემ რამე დაიმსახურა ჩვენთან. ყველგან არის ბრიყვი და ყველგან არის ჭკვიანი. ზოგჯერ ჭკვიანს აქვს ძალაუფლება, ზოგჯერ ბრიყვს. უბრალოდ ისე აღმოჩნდა, რომ ჩვენთან ბოლო დროს ბრიყვებს უვარდებათ ძალაუფლება.

ნიუ იორკის უნივერსიტეტის ფოიეში ზის ხოლმე სპაიკ ლი, რომელიც სტუდენტებს აკვირდება, მათ სცენარებს კითხულობს, ეხმარება და ა.შ. გარდა ამისა მეტროთი დადის, ძალიან ჩვეულებრივად აცვია და მზერაც ძალიან ჩვეულებრივი აქვს. ერთ-ერთი საუბრისას მითხრა, რომ არ უნდა დავივიწყო, რომ ხელოვნება ადამიანებს ემსახურება და ამიტომ ხელოვანი არასდროს უნდა მოწყდეს ადამიანებს.

ავტორი: სალომე

მამაჩემმა პირველად რომ ნახა მოწესრიგებული გერმანია, ლამაზად ჩაწიკწიკებული წითელი კრამიტით დახურული და შემოულობავი სოფლის სახლები, თვალზე ცრემლი მოადგა და თქვა, ყველა ქართველი რომ ჩამოვიყვანოთ და ვაჩვენოთ აქაურობა, მერე მაინც არ გვეშველებაო?

ავტორი: დალი კუპრავა

ერთი ფოტო მახსენდება: ვაცლავ ჰაველი კაფეში ყავას სვამს, სურათი გარედანაა გადაღებული.

მეიმედება, რომ საქართველოში ოდესმე ჯიპები გადაუყვარდებათ, ფეხით სიარული შეუყვარდებათ, თვალებში ყურებასაც და ღიმილით სალამსაც ისწავლიან, აუზი კი მხოლოდ ორი და ისიც ელიტარული არ იქნება...

ავტორი: ეკა

მიხარია თუ მივედით იმ დასკვნამდე, რომ ჩვენშია პრობლემა და არა ყველა ხელისუფალში. მინისტრი არაფერ შუაშია „უბრალო მოკვდავი“ რომ იჯგიმება მანქანის სარკმლიდან და მეორე ავტობუსიდან რომ შენატრის. ესაა ჩვენი ორივე მხარის პრობლემა. ყველა ტაქსის მძღოლს სასოწარკვეთილი სახე აქვს, თითქოს რაიმე ცუდი საქმით იყოს დაკავებული. დიდი ხანია ველოდები, როდის გადავალთ ქართველები „პირველ პირში“ ადამიანების კრიტიკაზე და არა ლანძღვაზე.

წმ. ნინოს სახელობის ნიუ-იორკის ქართული ეკლესიის ავტობუსის მარშრუტი



ამ ეტაპზე ავტობუსი მუშაობს კვირას და სადღესასწაულო დღეებში, სექტემბრიდან დაემატება შაბათი საღამოს მომსახურებაც.

ერთი გზის საფასური ორი დოლარი

დაგვიკავშირდით:
რაული: 646-267-8312
მალხაზი: 347-634-9836

ეს საყმაწვილო ჩანართია, ამერიკაში დაბადებული თუ მცხოვრები ქართველი ბავშვებისათვის. ჩვენ, მშობლებმა, ჩვენი ვალი უნდა ვიგრძნოთ - საქართველო აქ შევუქმნათ ჩვენს შვილებს - ქართული მულტფილმებითა თუ ძილისწინა ხოლაჯრების წაკითხვით.

რედაქციას აქვს იმის რესურსი, რომ „ჯეჯილი" ცალკე ყურნალად გამოსცეს წელიწადში ოთხჯერ.

ჯერი თქვენზეა - ამერიკაში მოღვაწე ქართველო ბიზნესმენებო!

გაუკეთეთ ეს თქვენს შვილებს - ჩვენს მომავალს!

წყნა და წრაფწყნა

შემოდგომის თბილი დღე იდგა.

თაგვებს ჭირნახული ჩაელაგებინა და მოცლილთ ლელობურთი გაეჩაღებინათ. უშველებელ კაკალს ხან აქეთ ისროდნენ და ხან იქით, გადაჰქონდათ ორღობიდან ორღობეში, ბანიდან ბანზე, კორდიდან კორდზე.

დიდი გნიასი და ჭრიამული იდგა. მაუურებელი შემახილებით ამხნევებდა თავის გუნდს. ბებერი თავადი თავის სასახლის აივანზე გამობრძანებულიეო და თვალს ადევნებდა თამაშს, თან გრძელ, ტარიან ულიონს ნება-ნება სრუტავდა.

ამ დროს მობურთალთა ზედახორა დადგა. ვინ არ ცდილობდა, ხელში ჩაეგდო კაკალი, მაგრამ ყველას გულადმა წრუწუნამ აჯობა, მოიტაცა კაკალი და წინ გაიჭრა. გონს მოსული მობურთალნი უკან დაედევნენ გაქცეულს.

მაუურებელი დაიძაბა, ღელავდა მშვენიერი წუნა. იგი ხვეებთან ერთად დიდი კაკლის ქვეშ იდგა და გულისფანცქალით ელოდა, რა მოხდებოდა.

წრუწუნას მეგობრები ამხნევებდნენ:

– არიქა, წრუწუნ, არ გაჯობონ!

– მიდი, წრუწუნ, მიდი!

ამ ეიჟინასა და შემახილებში წრუწუნამ ლელო გაიტანა. ხალხმა შვებით ამოისუნთქა. გულშემატკივრები გამარჯვებულს შემოეხვივნენ, ხელში აიტაცეს, ულოცავდნენ, აქებდნენ. დამარცხებულები დაღონდნენ. წრუწუნამ კაკალი წუნას მიართვა, თაგუნა გაინაზა და გამარჯვებულს მოკრძალებით ჩამოართვა კაკალი.

აივანზე გადმომდგარმა ბებერმა თავადმა წუნას დანახვაზე თვალები დააჭყიტა – ეს რა კოხტა ვინმე ეოფილაო და მსახურს უბრძანა:

– ის ლამაზი თაგუნა აქ მომგვარეთო!..

წუნამ და წრუწუნამ ხელი ხელს ჩაჰკიდეს და წისქვილისკენ გადაუხვიეს. როცა განმარტოვდნენ,

წრუწუნამ წუნას გული გადაუშალა და ცოლობა სთხოვა. წუნამ თანხმობის ნიშნად თავი ნაზად დახარა. მშობლებმა და ახლობლებმა დიდად გაიხარეს წუნას და წრუწუნას ბედნიერებით.

გაჩაღდა ქორწილი.

აჭეიპინდა ზურნა და გარმონი.

მოქეიფეთა სიმღერა ცასა სწვდებოდა.

ცეკვავდა ნეფე-დედოფალი, მათთან ერთად ცეკვავდნენ ყვავილები, ხეები, მთელი ქვეყანა – წუნას და წრუწუნას ბედნიერების სიხარულით ფეხზე აღარ იდგნენ. ხმაურზე ბებერმა თავადმა სასახლის აივნიდან გადმოიხედა და იკითხა:

– რა ამბავიაო?!

– წუნას და წრუწუნას ქორწილიაო, – უპასუხეს მსახურებმა.

– ჰაიტ, თქვე არამზადებო, ხომ გითხარით, ის მშვენიერი თაგუნა მე მომგვარეთ-მეთქი.

გაიქცნენ დაფეთებული მსახურები, მექორწინეებს მიეპარნენ და კატასავით დაიკნავლეს. შიშით თავზარდაცემული თაგვები ფაცხა-ფუცხით გაიფანტნენ. წუნას გული შეუღონდა.

გულწასული ჰატარმალი წრუწუნამ ხელში აიტაცა და გაიქცა, მაგრამ წინ თავადის მსახურნი გადაეღობნენ და ლამაზი წუნა ნეფეს ხელიდან გამოსტაცეს, წრუწუნა კი ქვევრში ჩააგდეს. აურზაური როცა მიწყნარდა, თაგვები სამალავიდან გამოძვრნენ და მეგობრის საშველად მოცვივდნენ. ქვევრში კუდებით ჩაეკიდნენ და წრუწუნა ზევით ამოიყვანეს.

ლამაზი წუნა მსახურებმა ბებერ თავადს მიჰგვარეს. სასოწარკვეთილ წრუწუნას თავისი ქალაქელი მეგობარი, მჭედელი ფიცხელა მოაგონდა და ქალაქისკენ მოპკურცხლა. მიეჭრა მეგობარს და შესძახა: – მიშველე, ფიცხელ, ვიღუჰები, ბატონმა ქორწილიდან საცოლე მომტაცა! – წრუწუნა გულწასული დაეცა ფიცხელას ფერხთით.

ფიცხელამ მეგობარი ფეხზე წამოაყენა და უთხრა:

– ჩემი თავი მოგიკვდეს, თუ შენი საცოლე ხვალვე არ ჩაგაბარო.

იმ დამეს ფიცხელამ და მისმა მეგობრებმა წრუწუნა, გულზე დარდის გადასაყრელად ტივზე მიიწვიეს და ლხინითა და ქეიფით ცდილობდნენ მის გართობას.

განთიადისას კი ყველანი თავადის სასახლის წინ იდგნენ და წუნას უმღეროდნენ.

ლამაზმა ტყვემ ცხრაკლიტულის ფანჯრიდან გადმოიხედა და წრუწუნა და მისი მხლებელნი რომ დაინახა, ხსნის იმედი მიეცა.

ამ დროს თავადი შევიდა წუნასთან და შეეცადა მიალერსებოდა, მაგრამ წუნამ ახლოს არ გაიკარა ბებერი თავადი და ხელი ჰკრა, თავადმა და მის დასახმარებლად შემოვარდნილმა მოურავმა იატაკზე მოადინეს ზღართანი.

უცებ, გაცხარებულ თავადს სიმღერა შემოესმა და ფიცხლავ გავარდა აივანზე.

– რაო, ვითომაო, რა გინდათ! – გადასძახა მომღერლებს.

ერთი ხანდაზმული სტუმარი წინ წამოდგა და თავადს თავაზიანად მოახსენა – ამაღამ ქორწილი გვაქვს და წრუწუნას საცოლე გაათავისუფლეო.

თავადი აღშფოთდა – ეს როგორ გამიბედესო, სასწრაფოდ მოიხმო მსახურები და მთხოვნელთა გარეკვა ბრძანა.

მსახურებმა მოციქული ჰანდურით გააძევეს.

გაბრაზდა ფიცხელა და თავადს თვითონ ეწვია.

– გირჩევ ბატონო, ჰატარმალი დაგვიბრუნო, – გააფრთხილა ფიცხელამ თავადი, – თორემ რაც მოხდება, საკუთარ თავს დააბრალე!

ბებერი თავადი გაჯიუტდა, მსახურსა და მოურავს უბრძანა დაუპატიჟებელი სტუმარი სახლიდან გაეგდოთ.

მერე შინ შებრუნდა და ტკბილეულითა და ალერსით შეეცადა წუნას მოტეუებას, მაგრამ ამაოდ.

მთელმა სოფელმა სასახლესთან მოიყარა თავი. ხალხი ბობოქრობდა, თავადს ემუქრებოდა.

ვინ ორთითით, ვინ – ხმლით, ვინ კიდევ კეტებით შეიარაღებულიყო და სასახლეზე მიიწევდა.

შეშინებულმა მსახურმა დაიყვირა:

– არიქა, ბატონო, თავს უშველე, მთელი სოფელი ჩვენზე სამტროდ ამხედრებულა!

– წუნა დამალეთ, ბიჭებს დამიძახეთ! – დაიღრიალა თავადმა.

სად იყო და სად არა – წრუწუნა და ფიცხელა თავიანთი რაზმით სასახლეში შეიჭრნენ.

გაჩაღდა ხელჩართული ბრძოლა.

თაგვებმა ბოროტი თავადის სასახლე დაარბიეს, ჰატარმალი წუნა ტყვეობიდან იხსნეს და სიმღერით წამოიყვანეს. თავადი და მისი მსახურები კი სამაგალითოდ დასაჯეს.

მოდიოდა სოფლისკენ ბედნიერი ნეფე-ჰატარმალი, უკან გამარჯვებული მაურიონი მოჰყვებოდა.

თაგვებმა ჩინებული ქორწილი გადაიხადეს, მათი მხიარულება ცას სწვდებოდა...

აჩვენეთ ბავშვებს მულტფილმი:
http://youtu.be/_3JqSpH48d8

ᠬᠣᠯᠢᠳᠠᠢ ᠬᠣᠯᠪᠣᠭᠳᠠᠯ
ᠮᠣᠩᠭᠣᠯ ᠬᠡᠯᠡᠨ ᠳᠦ

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო ერთი ბიჭი, ჰყავდა დედა და ერთი ხარი. ხვნის ან ლეწვის დროს ხართან უღელში ხან შვილი, ხან დედა შეებმებოდნენ ხოლმე. ერთხელ ხართან უღელში დედა იყო შებმული, შვილი კევრზე იდგა და ასე ლეწავდნენ ძნას.

ამ დროს ხელმწიფემ გამოიარა.

- ბიჭო, რას შვრები მაგას, რა გიქნია საცოდავი დედაკაცისათვის?!

- რა ვქნა, შენი ჭირიმე, ერთი ხარის მეტი არა გვყავს და მეტი ღონე არა გვაქვს, ასე ვშველით ხარს უღლის გაწევაში!

- მაშ, თუ აგრეა, წამოდი ჩემთან და მე მოგცემ ერთ ხარსო.

ბიჭს გაუხარდა და გაჰყვა.

თურმე ხელმწიფეს ჰყავდა ერთი ისეთი გიჟი ხარი, რომ ახლოს არავის იკარებდა. დაახვია ხელმწიფემ ამ ხარს თავისი ჯარი და რის ვაი-ვაგლახით შეაგდეს ბაკში. ბიჭმა უთხრა: რამდენიმე დღეს ნურაფერს აჭმევთო. კარგა ხნის შემდეგ ბიჭი მიუახლოვდა ხარს და ცოტა თივა შეაჭამა, ბიჭმა დაიჭირა ხარი, იღლიაში თივა ამოიდო და გამოუძღვა. ხარი უკან გაჰყვა, მიიყვანა შინ, შეაგდო ბოსელში და ოთხი დღე არაფერი აჭამა. მეხუთე დღეს გამოიყვანა, შეაბა კევრში თავის ხართან, დედა კევრზე დაუსვა, თვითონ თივა აიკიდა და გაუძღვა წინ. გაჰყვა მშიერი ხარი უკან. ბოლოს ისე მოარჯულა ეს ხარი, რომ დაუფასებელი გახდა.

ერთხელ ბიჭი თავის ხარებს კალოზე დააქროლებდა, თვითონ კევრზე იდგა და ოროველას დასძახოდა. ამ დროს ხელმწიფემ გამოიარა და ბიჭს ჰკითხა: - ვისია ეგ ხარი?

- ჩემია, შენი ჭირიმე, თქვენ რომ მაჩუქეთ, ის ხარია, - მიუგო ბიჭმა.

მეფეს გაუკვირდა და ბიჭს უთხრა: - წამოდი ჩემთან, ერთი ქალი მყავს და შენ უნდა მოგათხოვოო.

- რასა ბრძანებ, შენი ჭირიმე, მე რა თქვენი ქალის ღირსი ვარ!

- მე შენ გიბრძანებ, უნდა წამოხვიდე და ჩემი ქალიშვილი შეირთო! - უთხრა ხელმწიფემ.

ბიჭი კიდევ შეეხვეწა, თავი გაენებებინა, მაგრამ მეტი ღონე არა ჰქონდა, ადგა და გაჰყვა ხელმწიფეს.

თურმე ამ ხელმწიფეს ერთი ისეთი ზარმაცი ქალი ჰყოლია, რომ, რაც დაბადებულა, ლოგინიდან არ ამდგარა, ლოგინში ჩაცმევდნენ, იქვე ჭამდა და სვამდა. მივიდნენ სასახლეში. ეს ბიჭი კიდევ შეემუდარა ხელმწიფეს:

- კარგი, შენი ჭირიმე, რაკი აღარ მეშვებით, მაშ ერთი ჟანგიანი ხმალი მომეცით, ერთი ქეციანი ძაღლი და ერთიც გადამკვდარი ცხენი!

ამაზე უარს ვინ ეტყოდა, მისცეს, რაც ითხოვა. ჩამოიკიდა დაჟანგული ხმალი, წამოიყვანა ხელმწიფის ქალი, ქეციანი ძაღლი და გაძვალტყავებული ცხენი. მოდის ბიჭი და ზარმაცად, ზლაზვნით მისდევენ ყველანი უკან. მიუბრუნდა ბიჭი ძაღლს და ეუბნება:

- ძაღლო, ჩემს ნაფეხურებზე დაადგი ფეხი, თორემ ამ ხმალს ხომ ხედავ, თავს მოგაგდებინებ!

რასაკვირველია, ძაღლი ვერ აუსრულებდა ბრძანებას. მოუბრუნდა ბიჭი ძაღლს, დაჰკრა ხმალი და თავი გააგდებინა. ახლა ცხენს უთხრა:

- ცხენო, ჩქარა იარე, ფეხი ჩემს ნაფეხურებზე დაადგი, აქეთ-იქით ნუ გადაუხვევ, თორემ ამ ხმალს ხომ ხედავ, თავს წაგაგდებინებ!

ცხენს რა გაეგებოდა ბიჭის ლაპარაკი, როგორ აასრულებდა მის ბრძანებას? მიუბრუნდა ბიჭი, დაჰკრა ხმალი და თავი წააგდებინა.

მერმე ქალს უთხრა:

- ქალო, ხომ ხედავ ამ ხმალს, ჩქარა იარე, ფეხი ჩემს ნაფეხურებზე დაადგი, თორემ შენც იზე გაგაგდებინებ თავს, როგორც სხვებსა!

მიდის ბიჭი, მისდევს ქალი, ეშინია, არ ჩამორჩეს. როგორც იყო და არ იყო, მივიდნენ შინ. გაუშალეს ლოგინი, ჩაწვა შიგ ეს ქალი და არც იქით იძვრის და არც აქეთ.

მეორე დღეს დედა და შვილი სამუშაოდ წავიდნენ კალოზე. მთელი დღე იმუშავეს, გალეწეს, გაანიავეს და საღამოთი შინ დაბრუნდნენ. დედამ დაუძახა შვილს:

- შვილო! საქმე ვინ გააკეთა?

- მე და შენა, - მიუგო შვილმა.

- პური ვინა ჭამოს?

- მე და შენა.

ჭამეს დედა-შვილმა პური, ქალი კი შორიდან უყურებს მშიერ-მწყურვალი. დაწვნენ და დაიძინეს. მეორე დღეს ისევ სამუშაოდ წავიდნენ. ასე გაატარეს ოთხი დღე, ქალს მეხუთე დღეს ისე მოშივდა, რომ სულ კუჭი ეწვოდა შიმშილით. თუ არა გავაკეთე რა, ეს ხალხი მშიერს მომკლავსო, - თქვა ქალმა, მისწვდა ლოგინიდან ცოცხს და რასაც ლოგინიდან მისწვდებოდა, შემოიგავა გარსემო. დედა და შვილი საღამოს დაბრუნდნენ.

- შვილო! საქმე ვინ გააკეთა?

- მე და შენა, - მიუგო შვილმა.

- პური ვინა ჭამოს?

- მე და შენა.

დასხდნენ დედა-შვილი და ჭამეს პური. დედამ შვილს უთხრა:

- ცოტა პური ამასაც მოვუტეხოთ, თავის გარშემო შემოუგვიაო.

მოუტეხეს ერთი ხელისგულისოდენა პური. ცოტა პურმა ქალს უფრო მადა გაუღვიძა. მეორე დილით, დედა და შვილი სამუშაოზე რომ წავიდნენ, შიმშილმა ისე შეაწუხა ეს ქალი, რომ ადგა, აიღო ცოცხი და ნახევარი კერა შემოგავა, მივიდა და ისევ ლოგინში ჩაწვა. მოვიდნენ დედა-შვილი, ჭამეს პური და ნახევარი პური ქალსაც მოუტეხეს კერის დაგვისათვის.

დილით ისევ სამუშაოზე წავიდნენ. ქალი ადგა, მთელი სახლი დაალაგა, ლოგინი დაბერტყა, დააგო და ისევ შიგ ჩაწვა. საღამოთი დედამ და შვილმა ჭამეს პური და ქალსაც ერთი პური მიუტანეს.

მეორე დილით ჩვეულებრივ დედა-შვილი სამუშაოზე წავიდნენ. ქალმა იფიქრა: ეს კარგი, ერთი პური დღესა და ხვალ მეყოს, მერმე? თუ არა გავაკეთე რა, ეს ხალხი შიმშილით მომკლავსო. ადგა, აილაგა ლოგინი, დაიბანა პირი, დაგავა, დაასუფთავა სახლი, ჯამ-ჭურჭელი დარეცხა, დააკრიალა, კერაში შემოდგა შეჭამანდი, მოირთო და ისე დახვდა დედამთილსა და ქმარს. დედა-შვილს გაუხარდათ, გადაეხვივნენ და გადაკოცნეს. ამის შემდეგ ისე მორჯულდა ეს ქალი, რომ ბადალი არა ჰყავდა.

ერთხელ ხელმწიფემ თქვა: მოდი, წავალ, გავიგებ, როგორაა ჩემი ქალი, ცოცხალია თუ მკვდარიო! დედამთილი და ქმარი სამუშაოდ იყვნენ წასული, თვითონ დერეფანში იჯდა და ლობიოს არჩევდა. დაინახა თავისი მამა, გაექანა და გადაეხვია, მეფეს ძალიან გაუხარდა, რომ თავისი ქალი ასე ნახა. ქალმა უთხრა მამას:

- ჩემი ქმარი, ვინც საქმეს არ გააკეთებს, პურს არ აჭმევს, აბრძანდით ბანზე ვეზირებთან ერთად და ბანი დატკეპნეთო!

იმ ქალის ქმარს ის-ის იყო ახალი ქვიტკირის სახლი გაეკეთებინა და ბანზე მიწა იყო დაყრილი. გახარებული მეფე ვეზირებთან ერთად ავიდა ბანზე და კარგად დაუტკეპნა ბანი. ამ დროს დედა-შვილიც მოვიდნენ, გამართეს ლხინი. მეფემ დაასაჩუქრა თავისი სიძე და ქალი და დაიწყეს ტკბილი ცხოვრება. ■



❖ თამარ ჩორგოლეიშვილი,
ნინა ახლოური,
ჟურნალი „ტაბულა“

სკოლიდან გამოდის. გარშემო, როგორც ყოველთვის, ხმაური და მოვრი ხალხია – მორვე ავენიუსა და თაიმს სქვერის რაიონში სხვას რას უნდა ელოდე. ქუჩაში დასარცყამი ინსტრუმენტის ჯოხემის ხმაურით მიამიჯემს და ჰერმი ჰენკოკზე ფიქრობს. თავში მუსიკოსის იმ ვიდეოს კადრემს აცრიალემს, რომელიც კოლექციისთვის სჭირდემა. შეიძლემა DVD აქ ჰქონდეთ, აი, ამ ვიდეომაღაზიაში.

შიგნით შედის და სანამ რაიმეს იკითხავდეს, ვიღაც ახმახი ადგემა თავზე:

– „აქ რას აკეთებ, ყმაწვილო?“.

პასუხის გაგონემისთანავე მავშვს ქუჩოში კიდემს ხელს და ქუჩაში აძევემს – ჰენკოკს და თინეიჯერს სექსშოფში არაფერი ესაქმემათ. ამ უკანასკნელის ადგილი არც ჯულიარდის ხელოვნემის სკოლის ჯაზის ფაკულტეტზეა – ჯერ პატარაა. თუმცა ზოგადი ნორმემი ორდინარულ მავშვემს შეიძლემა შეეფარდოს, მიჭი კი ნაკლემად ჰგავს თავისი თაობისა და ასაკის მოზარდემს.

მექა გოჩიაშვილი დღეს თექვსმეტი წლისაა, თუმცა უკვე თორმეტი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ჯაზი მისი ცხოვრემის განუყოფელი ნაწილი გახდა. ტექნო ეპოქის შვილმა, სულ რაღაც ექვსი წლის ასაკში გადაწყვიტა, რომ ჯაზი ესწავლა. ეს უცნაურად, დაუჯერემლადაც კი ქღერს, თუმცა...

„მამაჩემი მუსიკოსია, პიანისტი. ჯაზზე გიჟდებოდა. ორწლინახევრის რომ ვიყავი, აბსოლუტური სმენა აღმომიჩინეს, მამაჩემი რასაც უკრავდა, მეც ზუსტად იმ ტონალობაში ვმღეროდი. სამი წლის ასაკში საწოვარას ვიყენებდი. რა აღარ სცადეს მშობლებმა - წიწაკა წაუსვეს, დამიმალეს, მაგრამ ვერ გადამაგდებინეს. ერთხელ ის მამაჩემმა წამართვა და მითხრა, რომ თუ ჩემი ნივთის დაბრუნება მინდოდა, სკოტ ჯოპლინის ერთ-ერთი კომპოზიციის ნაწყვეტი უნდა გამემეორებინა. მამაჩემი ოთახიდან გავიდა და ინსტრუმენტთან მარტო დამტოვა, ცოტა ხანში კი მუსიკის ხმაზე უკან შემოვიდა - ნაწყვეტი უშეცდომოდ გავიმეორე. იმ დღესვე მთელი კომპოზიციის დაკვრა მასწავლა თავიდან ბოლომდე. ნელ-ნელა ჯაზი გახდა ჩემი საწოვარა. ოთხი წლის ვიყავი, ოსკარ პიტერსონს რომ მოვუსმინე - მისი მუსიკა ჩემს იავნანად იქცა. შემდეგ მამაჩემმა კიტ ჯარეტის კასეტა მომიტანა და მივხვდი - ეს იყო მუსიკა, რომელიც ჩემთან ყველაზე ახლოს იდგა და ჯარეტიც დღემდე ჩემი საყვარელი მუსიკოსია“.

ექვსი წლის ასაკში მშობლებმა თბილისში ჯაზის საუკეთესო პედაგოგთან, ზურა რამიშვილთან მიიყვანეს. ამ უკანასკნელმა ბექას ურჩია, ჯერ კლასიკურ მუსიკაში ევარჯიშა, რადგან ჯაზი მისთვის ადრე იყო. სამი წელი კლასიკას უკრავდა, ცხრა წლის კი რამიშვილთან დაბრუნდა - „შემდეგ ბებე ლორთქიფანიძის კლუბ „მეოცე საუკუნეში“ დავიწყე დაკვრა. თერთმეტის რომ გავხდი, ლატვიაში, საულკრასტის ფესტივალზე აღმოვჩნდი, სადაც შემთხვევით ლენი უაიტი გავიცანი. უაიტი ჯაზის სამყაროში ერთ-ერთი გამორჩეული დრამერია, რომელიც ჩიკ კორეასთან ერთად მუშაობს. მაშინ ის უორქშოპს ატარებდა. მე არც ვიცოდი ვინ იყო და უბრალოდ, ჩემთვის დაკვრა დავიწყე. უცებ უაიტმა გამაჩერა და მთხოვა, სხვადასხვა ტონალობებში დამეკრა“. ცოტა ხანში უაიტმა ბექას რეპეტიციაზე მასთან ერთად დაკვრა შესთავაზა. ესეც დათანხმდა, რა თქმა უნდა.

დიდი ხნის განმავლობაში ბექას არსებობა მხოლოდ ჯაზის მოყვარულთა ვიწრო საზოგადოებამ იცოდა, სანამ 2008 წლის ივნისში თბილისს საქმიანი ვიზიტით კონდოლიზა რაისი არ ეწვია. ერთ-ერთი შეხვედრის შემდეგ, ის სადილად კოპალაში მივიდა, სადაც ბექას უნდა დაეკრა. ორი-სამი აკორდის აღების შემდეგ კონდოლიზა ახალგაზრდა პიანისტის ნიჭით აღფრთოვანდა - თავადაც პროფესიონალი მუსიკოსია და ბექას შესაძლებლობები არ გამოჰპარვია. მოგვიანებით, ამერიკის სახელმწიფო მდივანმა ინტერვიუში განაცხადა, რომ ბექა ყველაზე ნიჭიერი ჯაზმენია, რომელსაც ოდესმე შეხვედრია და მისი ეს ნათქვამი, დამწყები ჯაზმენის წარმატების კატალიზატორად იქცა. ამას მოჰყვა საქართველოში აშშ-ის მაშინდელ ელჩთან, ჯონ ტეფტთან შეხვედრაც, რომლის დახმარებითაც ჯოელ ჰარისონი, აშშ-ის პიანისტთა ასოციაციის პრეზიდენტი გაიცნო. ბექა ბერკლიში აპირებდა ჩაბარებას, მაგრამ ჰარისონის გაცნობის შემდეგ ჯულიარდში სწავლა გადაწყვიტა.

შეერთებული შტატების საელჩოს ხელშეწყობით, 2008 წელს ბექა მამამისთან ერთად ნიუ იორკში გაემგზავრა, სადაც ჯულიარდის სკოლისა და მანჰეტენის მუსიკის სკოლის კონკურსებში მიიღო მონაწილეობა. ის ორივეგან მიიღეს.

ასეთი პატარა ბავშვებისთვის ჯულიარდში მოხვედრა რთულია, უფრო სწორად, არარეალურიც კი - სკოლას სტუდენტების მიღების ძალიან მკაცრი წესი აქვს. ბექას ასაკის ბავშვი აქ მოსამზადებელ კოლეჯში თუ ისწავლის, ისიც იმ შემთხვევაში, თუ ამერიკაში ცხოვრობს, იქაურ სკოლაში დადის და ჯულიარდს მხოლოდ შაბათ-კვირას დაუთმობს. კენი ბრაუნი, რომელიც ჯულიარდის ჯაზისა და ფორტეპიანოს ფაკულტეტზე ასწავლის, იმდენად აღფრთოვანდა ბექა გოჩიაშვილის მონაცემებით, რომ მიუხედავად ბიუროკრატიული წინააღმდეგობისა, გადაწყვიტა გამონაკლისი დაეშვა და მოსამზადებელ სკოლაში მიეღო.

მაშინ ბექას დასახმარებლად ჯულიარდის საგარეო ურთიერთობათა განყოფილების ხელმძღვანელს, ნონა შენგელაიას დაუკავშირდნენ. ნონამ არაფერი იცოდა ბიჭის შესახებ და თავიდან მორიგი ამბიციური, მაგრამ არაფრით გამორჩეული ქართველი მუსიკოსი ეგონა, რომელსაც, უბრალოდ, მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ხელოვნების სასწავლებელში სურდა მოხვედრა. შენგელაიას ამერიკის ელჩის ატაშემ დაურეკა და ბექას ნიჭის შესახებ მოუყვა, უთხრა ისიც, რომ სწავლას თავად დააფინანსებდნენ, მას მხოლოდ ცამეტი წლის მუსიკოსის შეკედლება ევალებოდა. ამაზე ნონამ უარი განაცხადა, არ სურდა პატარა ბავშვის მოვლის ვალდებულება საკუთარ თავზე აეღო: ქალიშვილები გაიზარდნენ, მეუღლესთან კი ახალი თაფლობის თვე ეწყებოდა - მშვიდი, წყნარი პერიოდი. „ბექას ნახვამდე ზურა რამიშვილმა დამირეკა და მითხრა, რომ მისი სახით შესანიშნავ მუსიკოსს გავიცნობდი. სკეპტიკურად ვუყურებდი ჩემთვის უცნობი ბიჭის შესაძლებლობებს და ზურას ვუთხარი, ის ალბათ ისევე უკრავს, როგორც ჰარლემის ყველა სადარბაზოში უკრავენ-მეთქი. ზურა ცოტა ხანს დაფიქრდა და მიპასუხა - „დამიჯერე, არსად არ უკრავენ ისე, როგორც ბექა უკრავსო, და მართალი აღმოჩნდა“.

ის, რომ ბექა მაინც ნონა შენგელაიასთან აღმოჩნდა, პირველ რიგში, მისი მეუღლის, გია შენგელაიას დამსახურებაა. ჯაზის მოყვარულმა ბიჭის შეკედლება მაშინვე გადაწყვიტა, როგორც კი გაიცნო და მოუსმინა - „ახლა ბექას გარეშე ვერ წარმომიდგენია. უცხო ადამიანების შვილი ისე გახდა ჩემი ოჯახის წევრი, ვერც შევამჩნიე. უმნიშვნელო კონფლიქტიც კი არ მოგვსვლია არასდროს“, - ამბობს დღეს ნონა.

ამასობაში, ბექას დაკვალიანებაში საქართველოს მთავრობაც ჩაერია. სწორედ აქედან იწყება მის ცხოვრებაში ჯულიარდის ხანა.

„თავიდან ნიუ იორკში ძალიან გამიჭირდა, - ამბობს მუსიკოსი, - იყო ენის პრობლემები, თან გამუდმებით მენატრებოდა დედა და მეგობრები. თუმცა ნონასა და გიას გვერდში დგომით და, რა თქმა უნდა, ჯაზის დახმარებით, ყველაფერი გადავლახე. ვიცოდი, რომ აქ სწავლა ჩემთვის აუცილებელი იყო. როგორც ჩემი, ისე ქართული ჯაზის მომავლისთვის“. თუმცა ბექა მომავალს არ გეგმავს - „არ ვიცი, მომავალში რა იქნება, ჯაზმენის ცხოვრება მის მუსიკას ჰგავს, ის ერთი დიდი იმპროვიზაციაა, სადაც მომავლის დაგეგმვა სისულელეა“...

გენიოსის სტატუსი მისთვის მხოლოდ და მხოლოდ პასუხისმგებლობას ნიშნავს. ვერ იტანს, როდესაც ეუბნებიან, რომ თავში არ უნდა აუვარდეს, რადგან ამ ფრაზის არსს ვერ ხვდება. ფიქრობს, რომ თავდაჯერებულობა, სითამამე, მისი თანდაყოლილი თვისებებია. ისე, მათი შეძენა სულაც არაა რთული, განსაკუთრებით მაშინ, როცა თექვსმეტი წლის ასაკში ჩიკ კორეასთან ერთად ალბომს წერ...

ნიუ იორკში კორეას მოსასმენად ჯაზკლუბ Blue Note-ში, როი ჰეინსის ოთხმოცდახუთი წლის იუბილეზე მივიდა ნონასთან და გიასთან ერთად. იქ უცნაური სიტუაცია დახვდა -

ხალხის უმეტესობა, ლეგენდარული მუსიკოსის მოსმენის მაგივრად, ჭამით და პარტნიორის კოცნით იყო დაკავებული. ბექა კი გაუნძრევლად ივჯდა და უსმენდა. ნონა იხსენებს, რომ იმ საღამოს ვარსკვლავი ბექასთვის უკრავდა - მათ შორის უსიტყვო, ქიმიური რეაქცია წარმოიშვა. კონცერტის დასრულების შემდეგ კორეა ახალგაზრდა მუსიკოსს გაეცნო და მაშინვე მიხვდა, ვინ შეიძლებოდა ის ყოფილიყო - „შენ ხომ ის ცამეტი წლის გენიოსი ხარ, რომელზეც ლენი უაიტი ორი წლის წინ მიყვებოდა“. კორეამ მას თავისი პირადი ელექტრონული ფოსტის მისამართი მისცა და ჯაზმენების მეგობრობაც ასე დაიწყო.

გაცნობიდან რამდენიმე თვეში Blue Note-ში ისინი ერთმანეთს კვლავ შეხვდნენ და კორეამ ბექას მასთან ერთად დაკვრა შესთავაზა. ერთ-ერთ კონცერტზე სამი-ოთხი კომპოზიციის დაკვრის შემდეგ ჩიკ კორეა მაგიდასთან მივიდა, ბექას მხარზე ხელი დაადო და სტუმრებს უთხრა, ეს ბიჭი მონსტრია და დაიმახსოვრეთო. რამდენიმე დღეში კი, ისევ კონცერტის დროს, როდესაც პოლ მოტიანთან და ედი გომესთან ერთად უკრავდა, ჩიკ კორეა სამი თემის შემდეგ მიკროფონთან მივიდა და თქვა: „აქ არის ერთი ბიჭი, რომელიც ექვსი წლიდან მისმენს. ის ისეთი ნიჭიერია, რომ ახლა, დროა, მე მოვუსმინო მას“. ამ სიტყვების შემდეგ ჯაზმენმა ბექა სცენაზე მიიხმო, თავად კი მისი ადგილი დაიკავა. იმ საღამოს ბექამ პოლ მოტიანთან და ედი გომესთან ერთად თხუთმეტი წუთი დაუკრა და იქ შეკრებილი ხალხის მხურვალე აპლოდისმენტები დაიმსახურა.

თუმცა ახალგაზრდა მუსიკოსს აპლოდისმენტებით უკვე დიდი ხანია, ვერ გააკვირვებ. როგორც მისი პედაგოგი, ზურა რამიშვილი აღნიშნავს, ბექას იმპროვიზაციის უნიკალური ნიჭი, სვინგის არაჩვეულებრივი შეგრძნება და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, თანამედროვე ხედვა აქვს, რაც მუსიკოსს საშუალებას აძლევს, რომ ჯაზში ახლებური კილოები, თემები შემოიტანოს. მასწავლებელი ფიქრობს, რომ ბექას წარმატების ერთ-ერთი მიზეზი აუდიტორიის, ავტორიტეტების შიშის არქონაც არის. ეს ყველაფერი კარგად ხსნის იმას, რომ პრესტიჟულ კლუბებსა და საკონცერტო დარბაზებში ძალიან წარმატებული გამოსვლების გარდა,ბექა ბევრი დიპლომის მფლობელია. ამასთან, ის მონროს ახალგაზრდა პიანისტთა კონკურსის ყველაზე ახალგაზრდა გამარჯვებულიცაა. ანალოგიური წარმატების შანსი ჰქონდა მონკის ინსტიტუტის ჯაზკონკურსზეც, მაგრამ ფინალში ვერ გავიდა. ჟიურის წევრებმა, დანილო პერეზმა და ჰერბი ჰენკოკმა, ბექას პირად საუბარში უთხრეს, რომ წარუმატებლობის ერთადერთი მიზეზი მისი ასაკი იყო.

ახალგაზრდა ქართველი მუსიკოსის კარიერა სწრაფი ტემპით ვითარდება. მან Blue Note-ში უკვე გამართა საღამოები სტენლი კლარკთან და ლენი უაიტთან ერთად, ხოლო ჩიკ კორეასთან ჩაწერილი ალბომი ახლახანს გამოვიდა. ახლა მეორე დისკზე მუშაობს და მალე ლონდონის ლეგენდარულ ჯაზკლუბ Ronnie Scott's-ში ჩაატარებს კონცერტს, სადაც სპეციალური მიწვევით მიემგზავრება. მწერალ ქუინსი ტროუფს კი, რომელიც მაილს დევისის ცნობილი ავტობიოგრაფიული წიგნის შემქმნელია, ბექაზე ავტობიოგრაფიული წიგნის დაწერა სურს.

პარალელურად სწავლას აგრძელებს. უყვარს სოული, სტივი უანდერი, უსმენს კლასიკას, მოსწონს ქართული ხალხური და ქალაქური სიმღერები... თუმცა ჯაზზე და კიდევ, ნინიკოზეა შეყვარებული – კომპოზიცია Song to Niniko, ჩიკ კორეასთან ერთად ჩაწერა. ნინიკო მასზე ორი წლით დიდია. გაიცნო თბილისში. თავიდან მისი გარეგნობით მოიხიბლა, შემდეგ კი აღმოაჩინა ადამიანი, რომელსაც მისი ესმის, უყვარს ისეთი, როგორიც არის.

ის კი ასეთია - თავისუფლების მოყვარე, მუდამ სტანდარტების, წესების წინააღმდეგი. ალბათ ამიტომაც, ბექას ცუდად ახსენდება გრემის მუსიკალური დაჯილდოების ბანაკი, მეტიც, მას ციხეს ადარებს. ბანაკის ხელმძღვანელმა, დევიდ სიერსმა თავიდანვე იმის გამო აითვალწუნა, რომ მისი თავისუფალი დამოკიდებულება და სითამამე არ მოეწონა. გრემის მთავარ დღეს, როდესაც ყველას ფორმალურად უნდა ცმოდა, ბექა მაისურით გამოცხადდა, რისთვისაც კონცერტის შემდეგ დაისაჯა კიდეც - სიერსმა მას არა მხოლოდ ჭამა, ოთახიდან გამოსვლაც აუკრძალა, ხოლო როდესაც მის სანახავად ჩიკ კორეა მივიდა, შეხვედრის უფლება არ მისცა.

გამგზავრებისას ბექა ძალიან ცუდ ხასიათზე იყო, ავტობუსისკენ მიდიოდა და ამ დროს ვიღაცამ დაუძახა. ჩიკი იყო - ავტობუსთან ელოდებოდა. უთხრა, რომ ძალიან მოეწონა მისი შესრულებაც და ჩაცმულობაც. ისიც, რომ ყურადღება არავის მიაქცია და გააკეთა ის, რაც თვითონ უნდოდა, რადგან მხოლოდ ასეა შესაძლებელი მიზნის მიღწევა. „შეხედე, მე როგორ ვარ მოსული, - მითხრა კორეამ და მაჩვენა თავისი ჰალსტუხი, რომელზეც წითელი გულები ეხატა. ასევე პიჯაკი, რომელიც ფასადაკლებით ჰქონდა შეძენილი Old Navy-ში.

მაშინ კიდევ ერთხელ მივხვდი, რამდენად კარგია, როდესაც მუსიკაში თავისუფლება გაქვს და არავინ გზღუდავს. იქ, სადაც თავისუფლება იზღუდება, მუსიკა ვერ იარსებებს. მით უმეტეს ჯაზი, რომელიც თავისუფლების სიმბოლოა, იმპროვიზაციაა და გულიდან და გონებიდან უნდა მოდიოდეს“... ■

ოცი წელი მალხაზ ხარბედია
რეზო ინანიშვილის ჩემი წასვლიდან

რატომღაც ბევრს ჰგონია, რომ კარგი მწერალი ყოველთვის უნდა აქო, ხოტბა უნდა ასხა, ხელისგულზე ატარო. მაგალითად, ავიღოთ რომელიმე კონკრეტული მწერალი, რომელსაც ძალიან აქებენ. რა ხდება ამ დროს? ამ დროს ის ხდება, რომ ეს ქება-დიდება მკითხველთა ნაწილს ტრანსში ავდებს, თიშავს, წყვეტს რეალობისგან, ნაწილს კი, პირიქით, ძალიან აღიზიანებს და ამ კონკრეტულ ავტორს აშორებს. ასე კარგავს კარგი მწერალი ნამდვილ მკითხველს. არადა, ქებას ან ძაგებას ყოველთვის სჯობია მწერალი დაინახო და სხვასაც დაანახო, რათა მან მკითხველი კი არ დაკარგოს, პირიქით, ახალი შეიძინოს.

ეს პრობლემა რეზო ინანიშვილის ძალიან მრავალფეროვან შემოქმედებასაც ეხება, მწერალს, რომლის შემოქმედებაშიც ყველას შეუძლია რაღაც თავისი იპოვოს. ზოგისთვის იგი ჰუმანისტი მწერალია, სხვებისთვის - სოფლის მწერალი, ვიღაცისთვის - ვაჟას პროზაული ტრადიციის გამგრძელებელი. კიდევ ბევრის ჩამოთვლა შეიძლება და უფრო დაკონკრეტებაც... მაგალითად, ჩემმა მეგობარმა, ჟურნალისტმა ნინო ბექიშვილმა, რეზო ინანიშვილზე საუბრისას 1937 წელი და ის გულგრილობა გაიხსენა, რითაც XX საუკუნის ქართულმა მწერლობამ აუარა ამ თემას გვერდი:

„ერთი კიდევ, რითიც მნიშვნელოვანია ქართული მწერლობისთვის და პროზისთვის რეზო ინანიშვილი, ის არის, რომ მან ძალიან კარგად ასახა 1937 წლის ტერორი და ტრაგედია. ძალიან უცნაურია, რომ საბჭოთა პერიოდის ქართველი მწერლები ამ თემას საერთოდ უვლიდნენ გვერდს. ერთადერთი ნოდარ დუმბაძე შემიძლია გავიხსენო და, მეორე, რეზო ინანიშვილი, მისი მოთხრობით „პატარა ბიჭი დიდ გოლგოთაზე“, რომელიც, ჩემი აზრით, მართლაც, როგორც ამბობენ ხოლმე, ნებისმიერ ანთოლოგიას დაამშვენებდა.“

ნინომ ჩემი საყვარელი თემაც ახსენა - რეზო ინანიშვილის ქალაქი, მისი თბილისი, რომელიც შეიძლება უმთავრესი არაა მის შემოქმედებაში, მაგრამ ზუსტია და კარგად ასახული:

„ძალიან საინტერესოა ის ქალაქი, თბილისი, რომელიც ჩანს რეზო ინანიშვილის პატარა მოთხრობებში და სადაც ეს გაბნეულია. ამგვარი თბილისი სხვაგან არსად გვხვდება - ნახალოვკის რაღაც ხუხულები, სადაც სოფელში შიმშილს გამოქცეული მისი ოჯახი თავს აფარებდა. ასევე ახალი, ურბანული ქალაქი, სადაც მხოლოდ ქარია. ერთ მოთხრობაში ძალიან კარგად აქვს აღწერილი ონკოლოგიური საავადმყოფოს შემოგარენი და მიუხედავად იმისა, რომ ძალიან თავშეკავებულად დაწერილი მოთხრობაა, ძალიან მძიმე ამბავი ხდება იქ და დიდი ტრაგედია.“

რეზო ინანიშვილის პროზაში ბევრია წუხილი, ტკივილი, დიდი და პატარა ტრაგედიები, თუნდაც გაიხსენეთ

მისი ყველაზე მცირე ზომის, ერთაბზაციანი მოთხრობა, „ღამეულ ტყეში", სადაც ღამით ავტორი ტყეს აყურადებს, საიდანაც მუდამ კრუსუნი, კვნესა და გმინვა ისმის და ბოლოს ასკვნის: „წუხილი ყველგანაა". ანდა მისი მეორე ერთაბზაციანი შედევრი, „ზარი კახეთში", როცა 40 წლის ქალს მოასვენებენ და იქვე, ჭიშკართან დამდგარი ბერიკაცი ამბობს სიტყვებს, რომელსაც მხოლოდ გულში თუ გავიმეორებ: „ეგ როგორ მოიდიხარ, გოგო?!"

თუმცა ამის მიუხედავად, ან იქნებ სწორედ ამის გამო, რეზო ინანიშვილის მოთხრობებში ყველაზე მეტი და ყველაზე დიდი სიცოცხლე და სიცოცხლის სიყვარულია ჩადებული. მაგალითად, მოთხრობა „ცეტები", განსაკუთრებით მისი მეორე ნაწილი, სადაც ცეტები თავიანთ გაჭაღარავებულ, შრომის გმირ ვირს გაცილებას უწყობენ, „პაბედაში" ჩასვამენ და მთელ კახეთს მოატარებენ დოლ-გარმონითა და ჭიქის ჭახუნით. არც კი ვიცი ამ სცენიდან რომელი ადგილი დავიმოწმო, მაგრამ შევეცდები. ერთი მომენტია, გზაზე ინსპექტორი გააჩერებს ცეტებს და მანქანაზე ნომრების ახსნას დაუპირებს თურმე, მაგრამ ხალხი არ დაანებებს: „შენაო, ქუდი ხომ არ გიჭერს, აბა თითი შეიყავი რკალშიო. ჩამოსულან ესე იმ სოფელში, სადაც შახო იყო ნაყიდი (ასე ერქვა იმ ვირს), მიიყვანეს სწორედ იმ ვერხვთან და წყაროსთან, სადაც ფული ჰქონდათ დათვლილი შახოში, გადმოუყვანიათ მანქანიდან, გაიხარაო, გაიხარაო, - თურმე რომ დააღო პირი და ამოუჯდა გული, სულ ღაპაღუპით სდიოდა ხალხს ცრემლიო".

ანდა „ბღუკები". ვისაც ეს მოთხრობა წაკითხული აქვს, შეუძლებელია დაავიწყდეს ის სცენა, უზარმაზარი ღორი რომ გაიტაცებს თოკშებმულ კაცს, მეტსახელად ბღუკს, და კარგა მაგრად ათრევს... ხან ჩაატარებს ეს ღორი ამ ბღუკს მთხრობელის თვალწინ, ხან ამოატარებს, და ასე რამდენიმეჯერ. ამ დროს მთხრობელი ამბობს: „გული მისკდება, კაცო, მგონია, აღარ არი ბღუკი, გაცვდა. ეგ კიდე ქვემოდან მამშვიდებს..."

„ერთი შეხედვით, რეზო ინანიშვილმა - არ ვიცი რამდენად სწორია ამის თქმა, მაგრამ... - მომდევნო თაობებზე ძალიან ცუდად იმოქმედა მისმა პროზამ, უფრო სწორად, ქართული პროზის ერთი ნაწილის განვითარებაზე, იმიტომ რომ ძალიან ბევრმა ავტორმა ჩათვალა, რომ ამ ჟანრში წერა არის ძალიან ადვილი და შედეგად მივიღეთ ის, რომ დღესაც კი რომელიმე თანამედროვე ავტორი ჩნდება, წაიკითხავ და ხვდები, რომ რეზო ინანიშვილის ეპიგონია. ის რაღაც, არ ვიცი ამას რა დავარქვა, მადლი თუ კულტურა, ბუნებრივია, ამათ აღარა აქვთ. ანუ ტემპერატურა", - ამბობს ჟურნალისტი ნინო ბექიშვილი

ჩემთვის რეზო ინანიშვილი ნამდვილად ამ ტემპერატურის, ყველაზე მთავარის დაჭერის მწერალია. ისეთი გარტყმები აქვს, სახეზე ალმური აგდის ხოლმე. კითხვისას შეხურება იცის. ყველანაირ სიტუაციაში აღწევს ამას - აღწერისას თუ დიალოგისას, თხრობისას თუ ჩამოთვლისას. მაგალითად, თქვა ერთგან მწერალმა - „საიდანღაც მობრუნდა სიყვარული" და ხედავ მართლა როგორ მობრუნდა სიყვარულის მიერ მიტოვებულ ობლების ოჯახში ეს სიყვარული, ხედავ რამსიშორიდან მობრუნდა, რა მალე გამოიარა ეს გზა. ანდა ვინ იცის, შეიძლება იქვე იყო, ზურგშექცევით და, უბრალოდ, შემობრუნდა. ეს რეზო ინანიშვილის სიტყვის მაგიის მხოლოდ ერთი პატარა მაგალითია.

რეზო ინანიშვილის გარდაცვალება ძალიან უცნაური და ტრაგიკული იყო. იგი სამოქალაქო ომის პირველ დღეებში წავიდა ამ ქვეყნიდან. 20 წელია ეს წასვლა მახსენდება და დღემდე ვერ შევძელი მისთვის სახელის დარქმევა:

„იმიტომ რომ რეზო ინანიშვილს ვიცნობდი და რაღაცა ურთიერთობაც გვქონდა, მთელი მისი ავადმყოფობის ამბებიც ვიცოდი, ისიც გავიგე, რომ მისი მდგომარეობა დამძიმდა და იგი ძალიან ცუდად იყო... მაგრამ მაშინ თბილისში მიდიოდა თბილისის ომი და მიუხედავად იმისა, რომ მართლა ყველანი ძალიან დაზაფრულები ვიყავით იმით, რაც ირგვლივ, გარეთ ხდებოდა, რეზო ინანიშვილის სიკვდილი ჩემთვის და ჩემი მეგობრებისთვის მართლა ძალიან დიდი ტრაგედია იყო. მაგრამ ცნობილია, რომ ის მხოლოდ რამდენიმე ადამიანმა მიაცილა დიდუბემდე.

და რაღაცნაირად, როგორც თვითონ წერდა ხოლმე, „ზამთრის ერთ გაცრიატებულ დღეს" მიაბარეს მიწას, საერთო დიდი ტრაგედიის ფონზე".

ბოლოს ერთი რამე მინდა ვთქვა. 1981 წელს „საბჭოთა საქართველოს" მიერ გამოცემულ მოზრდილ ერთტომეულს თუ არ ჩავთვლით, თითქმის ყველა შედგენილ - ვაზუსტებ, შედგენილ - კრებულს აქვს რაღაც ხარვეზი. ყველას რაღაც აკლია. ბევრი შემდგენელი ეგოისტია, მხოლოდ „თავისები" აქვს შეტანილი, სხვები კი მხოლოდ საზოგადო, სახელიან მოთხრობებს არჩევენ, უფრო ხშირ შემთხვევაში კი, შემდგენელს, უბრალოდ, არ ესმის მწერალი. ასე რომ, რეზო ინანიშვილის ნაწერებში ყველამ თავისი საყვარელი ტექსტები უნდა ვეძებოთ, სხვა ამაში ვერ დაგვეხმარება.

დიდი ხნის წინ, როდესაც პირველი კურსის სტუდენტი ვიყავი, ლექტორმა რაღაც განყენებული თემა მოგვცა დასაწერად, რომლის მიხედვითაც ჩათვლა უნდა მიგვეღო. მახსოვს, კალამგაუწაფავი ახალბედა, ყველას ვეკითხებოდი - რა ვქნა, რა დავწერო-მეთქი? იმის შემდეგ ოცდახუთი წელი გავიდა და პირველად ახლა ჩავვარდი მსგავს სიტუაციაში, თუმცა, ახლა ყველას გაუჭირდა რჩევის მოცემა. მერე კი, ვფიქრობ, ყველაზე სწორი გადაწყვეტილება მივიღე: ერთი კვირაა „ვეფხისტყაოსანს" ვკითხულობ - ჯერ თავიდან ბოლომდე, შემდეგ ალაგ-ალაგ, შემდეგ ისევ თავიდან...

მართლაც, რა უნდა თქვა რუსთაველისა და „ვეფხისტყაოსნის" შესახებ? მით უფრო, როცა იცი, რომ ამას რამდენიმე ათასი ქართველი წაიკითხავს?

შესაძლოა, ვინმემ თქვას, - ტყუილად გგონია, რომ დღესაც ისევე იცნობენ ქართველები (განსაკუთრებით, ახალგაზრდები) თავიანთ უპირველეს საუნჯეს, როგორც ადრე, ამიტომ სწორედ დღეს არის საჭირო ამაზე საუბარიო... მაგრამ მე მაინც დარწმუნებული ვარ - ვისთვისაც რუსთაველი და „ვეფხისტყაოსანი" მხოლოდ ყურმოკრული ამბებია, ის არც გაზეთს კითხულობს, ამიტომ უხერხული მგონია რუსთაველის ბიოგრაფიასა (მით უმეტეს, რომ ბევრი არაფერია ცნობილი) და მისი პოემის პერსონაჟებზე საუბარი იმ მკითხველთან, რომელმაც ისედაც იცის ეს ყველაფერი.

არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ შესაძლოა, მართლაც ცოტა გადამეტებული, მაგრამ დღევანდელი ინტერნაციონალისტ-ნიჰილისტებისაგან მთლად სასაცილოდ აგდებული ფრაზის - „რაც კარგები ვართ, ქართველები ვართ!" ერთ-ერთი საფუძველი სწორედ რუსთაველი და „ვეფხისტყაოსანია"! მერე რა, სხვებს სხვები ჰყავთო, - იტყვიან და იმის მიუხედავად, რომ ძალიან შორს ვარ ე.წ. ურაპატრიოტიზმისაგან, ასეთებს მაინც გულწრფელად შევეკამათები:

ასეთი არავისაც არ ჰყავს!!!

არ ვიცი, შესაძლოა, მავანისთვის ჰომეროსი იყოს პოეზიის მწვერვალი, მაგრამ ძველი ბერძნები აღარ არსებობენ, „ცოცხალ ერთა" ლიტერატურაში კი რუსთაველი მიმაჩნია მწვერვალად - ეპოქის, გეოპოლიტიკის, ისტორიული კონტექსტისა და სხვა მრავალი ფაქტორის გათვალისწინებით! მხოლოდ პოეზიაში ხომ არ არის საქმე?! რუსთაველი - პოეტი, რუსთაველი - გეოგრაფი, რუსთაველი - სამხედრო ტაქტიკოსი, რუსთაველი - არა მხოლოდ ასტროლოგი, არამედ ასტრონომიც, რუსთაველი - მედიკოსი, რუსთაველი - ისტორიკოსი, რუსთაველი - ფილოსოფოსი...

...და რუსთაველი - ნოვატორი, კულტურტრეგერი და პროგრესის მებაირახტრე: რვაასი წლის წინ ნათქვამი - „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია"! შუა საუკუნეებში პლანეტაზე გამეფებული სისასტიკისა და „ძლიერის სიმართლის" მიუხედავად ნააზროვნები - „რაცა საქმე უსამართლო, ღმერთმან ვისმე შეარჩინა?" აქტიური ცხოვრების ყველაზე თანამედროვე ფორმულა - „იგი მიენდოს სოფელსა, ვინცა თავისა მტერია!" და უმთავრესი, ყველაზე ოპტიმისტური და თან ყველაზე რეალისტური - „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია!.."

ეს მაღალფარდოვანი შეფასებები ყველამ ვიცით, ყველას გვახსოვს, არაერთხელ გვითქვამს და სხვისგანაც მოგვისმენია, სკოლაში გვისწავლია და საკონტროლო დავალებებიც გვიწერია, იქნებ შვილებსაც მივსხდომი-

ასეთი არავისაც არ ჰყავს!!!

ვართ გვერდით და გვიმეცადინებია, მაგრამ ეს რომ მართალია?! თითიდან გამოწოვილი და ნაძალადევი კი არა, უნამდვილესი სიდიადე რომ ახლავს?! არ ვიამაყოთ?!

დღეს, როდესაც უამრავ ლიტერატურულ რეიტინგში (რომლებიც მკითხველების მიერაა შედგენილი და არა - ლიტერატორების) „ვეფხისტყაოსანი“ და მისი ავტორი ან სულ არ არის, ან პირველ ასეულს მიღმაა, მოდი, ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ რუსთაველი ქართველი კი არა, რომელიმე დიდი (მრავალრიცხოვანს ვგულისხმობ) ერის შვილი ყოფილიყო, მაგალითად ინგლისელების, ფრანგების ან თუნდაც - რუსების (ისე, ნეტავ რუსებსაც ჰყოლოდათ ასეთი - დარწმუნებული ვარ, დღეს უკეთესი მეზობელი გვეყოლებოდა).

იმას ვამბობ, რომ ასეთ განძს სხვანაირი მოვლა სჭირდება. „ვეფხისტყაოსანს“ ძალუძს, საქართველოს „სავიზიტო ბარათი“ იყოს მთელ მსოფლიოში - სწორედ რვაასი წლის „ვეფხისტყაოსანს“ და არა უმსგავსო ხიდებსა თუ მდარე ხარისხის ხელოვნებას, რომელიც მსოფლიოს იმ ქვეყანას აცნობს, ვისი ისტორიაც, თურმე შვიდიოდე წლის წინ დაწყებულა...

მაგრამ ამისთვის ჯერ ის დრო უნდა დაბრუნდეს, როცა ქართველები ქალებს მზითევში ატანდნენ „ვეფხისტყაოსანს“! არაფერია არც ჩემს ნათქვამში და არც ამ უმშვენიერეს ტრადიციაში ბანალური, რადგან სანამ ჩვენ თვითონ ხელმეორედ არ აღმოვაჩენთ ამ სიმდიდრეს, სხვას მის ბრწყინვალებას ვერ დავანახებთ.

ნახეთ, როგორ უვლიან ესპანელები სერვანტესის ხსოვნას! „დონ კიხოტის“ სახალხო კითხვა იმართება ყოველ წელს და მას არა მხოლოდ ესპანელები, არამედ უცხოელებიც ესწრებიან, რომელთაც სიტყვაც არ იციან ესპანურად, მაგრამ დგანან და სიამოვნებით უსმენენ; ინგლისელები და ფრანგები შექსპირისა და დიუმას პერსონაჟებს „აიძულებენ“, მსოფლიოს გააცნონ მათი სამშობლოს დიდი კულტურა; ბელგიასა და ჰოლანდიაში ულენშპიგელისა და ლამე გუძაკის - ანუ პერსონაჟებისა და არა მწერლის ოცამდე ძეგლი დგას...

ჩვენში ბოლო წლების ტენდენციაა (და ეს არაერთხელ საჯაროდ უთქვამთ თანამედროვე „ლიბერალებს“) - არავის სჭირდება მწერლების ან ლიტერატურული პერსონაჟების ძეგლები, რაც დგას, ისიც ზედმეტია, მათ ნაწარმოებებს დღეს ხომ აღარავინ კითხულობს! იმიტომაც არ კითხულობენ, რომ არ ვთავაზობთ და არ ვუვლით მათ სახელს. სულ რამდენიმე დღის წინ ჩვენმა ტელევიზიებმა სიუჟეტი აჩვენეს:

უნგრეთში გრიგოლ აბაშიძის ბიუსტი დაუდგამთ, როგორც შანდორ პეტეფის მთარგმნელისა. გამიხარდა, მაგრამ მართალი გითხრათ, გამიკვირდა: პეტეფი მსოფლიო სახელის, უდიდესი პოეტია და ალბათ 50 ენაზე მაინც იქნება თარგმნილი, ყველას ძეგლს ხომ არ დადგამენ-მეთქი? ისე ყველაფერი კარგი აგიხდეთ: სწორედაც ყველას ძეგლს დგამენ თურმე პეტეფის მშობლიურ ქალაქში!

წარმოიდგინეთ, რამდენად მიმზიდველი და შთამბეჭდავი იქნება ებრაელი, ინგლისელი ან გერმანელი ტურისტისთვის, თუკი იგი თბილისში გაპონოვის, უორდროპის ან ნოიკომის ხსოვნისადმი მიძღვნილ, თუნდაც პატარა მემორიალურ ფილას ნახავს. რაც მთავარია, შეიძლება მან აქვე შეიძინოს თავის მშობლიურ ენაზე გამოცემული „ვეფხისტყაოსანი“, ან შინ დაბრუნებულმა მოიძიოს და წაიკითხოს. ასე ხომ უფრო მეტ უცხოელს ეცოდინება, რომ ველურები არ ვართ?! ეს ხომ მაინც შეესაბამება დღევანდელი „საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების“ კონტექსტს?!

ბოლოს მხოლოდ ერთი მინდა გავიხსენო სწორედ ზემოთქმულის, ანუ ცივილიზებული სამყაროსათვის „ვეფხისტყაოსნის“ ფასის დასტურად - 60-იან წლებში, რუსთაველის 800 წლის იუბილეს დროს, ცნობილმა ავსტრიელმა ლიტერატურათმცოდნემ, ბარონ ფონ სუტნერმა დაწერა: „ჩვენ, ევროპელებმა, დაფნის გვირგვინით უნდა შევამკოთ დიდი პოეტი საქართველოდან, რომელმაც პირველი ევროპული რომანი შექმნა.“

ჩვენ, ქართველებმა კი, უნდა შევიძინოთ, წავაკითხოთ, მზითევშიც გავატანოთ და როგორც მისი ავტორი იტყოდა - „ვარდთა და ნეხვთა ვინათგან მზე სწორად მოეფინების“, კარგისა და ცუდის გარჩევაც ამ უკვდავი წიგნით ვასწავლოთ... ■



ვინც არ უნდა გავხდე, ვიქნები მისი პაგარა!

❖ ნინო ლომაძე

სანამ წერას დავასრულებ, ბერას ცხოვრება რადიკალურად იცვლება - მისი მამა, ყველაზე უჩინარი ქართველი მილიარდერი გადაწყვეტს, რომ პოლიტიკოსი გახდეს.

ბოტანიკური ბაღის სამხრეთ-დასავლეთით, გზატკეცილის პირას, გალავნის გადაღმა, ძველი ბოტანიკის ინსტიტუტის აგურის, ორსართულიანი შენობა ჩანს. აგურის ფასადზე დიდი, თეთრი ასოებით წერია: Georgian Dream Studio. ბერა ივანიშვილთან პირველ შეხვედრაზე „ქართული ოცნების" სტუდიაში მივდივარ.

მანქანას გარეთ ვაჩერებთ. ჭიშკართან, დაცვის ჯიხურში თანამშრომლებს ჩემს სახელს და გვარს ვკარნახობ. სანამ ველოდები, ბაღს ვათვალიერებ.

მარცხენა კიდესთან ეზოს დაბალი ხეივანი მიუყვება და, თუ ორიენტაცია არ მღალატობს, „ბიზნეს ცენტრთან" მიდის. ჩიტები ჭიკჭიკებენ, ჰაერში ხასხასა მოლისა და ყვავილების სურნელი ტრიალებს. აი, ეს არის ჩვენი სტუდია, - მეუბნება ქეთი, პიარსამსახურის თავაზიანი თანამშრომელი, თან ხის თეთრ კარს მსუბუქად აღებს და მრგვალ ჰოლში შევდივართ.

ჰოლში სინათლე ორი ფანჯრიდან შემოდის და ოთახის ცენტრში, დიდ შვიდქიმიან ვარსკვლავსა და მის გარშემო, წრეზე ამოტვიფრულ ლოგოს ეცემა - თეთრ მარმარილოზე შავი ასოებით სტუდიის სახელი წერია. წარწერა მზის შუქს ირეკლავს და ანარეკლი ჭერისკენ „აღმართულ" სინათლის სვეტში იფანტება.

თეთრ კედლებზე ბერას რამდენიმე ფოტო ჰკიდია, სხვადასხვა მუსიკოსთან ერთად. მხოლოდ რიანა მეცნობა. დანარჩენების ვინაობას მოგვიანებით ვიკითხავ.

ბერას თეთრ მისაღებ-მოსასვენებელ ოთახში ველოდები, რომელსაც ყველა „ლაუნჯს" ეძახის. დაცვის, პიარ-სამსახურის, სტუდიის თანამშრომლები, მეგობრები, კომპოზიტორები, ამერიკელი და ქართველი რეპეტიტორები, პროდიუსერები, სონგრაიტერები, სტილისტები, ქორეოგრაფები - 16 წლის ბერა ივანიშვილის სტუდიაში სულ ფუსფუსია.

მისი ხმა მესმის. სიმღერ-სიმღერით მოდის. ჰოლში თანამშრომლებს მხიარულად,თბილად,ჰიპ-ჰოპ ჟესტებით ესალმება.

„როგორ ხარ, თამთა, გენაცვალე? რა მაგარი სახელი დაგარქვით, არა? ა, ქეთი! ჰეი, ბექა!.." - ოთახში ტრიალებს, მღერის, ცეკვავს. რამდენიმე წუთში მეც მამჩნევს. ფორმალური „გამარჯობა, სასიამოვნოა-თი" ვეცნობით ერთმანეთს და დივანზე ვსხდებით.

* * *

ბერა საქართველოში მედიამ პირველად ორი წლის წინ შეამჩნია, როდესაც ბათუმის ჯაზ-ფესტივალზე, ფრანგულ ენაზე რეპი იმღერა. „ყველაზე დიდი ქველმოქმედის" უჩინარი ცხოვრების წესს მიჩვეულმა მედიამ, მისი შვილის ეს ექსტრავაგანტური დებიუტი სატელევიზიო სიუჟეტების და სტატიების თემად აქცია. წლების მანძილზე „ივანიშვილის რეპერი შვილის" შესახებ სულ რამდენიმე დეტალი ვიცოდით: რომ სნუპთან ერთად ფრანგულ ენაზე რეპი იმღერა, რომ ბერა ალბინოსია, რომ მალე ბოტანიკის ინსტიტუტის ყოფილ შენობაში საკუთარი სტუდია ექნება და კიდევ რამდენიმე ასეთი.

2011 წელს კი, ბერას პოპულარიზაცია ორგანიზებული კამპანიით დაიწყო: „ფეისბუკზე" მისი ოფიციალური გვერდი გაჩნდა - BERA official/ Musical Band; ზაფხულში ბერა ნაციონალურ არხებზე გამოჩნდა; რუსთაველის კინოთეატრის დარბაზში და ბათუმში კლიპის პრეზენტაციაზე ბერა ქართველ ფანებს შეხვდა. „მე თქვენში ვარ შეყვარებული, ყველაში ერთად", - უპასუხა გოგონას, რომელმაც ჰკითხა თუ ჰყავდა შეყვარებული. წელს, „ქართული ოცნების სტუდიამ" თინეიჯერი მომღერლების შესარჩევად კონკურსიც გამოაცხადა. ათასზე მეტი განაცხადი შევიდა. ქართული ოცნების სახელოსნომ გამარჯვებულები მსოფლიო შოუ-ბიზნესის ვარსკვლავებად უნდა აქციოს. „ჩემი ოცნებაა, ქართველ ნიჭიერ მომღერლებს დავეხმარო. დრიმ-სტუდიოს ბავშვები მინდა, - ბიონსეს, აშერისნაირი პოპულარულები გახდნენ. მინდა, გვიცნობდნენ, როგორც მართლა მუსიკალურ ერს. ჩვენი ბაბუების შთამომავლებს არ გვაქვს უფლება, ჩრდილში ვიყოთ. მე თუ შევძლებ ჩემი წილი იყოს ამ წარმატებაში, ბედნიერი ვიქნები", - ამბობს თინეიჯერი ბერა ივანიშვილი.

ქართველ ფანებთან შეხვედრაზე, საქართველოში დაბრუნებაზეც საუბრობს: „ფეხები მიკანკალებდა ქართულ მიწაზე ფეხი რომ დავდგი... მე ასეთი ლამაზი ქვეყანა არსად მინახავს... ცაც კი სხვანაირი იყო საქართველოში", - მის სიტყვებს დარბაზში ოვაციები და ტაში მოჰყვება.

სექტემბრის დასაწყისში, როდესაც ჩვენ პირველად შევხვდით, „ფეისბუკზე" ბერა უკვე 117 ათასზე მეტ გულშემატკივარს „მოსწონს".

* * *

„პრობლემა არ არის", - საუბარს მაწყვეტინებს, როდესაც ვუხსნი, რომ მასზე დაწერა მის სახლში მისვლას და მისი ოჯახის წევრებთან შეხვედრასაც გულისხმობს. თუმცა, პიარსამსახურის თანამშრომლების ტაქტიანი კომენტარებით ვხვდები, რომ ჩვენი წინასწარი შეთანხმება ივანიშვილების „პირად სამყაროში შესვლას" არ ითვალისწინებს.

პირველ დღეს სტუდიას ვათვალიერებ. შენობაში სამი ფეშენებელური ხმის ჩამწერი ოთახია, რომელიც ამერიკელი აკუსტიკდიზაინერის შექმნილია. მეორე სართულზე რომ ავდივართ, ერთ-ერთის კართან ოქროსფერ აბრას ვამჩნევ წარწერით Mr. Dream.

- ეს ბექას კაბინეტია? - ვეკითხები.

- არა, ეს ჩემი ოთახია... იქ ვინც შედის, ვეღარ გამოდის... ეცინება და ოთახში შედის.

* * *

- აი, მოდიან, - გვეუბნება დაცვის თანამშრომელი და ბიზნეს ცენტრისკენ გვანიშნებს. შენობიდან სპორტულად ჩაცმული ათამდე ადამიანი ძუნძულით გვიახლოვდება. ჩვენ მანქანიდან ვაკვირდებით. ორს შორიდანვე ვცნობ - ბერას ბავშვობის მეგობარი გიორგი და სტუდიის თანამშრომელი, ამიკო, მისი ბექვოკალი. კიდევ ერთი, დაცვის უფროსი უნდა იყოს. ბერა დილაობით ორი საათი ბოტანიკურ ბაღში ვარჯიშობს. დღეს ჩვენც თან მივყვებით.

ბიზნესცენტრი ასე ახლოდან არასდროს მინახავს. ბეტონის, მეტალისა და მინის გიგანტური კონსტრუქცია ქალაქის თავზე გადმომდგარი, თანამედროვე ძლევამოსილების სიმბოლო მგონია. მინის კოშკურებში ლითონის ძაბრები მზეზე ელავს. გამჭვირვალე კედლებს მიღმა მხოლოდ ცარიელი სივრცე მოჩანს. ბაღშიც არავინაა. შენობის აღმოსავლეთ ნაწილი ოთხი, ან ხუთი სართულის სიმაღლის მინის ნაგებობით სრულდება, რომლის შუაგულში უშველებელ, ვერცხლისფერ სფეროს ვხედავ. ეს შორიდანაც შემიმჩნევია. მგონი, მის პირდაპირ, ვერტმფრენის ასაფრენი მოედანია. უენდელ სტივენსონის „კარგი ოლიგარქიდან“ მახსოვს, რომ ეზოში ანიშ კაპურისა და ჰენრი მურის სკულპტურებია მიმოფანტული. მანქანიდან, თეთრი ფერის ორ ქანდაკებას მოვკრავთ თვალს, მაგრამ მხოლოდ კონტურებს ვარჩევთ. კარგად მესმის, რომ ვერცხლისფერ ბურთზე, ვერტმფრენზე, „დორა მაარზე“ და სხვა დეტალებზე საუბარს შეთანხმება არ ითვალისწინებს.

უზარმაზარ სფეროს ვუყურებ და ვცდილობ წარმოვიდგინო, რას შეიძლება გრძნობდე, როცა მინის ოთახში ვერცხლისფერი „დედამიწა“ გაქვს.

* * *

ბერას პირადი ტრენერი და მისი ახალი მეგობარი გიგა ავარჯიშებენ. გიგა ერთი თვის წინ, კუს ტბაზე გაიცნო, ის მსოფლიო ჩემპიონია წესების გარეშე ბრძოლაში. „ხანდახან კუს ტბაზეც ავდივარ ხოლმე, მომწონს სხვებთან ერთად ვარჯიში. სპორტსმენები გავიცანი იმ დღეს, სირბილში შევეჯიბრე და ყველას გავუსწარი. „რივოკში“ მაგარი ვარ, ვერავინ მისწრებს. გიგასაც კუს ტბაზე შევხვდი. დავმეგობრდით და ახლა მთელ დღეებს ერთად ვატარებთ, სტუდიაში.“

სპორტსმენები ხან გარბენებს აკეთებენ, ხან ადგილზე ხტიან. ფოტოგრაფი ბერას დასდევს და აპარატს აჩხაკუნებს. სასაცილო სცენაა. იქვე, ხანშიშესული ქალი, პატარა ნიჩბით, ყვავილების გარშემო მიწას ბარავს. „დილით ედემის ბაღში ყოფნას არაფერი სჯობს, - მეუბნება, იხრება და თავის სამუშაო იარაღებს მიწიდან კრეფს, - იცით, ამ ბაღში რამდენი უნიკალური ჯიშის მცენარეა? კი, ყველას უშვებენ, უბრალოდ, სიღრმეშია და აქამდე ალბათ ამიტომ აღარ ამოდიან ხოლმე. არადა, ნახეთ, როგორი სიმშვიდეა.“

ვარჯიშის მერე, ერთი საათით, ბერა ტანსაცმლის გამოსაცვლელად, შინ, „ბიზნეს ცენტრში“ ბრუნდება. ჩვენ კი, სტუდიაში ველოდებით.

ბერა საფრანგეთში დაიბადა. ოჯახში ის მეორე შვილია, სულ ოთხნი არიან: უტა, ბერა, გვანცა და ცოტნე. ბერა რომ გაჩნდა, მისი მშობლები, საფრანგეთში საცხოვრებლად ახალი გადასულები იყვნენ. ძმები პარიზის ერთ-ერთ საჯარო სკოლაში შეიყვანეს. მშობლებს არ უნდოდათ მათ შვილებს ელიტურ სკოლაში ესწავლათ და მხოლოდ ვიწრო, ბურჟუაზიულ საზოგადოებასთან ჰქონოდათ შეხება.

საუბარს თეთრ „ლაუნჯში“ ვწერთ. მეჩვენება, რომ რაღაცნაირ, ბუფერულ ზონაში მოვხვდი. ეს ვრცელი, თეთრი სივრცე გალერეას ჰგავს, სადაც ჩემთვის უცნობი სამყაროს მხოლოდ სიმბოლოების დათვალიერება შეიძლება. პიარის თანამშრომლები, მცირე ყოყმანის მერე, მარტო გვტოვებენ. როცა პირისპირ ვრჩებით, ბერას საუბრის ტონი და მიმიკა იცვლება. გაცილებით უფროსს ჰგავს.

* * *

„კი, განსხვავებული ვიყავი სხვა ბავშვებისგან, პირველ რიგში, მაინც, გარეგნობით. ყველასგან განსხვავებული - თეთრი. თან, ზედმეტად ქართული მომენტები მქონდა, რაც იმათ არ ესმოდათ - მეგობრობა, გვერდში დადგომა, ოჯახის პატივისცემა. ქართველობა არის ჩემი ძალა, ჩემი სიამაყე, ჩემი მოტივაცია. ქართველებმა სხვანაირი მეგობრობა, დედა-შვილობა, დამობა იციან. ჩემია და მე ვარ ამათი. არცერთი მეგობარი არ შემომრჩა საფრანგეთიდან. ერთი მყავდა და, მერე ისიც გადაიკარგა. ფრანგად თავი არასდროს მიგრძვნია. ერთი წელი ჭორვილას სკოლაში ვიარე. მოკლედ, თავიდან ფეხებამდე ქართველი ვარ“.

ბერამ საშუალო სკოლა წელს დაამთავრა. სწავლის გაგრძელებას კოლეჯში და უნივერსიტეტში აღარ აპირებს, რეპეტიტორებთან დადის. „არ მინდა უნივერსიტეტში ტყუილად მოვცდე მხოლოდ იმიტომ, რომ „დიდი რომ ვიქნები“ დიპლომი მქონდეს“.

* * *

ბერამ სიმღერების პროფესიულ სტუდიებში ჩაწერა 14 წლისამ დაიწყო, ძირითადად თბილისში, რუსთაველის სახელობის თეატრის სტუდიაში, რომელიც თეატრის რეკონსტრუქციის პარალელურად მამამისის სახსრებით აშენდა. სწორედ იქ გაიცნო ბექა ნიკოლაიშვილი, „ქართული ოცნების“ ხმის რეჟისორი და კომპოზიტორი ავთო ბადუაშვილი. მაშინ, ჯერ კიდევ, რეპს ფრანგულ ენაზე მღეროდა.

ბექა: ჩვენთან რომ მოვიდა, პატარა იყო. ასეთი ჟინი, ასეთი მიზანდასახულობა, ასეთი მისწრაფება ბევრში არ დამინახავს. როცა ფრანგული ტექსტების თარგმნა ვთხოვე, გაირკვა, რომ ეს ადამიანი წერს ძალიან სერიოზულ თემებზე, ძალიან ღრმა ტექსტებს. თან, ბერა წერს ქართულად, ბერა წერს ინგლისურად, ბერა წერს ფრანგულად.

ორი წლის წინ საერთო ნაცნობმა საფრანგეთში პოპულარული რეპერი როფი გააცნო. როგორც ბერა მიამბობს, ნაცნობისთვის როფს უთქვამს: მომიყვანეთ, ეს პატარა ბერა, ვნახო, ერთი რა შეუძლიაო. 2010 წლის მაისში ბერა, ბექა, ავთო და ირაკლი (ბერას მენეჯერი) შეხვედრაზე წავიდნენ.

ავთო ბადუაშვილი დეტალურად ჰყვება, როგორ ჩაფრინდნენ ტულუზაში და იმავე საღამოს, როგორ მივიდნენ როფისთან სტუდიაში. „როფიმ ეგრევე უთხრა: აუცილებლად ერთად უნდა ჩავწეროთ ალბომიო. პირველ დღეს სტუდიაში ბერამ რაც იბაზრა, როფს ისე მოეწონა, სთხოვა, ეს ტექსტი მე მომეციო. ბერა დათანხმდა და თავისი ტექსტი როფს დაუთმო. არადა, მეორე დილას დუეტი აქვთ ჩასაწერი... დილაა. ვიკრიბებით ყველანი ლობიში და ვეკითხები: რამე გაქვს-მეთქი? არაო, მპასუხობს. რას ვიზამთ. მივდივართ სტუდიაში, ესენი შედიან კაბინაში, ჩვენ აქედან ვუყურებთ. მაგრა ვღელავთ, ვნერვიულობთ. უცბად, ბერა იწყებს და გადის ბოლომდე. არ ვიცი, რა ქნა, დაწერა თუ რა. აუ, ესენი ჩაწერის მერე წამოხტნენ და ტაშს უკრავენ. მგონი, ეწყინათ კიდეც, ალბათ, იფიქრეს, ეს ტექსტიც

თუ ჰქონდა გუშინ, რატომ არ გვაჩვენაო. მაგარი იყო რა“.

* * *

როფი, ემიგრანტი კომოროს კუნძულებიდან, 20 წლის ასაკში უკვე პარიზის კოლექტიური ჰიპ-ჰოპ ჯგუფის Mafia K'1 Fry-ის წევრი იყო. თავისი დაუნდობელი და სასტიკი ტექსტებით სახელმწიფოს, სისტემას, პოლიციას უპირისპირდება და ემიგრანტების, პარიზის ბარაკებში მცხოვრები ადამიანების ყოფას აღწერს, ვინც „ცხოვრობს იმისთვის, რომ ელექტროენერგიის საფასური გადაიხადოს“.

როფთან მოლაპარაკებები რაღაც ეტაპზე შეწყდა. „გაუგებრობები მოხდა. ამიტომ, ფრანგული კარიერიდან მარტო ლამაზი მოგონებები დამრჩა“. ბერა ფიქრობს, რომ საფრანგეთში რეპი სხვანაირად ესმით. თვლიან, რომ რეპერი აუცილებლად არაბი, ან შავკანიანი უნდა იყოს, ქუჩაში იზრდებოდეს, ბარაკებში ცხოვრობდეს. ბერას სიმღერის ტექსტები კი, ხაზგასმით კორექტული და პათეტურია. „ჩემ სიმღერაში გინებას ვერ ნახავ, იმიტომ, რომ ვიცი, ამას დედაჩემმა უნდა მოუსმინოს, ჩემმა პატარა დამ უნდა მოუსმინოს. მანდილოსნებმა უნდა მოუსმინონ. ქართველმა ქალებმა, დედებმა უნდა მოუსმინონ. თავს არ მივცემ უფლებას, რომ მათ ეს ვაკადრო. ცხოვრებაში არასდროს ვიგინები, ამიტომ ეს არც სიმღერაში მჭირდება“.

* * *

იმ დღეს, როცა ბოლო ინტერვიუ უნდა ჩავწერო, ბერას პიარ-სამსახურის თანამშრომელი მირეკავს, - „დღეს თქვენთვის სიურპრიზი გვაქვს... 3-ზე ხომ ნამდვილად იქნებით?“ თხუთმეტი წუთით ადრე მატყობინებენ, რომ ბერას დედა, ეკა ხვედელიძე შეხვედრაზე გვთანხმდება. „მაინც გითხარით, რომ მოემზადოთ“.

ბერას დედა, საშუალოზე მაღალი, გამხდარი, მომხიბვლელი ქალია. ღია ფერის თმა და მუქი თვალები აქვს. სტუდიაში ბერასთან ერთად მოდის. შავი, ვიწრო შარვალი, კონვერსის შავი კედები და კაპიუშონიანი მოსაცმელი აცვია. თმა შეკრული აქვს, ისე, როგორც ინტერნეტში გამოქვეყნებულ რამდენიმე ფოტოზე მინახავს. მშვიდი ხმის ტემბრი და დახვეწილი მანერები აქვს. საუბრისას თვალებში გიყურებს და გაკვირდება. ემოციურია. შვილების ისტორიების გახსენებისას გული უჩუყდება. „მშობლები ჩემთვის იმაზე მეტი იყვნენ, ვიდრე უბრალოდ მშობლები, - მითხრა ბერამ რამდენიმე დღით ადრე, - და მე არ მაქვს საუბარი მატერიალურზე. იმდენი რამე გააკეთეს ჩემთვის, იმდენი სიყვარული მაჩუქეს, რომ არ ვიცი, როგორ გამოვხატავ ამ მადლიერებას მათ მიმართ“.

„...რა შეცვლის
შეკრული ოჯახის სითბოს,
როცა ვიმარჯვებთ,
ვიმარჯვებთ ერთად!
ვინც არ უნდა გავხდე,
ვიქნები მისი პატარა“.

ისევ თეთრ ოთახში, თეთრ დივანზე ვსხედვართ.

„... ლამაზი ქართული სიტყვაა - ანცი, აი, ასეთი იყო. ძალიან კეთილი ცელქობები ჰქონდა. ორი წლის იყო, როდესაც საქართველოში ჩამოვედით ცოტა ხნით. ბერას ჰქონდა თავისი საყვარელი სათამაშო, რომელთან ერთადაც იძინებდა და ყველგან თან ატარებდა. ჩვენი ნათესავის შვილს ძალიან მოეწონა ეს სათამაშო. მე არ მიყვარს, როდესაც მშობლები აიძულებენ ბავშვებს, სხვებს დაუთმონ თავიანთი ნივთები და ამიტომ ცოტა ავიფოფრე, რომ დამეცვა ბერა. უცებ ბერამ აიღო სათამაშო და ბავშვს აჩუქა. ეხლაც მეტირება რომ მახსენდება, იმიტომ, რომ ძალიან ემოციური სცენა იყო. დავიბენი. ასეთი სიკეთის გამოვლინება მოულოდნელი იყო.

აქ ბერაც ერთვება და დედას სთხოვს ბლიც-კითხვებზე პასუხები გასცეს: ბერას ყველაზე ცუდი თვისება?

ეკა ხვედელიძე: გააჩნია, რომელი კუთხიდან შეხედავ. ძალიან პრინციპულია. აზრს იოლად ვერ შეაცვლევინებ. დიდი დრო გჭირდება მის დასარწმუნებლად. ეს კარგი თვისებაცაა.

ბერა: ყველაზე კარგი თვისება?

დედა: კეთილი ხარ საოცრად.

ბერა იშმუშნება, სიამოვნებისგან თითქოს აჟრიალებს და ხმამაღლა იცინის. მამაჩემი ცნობილი პიროვნებაა, - მიხსნის, - და რაღაც მომენტში დედიკო ჩრდილში ექცევა. ძალიან ბევრმა არ იცის, რომ დედაჩემი არის ოჯახის ფუნდამენტი. დედიკო რომ არ ყოფილიყო, მამაჩემი დღეს არ იქნებოდა იქ, სადაც არის.

ეკა ხვედელიძე: ვაიმე, ბერა, დიდი მადლობა.

ჩვენ ბავშვები ძირითადად უცხოეთში გავზარდეთ. და სულ გვეშინოდა, ქართული არ დავიწყებოდათ. გვინდოდა ქართველებად გავზარდა. ამიტომ, სადაც მივდიოდით, სულ ვეუბნებოდით ხოლმე: აი, ეს მთები ხომ მოგწონთ, მაგრამ საქართველოში მთები გაცილებით ლამაზია. წავიყვანდით ზღვაზე და ვეუბნებოდით: თქვენ არ იცით, როგორია საქართველოში ზღვა, როგორი შავი ქვიშაა, მაგნიტური და სასარგებლო. სულ ამ გაგებით ვზრდიდით, რომ საქართველო უნიკალური ქვეყანაა, რომ ქართველები განსხვავებული, განსაკუთრებული ხალხი ვართ.

ჩვენს ოჯახში ყველას გვიხარია ნებისმიერი ქართველის წარმატება. შესაბამისად, მგონია, როდესაც ჩემს შვილს რაღაც წარმატება აქვს, სხვასაც უნდა გაუხარდეს. მაგრამ, სამწუხაროდ, ყოველთვის ასე არ ხდება. ამას წყენასაც ვერ დაარქმევ, ყველას თავისი ინტელექტი, ხასიათი, ფსიქიკა აქვს. ზოგი ავადმყოფი ფსიქიკის ადამიანია და იმისგან არ უნდა გეწყინოს. ჭრელია საზოგადოება. ის, რაც არ გვკლავს - გვაძლიერებს. ასეც უნდა იყოს. მაგრამ, როგორც დედას, - მწყინს.

ბერა: ჩემზე ცუდად რომ ლაპარაკობენ, იმას განვიცდი, რომ დედაჩემი განიცდის. როგორც კაცს კი არ მწყინს, როგორც შვილს მწყინს. ისინი ამას ვერც აცნობიერებენ.

ეკა ხვედელიძე: ბიძინას სახელიდან გამომდინარე, მე, ყოველთვის დამკვირვებლის როლში ვარ. როდესაც სადმე ერთად მივდივართ, ბიძინას ძალიან დიდი ემოციებით ხვდებიან. მე, როდესაც გვერდიდან ვუყურებ, ძალიან კარგად ჩანს, ამ დროს ვინ ვინ არის. ხშირად მართლდება ჩემი წინასწარ განწყობები. აი, ორი წლის წინ რაღაც მოხდა და ვამბობდი - არა, არა, ეს პიროვნება არ არის ისეთი, მაგრამ არ დამიჯერეს. ბოლოს, იმ პიროვნებამ თვითონ დაამტკიცა ვინც იყო. ესენი უფრო ლოგიკურები არიან, მე უფრო ინტუიციური. კაცისთვის ეს კარგია, კაცი ლოგიკური უნდა იყოს.

ბერა: კი, მით უმეტეს, როცა ასეთი ქალი გყავს...

* * *

ინტერვიუდან მესამე დღეს, ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლის პირველ განაცხადთან ერთად, ბერას „ფეისბუკის“ გვერდზე, მისი პირველი პოლიტიკური პოსტი ჩნდება: მოვიდა დრო, ერთად ავიხდინოთ ქართული ოცნება!

როდესაც მის პროფაილზე მუშაობას ვიწყებდი, 16 წლის ბერა ყველაზე მდიდარი ქართველის რეპერი შვილი იყო,რომელიც ჰიპ-ჰოპის ვარსკვლავობაზე ოცნებობდა. მამის პოლიტიკაში წასვლის განცხადებასთან ერთად, ივანიშვილების იმიჯს თითქოს კონტექსტი შეეცვალა. ბერას კორექტული ქართული რეპი კი, მამის, ალბათ, ყველაზე მომგებიან პოლიტიკურ ინვესტიციად იქცა. ■

გიორგი მაისურაძე

აგვისტოს ომი არ მომხდარა!

1991 წელს პოსტმოდერნიზმის ერთ-ერთმა ყველაზე ცნობილმა თეორეტიკოსმა ჟან ბოდრიარმა თავისი ყველაზე პროვიკაციული ფრაზა წარმოთქვა: „სპარსეთის ყურის ომი არ მომხდარა (იგულისხმება აშშ-ის ინტერვენცია ერაყსა და კუვეიტში), ყველაფერი მედიის დადგმული სპექტაკლი იყო! ერთადერთი, რაც მსოფლიოს საზოგადოებამ ამ ომის შესახებ ნახა, იყო ღამის წყვდიადში მიმდინარე საარტილერიო ცეცხლი, რამდენიმე დანგრეული შენობა და სამხედრო ტექნიკის ნაშთები.“

როდესაც შეეპასუხეს, ბოდრიარმა უპასუხა, თქვენ, როგორც ჩანს, ბევრ დროს ატარებთ ტელევიზორთან და ყველაფერი დაგესიზმრათო. ბოდრიარის თანახმად, მედია შთანთქავს რეალობას და მას მოჩვენებებით, სიმულაციებით ცვლის. შესაბამისად, ჩვენ მუდამ მოჩვენებათა სამყაროში ვიმყოფებით და ამ არარეალური სამყაროს მიერ მოწოდებული და განსაზღვრული შინაარსებითა და მნიშვნელობებით ვიმართებით. რეალობა, რომელსაც ვხედავთ და აღვიქვამთ, ინსცენირებულია, დადგმული რეალობაა.

ბოდრიარის ეს იდეა, 2008 წლის აგვისტოს ომმა გამახსენა. ეს განცდა ყოველწლიურად, აგვისტოს ომის მორიგ წლისთავზე, ხელახლა მეუფლება და ერთი წინადადებით შემიძლია გადმოვცე: აგვისტოს ომი არ მომხდარა! ეს ომი ჩემთვისაც და საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილისთვისაც მედიაში გათამაშდა და ჩვენს მეხსიერებაშიც სხვადასხვა სახის მედიალური სურათებითა და ფორმებით არსებობს.

ერთადერთი თუ არა, ძირითადი სამსჯელო თემა, მთავარი კითხვა, რომელიც ამ ბოლო ოთხი წლის მანძილზე გაისმის, არის - ვინ დაიწყო ომი? საკითხის ამგვარი დაყენებით, თავად ომი, მისი მიზეზები და შედეგები, ომის მსვლელობის ისტორია, მსხვერპლი, ლტოლვილები, ნგრევა, ცალკეული ადამიანების ბედი და ა.შ., მეორე პლანზე გადადის ან საერთოდ ქრება ჩვენი ხედვის ჰორიზონტიდან; ხოლო მის ადგილს იკავებს მედიის მიერ მოწოდებული კადრები, მასობრივი ინსცენირებები, მონუმენტები და პოლიტიკური მოწოდებები, რაც გარეგნულად თითქმის არაფრით განსხვავდება ტელეკომპანია „იმედის“ „მოდელირებული ქრონიკისაგან“ და, საბოლოო ჯამში, მხოლოდ იმ განცდას აძლიერებს, რომ აგვისტოს ომი, რომელიც ჩვენთვის მედიიდანაა ცნობილი, სინამდვილეში არ მომხდარა. ერთადერთი ხელმოსაჭიდი სწორედ ეს სუბიექტური განცდაა, რომლის აღწერითაც მინდა ვცადო იმ ამბის გაგება, რაც 2008 წლის აგვისტოში საქართველოში მართლა მოხდა.

8 აგვისტოს შუადღისას გავიღვიძე და უკვე საქართველოს ტელევიზიის სხვადასხვა არხებიდან, თანაც თავად პრეზიდენტის მიმართვებიდან გავიგე, რომ საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა ცხინვალის რეგიონში კონსტიტუციური წესრიგის აღდგენის მიზნით, ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაცია წამოიწყეს. ქართული ტელეარხები მთელი დღის განმავლობაში იუწყებოდნენ საქართველოს სამხედრო წარმატებების შესახებ და ღამის წყვდიადში საარტილერიო ცეცხლს აჩვენებდნენ. ნაშუადღევს, როდესაც სახლიდან გამოვედი, თბილისის ქუჩებში, განსაკუთრებით გამოსასვლელ და სასეირნო ადგილებში, თვალშისაცემი მეჩვენა კაფეებსა და რესტორნებში ჩვეული ხალხმრავლობა. განსაკუთრებული კი მხოლოდ ტელეეკრანები იყო, რომლებისკენაც ადამიანებს შიგადაშიგ თვალი გაურბოდათ.

იმავე საღამოს სიტუაცია შეიცვალა, საფეხბურთო ასოციაციების გამომწვევი იყო თბილისის ქუჩებში სწრაფი სიჩქარით მიმავალი ავტომანქანები, საქართველოს დროშებითა და წყვეტილი სიგნალებით. მანქანებიც და ხალხიც დროშებითა და პატრიოტული შეძახილებით რუსეთის საელჩოს მიმართულებით მიიწევდნენ. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ამ ადამიანებს უხაროდათ ომის დაწყება და ქართული ტელეარხებისგან მოწოდებულ ინფორმაციებს საქართველოს შეიარაღებული ძალების წარმატებების შესახებ საფეხბურთო სიხარულით ეგებებოდნენ, განსაკუთრებით, როდესაც 21 საათზე საკაშვილმა თავის მიმართვაში განაცხადა, რომ სამხრეთ ოსეთის მთელ ტერიტორიას, დაბა ჯავის გარდა, საქართველოს შეიარაღებული ძალები აკონტროლებენ.

ეიფორიული განწყობა რადიკალურად შეიცვალა 9 აგვისტოს, როდესაც საქართველოს ტელევიზიებმა დაიწყეს რუსეთის სამხედრო ძალების საქართველოში ინტერვენციის ამსახველი კადრების ჩვენება. ამას დაემატა ქართული ტელეარხებით ნაჩვენები ისტორიული ფილმებიც, რომლებიც საინფორმაციო გადაცემათა შუალედებს ავსებდა და მიმდინარე მოვლენებს მხატვრულ შინაარსს სძენდა. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო 10 აგვისტოს ღამე, როდესაც ტელეინფორმაციით ცნობილი გახდა, რომ რუსეთის ტანკები თბილისზე იერიშისათვის ემზადებოდნენ და ქალაქში სრული პანიკა ატყდა. მაშინ ტელევიზიამ ოლივერ სტოუნის „ტროა“ აჩვენა, რაც სიმბოლურად რუსეთის ჯარების მიერ თბილისის მოსალოდნელი აღება-გადაწვის ალეგორია უნდა ყოფილიყო. 11 აგვისტოს კი, როდესაც გაირკვა, რომ რუსეთი სააკაშვილის დასამხობად და შესაპყრობად მოიწევდა თბილისისაკენ, ქართულმა ტელეარხებმა უჩვენეს მხატვრული ფილმი „დიმიტრი თავდადებული“. ამით საქართველოს პრეზიდენტი სამშობლოსათვის თავდადებული მეფის ფიგურასთან გაიგივდა.

ტელევიზიით ნაჩვენებმა ისტორიულმა ფილმებმა მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა ტელემაყურებელზე, როცა ქართული ისტორიული ნარატივი გაცოცხლდა და აწმყოს ჩაენაცვლა 12 აგვისტოს, პარლამენტის წინ გამართულ მიტინგზე, სადაც ამ ომში საქართველოს სამხედრო მარცხი ტრიუმფად გარდაისახა. საქართველოს პრეზიდენტმა ეს დღე 1121 წლის 12 აგვისტოს მომხდარ დიდგორის ბრძოლასთან დააკავშირა. ამით ომში მარცხი სანახაობად გადაიქცა, ხოლო ტრაგედია - აპოთეოზად.

აგვისტოს ომის ტრიუმფის კულმინაცია 1 სექტემბრის „ცოცხალი ჯაჭვი“ იყო. ამ აქციის ეპიცენტრში, თავისუფლების მოედანზე, პრეზიდენტის სიტყვას წინ უძღოდა საქართველოს ჰიმნი და ბეთჰოვენის „სიხარულის ოდა“ მეცხრე სიმფონიიდან. ამ გრანდიოზული სანახაობის დაგვირგვინებად პრეზიდენტმა წარმოთქვა სიტყვა, რომ საქართველოში „რუსული იმპერიალიზმი დასამარდება წმინდა გიორგის წინამძღოლობით“.

აგვისტოს ომი ინსცენირების ხელოვნების ზენიტი იყო. ამან კიდევ ერთხელ იმდენად გაამყარა პატრიოტული ეიფორია, რომ მას შემდეგ შეჯიბრი პატრიოტულ შეძახილებსა და სამშობლოს უფრო მეტად სიყვარულის მტკიცებაში კვლავაც ძირითად პოლიტიკურ თემად რჩება. სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი კი მხოლოდ დაკარგული ან ოკუპირებული „ტერიტორიებია“, მასზე მცხოვრები ადამიანების ბედ-იღბლის გარეშე. ■

რა აღმოაჩინა ნანა ჯეჯეიამ ამერიკაში?

ნოქრის
ᲒᲝᲯᲘᲐ

გალი, ქუთაისი და ნინიკო ფულარიანის ამბავი

- შენ გყავს დამეგობრებული სოციალურ ქსელში ნანა ჯეჯეია? - მეკითხება ერთ-ერთი ახლადშეძენილი მეგობარი, - ნანა უკეთილშობილესი ადამიანია, ნამდვილი ქველმოქმედი. ხომ ხედავ, რა ორიგინალური ტორტების ფოტოებს დებს თავის ვებ-გვერდზე, მრავალფეროვანი ყვავილებით გაფორმებულს. იცოდე, რომ თითოეულ ამ ტორტში აღებული თანხით ის ვიღაცას ეხმარება, გვერდით უდგას ობოლს და გაჭირვებულს, თანაც - ისე, რომ თავის ვინაობას არ ამხელს.

ამის შემდეგ ძალიან მომინდა, ფეისბუკში ნანახი ტორტების ისტორიაზე დამეწერა, მაგრამ შაქარლამის „ფლორის“ შემქმნელი ქალბატონი ისეთი ღრმა და საინტერესო პიროვნება აღმოჩნდა, ტორტები სულ დამავიწყდა.

- წარმოიდგინეთ, რომ კაფეში ვსხედვართ, ფინჯან ყავასთან, და საკუთარ ცხოვრებაზე მიამბობთ! - მივწერე ნანას.

ასე ფრაგმენტ-ფრაგმენტ შემოვიდა ჩემს ელექტრონულ ფოსტაში, პატარ-პატარა წერილების სახით, მისი ცხოვრება - სავსე სევდით და სიხარულით, ტკივილითა და ბედნიერებით...

ჩემს მრავალრიცხოვან რესპონდენტთაგან ამერიკაში მცხოვრები ქართველი ქალი ნანა ჯეჯეია, ალბათ, ერთადერთია, რომელსაც თავისი ცხოვრების უსიამოვნო და ტკივილიანი ფურცლები არ ამოუხევია ჟურნალისტის თვალწინ.

გალი, ქუთაისი და ნინიკო ფულარიანის ამბავი

გამარჯობა, ნანული, გენაცვალე! ჩემთვის მისაღებია წერილობით საუბარი თქვენთან, რადგანაც ჩემი ემოციები ლაპარაკს ნაკლებად დამაცდიდა.

გალში დავიბადე, გავიზარდე, საშუალო სკოლაც იქ დავამთავრე.

მყავდა ქართული ლიტერატურის არაჩვეულებრივი მასწავლებელი ქალბატონი გულნარა ხაბურძანია (გაანათლოს მისი სული უფალმა), რომელიც ხშირად ამბობდა: ეს ბავშვი მეგულება ჩემს შემცვლელადო. სამწუხაროდ, არ მოხდა ასე, თუმცა ამ სიტყვებს დღესაც არ დაუკარგავს ჩემთვის ფასი და მნიშვნელობა.

ძალიან ლამაზი მშობლები მყავდა. დედას არაჩვეულებრივი გემოვნება ჰქონდა და, რაც დრო გადის, უფრო ვხვდები ამას... ჩემი ამერიკაში წამოსვლის წელს ჩამაკვდა ხელში - იქ, აფხაზეთში, და თითქმის 5 წელი დამჭირდა გონზე მოსასვლელად...

მაინც ბებიას და ბაბუას მივიჩნევ ჩემს გამზრდელებად (სკოლაშიც ბაბუას გვარს ვატარებდი - ზაქარაიას). ბებიას დედას ვეძახდი, ქუთაისელი იყო დედა, თამარ ფულარიანი. გაუგონარი სიკეთის და სითბოს მატარებელი ადამიანი გახლდათ, ყველას უყვარდა. არ მახსოვს, ვინმეზე ცუდი ეთქვა ბოროტად. „დედაშვილობას“ - ასე მიმართავდა ყველას. ისე დაბერდა, ქართული ვერ დაივიწყა, მეგრული ბოლომდე ვერ ისწავლა და შიგადაშიგ რუსულსაც გამოურევდა, და ეს ყველაფერი ერთ წინადადებაში ეტეოდა.

ერთი მეზობელი გვყავდა (ნათესავი), რომელსაც ქმარი ხშირად ეჩხუბებოდა და ამ ქალს დედა იფარებდა ხოლმე, თან ასე არიგებდა (თუ ანუგეშებდა, არ ვიცი): „გულიელა დედა, ხომ ქოიჩქუ (იცი), ეს ცხოვრება ტანჯვის ეგზამენებიაო.“

დიდი ქუთაისური ოჯახიდან იყო დედა, გორაზე, ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე ცხოვრობდნენ. იქ გაიარა ჩემმა ბავშვობამაც, ყველა მეზობელი მახსოვს, მიყვარს იქაურობა... დედას ბევრი ტკივილიანი მოსაგონარი ჰქონდა, განსაკუთრებით - დაზე, ნინიკო ფულარიანზე, რომელიც თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის მეორე კურსის სტუდენტი იყო და სტუდქალაქში დედას ნაჩუქარი შარფით კარებზე თავი ჩამოიხრჩო. ლავრენტი ბერიას დაუბარებია და გარიცხვით დამუქრებია - ასე იგონებდა დედა და მწარედ ატირდებოდა, მახსოვს ყვებოდა, თუ როგორ არ მისცეს სტუდენტებს უფლება, მატარებლის ვაგონს მიახლოებოდნენ, რომლითაც ქუთაისში ნინიკოს მოასვენებდნენ და როგორ ესროდნენ სტუდენტები შორიდან ყვავილებს ვაგონს... მგონი, თემას გადავუხვიე და მეც ავფორიაქდი ძალიან...

სკოლა რომ დავამთავრე, ქუთაისის პედინსტიტუტში შევიტანე საბუთები, მაგრამ ბოლო, მეოთხე გამოცდა ინგლისურ ენაში იყო და „ორიანი“ დამიწერეს. არ ვამბობ, არ მეკუთვნოდა-მეთქი, მაგრამ, წინა სამი გამოცდის შედეგების მიხედვით, არაფერი დაშავდებოდა, „სამიანი“ რომ დაეწერათ და მეც სამუდამოდ შემოვრჩებოდი ქუთაისს, რომელიც ასე ძალიან მიყვარს. არ ვიცი, რატომ, ვბერდები უკვე და ყოველთვის მაკანკალებს, როცა ქუთაისს ვუახლოვდები ფიზიკურად თუ ფიქრებში.

ტკივილიც მომყვება, ეს დახურული თემაა და მისი გახსენებისას საკუთარ თავსაც კი გავურბივარ...

მამა

ძალიან გამიჭირდა, გადამეწყვიტა იმის მოყოლა, რაზეც არასდროს, არავისთან მისაუბრია... მამა, ვენო ტუფურია, დედისერთა იყო. დედა და ბებია ზრდიდნენ, მამა 37-ში დაუხვრიტეს. კარგად სწავლობდა, მაგრამ სკოლიდან მაინც გარიცხეს და აქედან დაიწყო მისი უბედურება...

დედა მე-9 კლასში იყო, რომ მოიტაცა. უყვარდათ ერთმანეთი, მაგრამ დედას ბედნიერება ვერ მოუტანა... იყო ციხე, მერე ნარკოტიკი, ისევ ციხე, ისევ ნარკოტიკი და ასე დაუსრულებლად ტრიალებდა ეს ჯოჯოხეთი, რომელმაც ჩემი ბაბუის და ბებიის უძლიერესი ოჯახი გაანადგურა. თანდათან ყველაფერი გაქრა სახლიდან...

მიუხედავად ამ ყველაფრისა, მამას ზრდილობა ბოლომდე შემორჩა. ბაბუას დიდი მეურნეობა ჰქონდა სოფელში, საქონელიც ჰყავდა (თავის დროზე სულ მეურნეობის დირექტორად მუშაობდა, მერე რაიაბრეშუმის ფაბრიკის დირექტორად), მახსოვს, დაღლილი რომ მოვიდოდა, მამა ცხელ წყალში ჩააყრევინებდა ფეხებს, დაბანდა, მერე კალთაში ჩაიდებდა ბაბუას ფეხებს და ფრჩხილებს მოუწესრიგებდა, პაპიკოს ეძახდა სიმამრს. ამის პარალელურად, იყო, რა თქმა უნდა, აგრესიის მომენტებიც, ესმოდა, თვითონ ყველაზე უკეთ ესმოდა, რომ იღუპებოდა და სცადა თავის დანებება წამლისთვის... ჯოჯოხეთი იყო ის დღეები... გამოუვიდა და ცოტა ხნით ბედნიერება დაბრუნდა ჩემს ბავშვობაში... ცოტა ხნით. მერე ალკოჰოლმა ბებერს დაამსგავსა და 46 წლის ასაკში გათავდა ყველაფერი. მე წიგნებმა მიშველა, მაშინ მე-10 კლასში გადავდიოდი.

დედა ცდილობდა, როგორც შეეძლო, არაფერი მოგვკლებოდა.

გალის მე-2 საშუალო სკოლა დავამთავრე, კარგი მოგონება ბევრი მაქვს სკოლის პერიოდის, მაგრამ ორი წამლავს ყველაფერს...

სასკოლო ჟურნალში, ხომ გახსოვთ, მოსწავლის სახელის და გვარის გასწვრივ, ბოლო ფურცელზე, მშობლების საქმიანობა იწერებოდა... ყველა მოსწავლეს ეკითხებოდა კლასის დამრიგებელი: მამა მუშაა თუ მოსამსახურე? როგორ ვნატრობდი მაშინ, ჩემი

გვარი გამორჩენოდა მასწავლებელს... კიდევ, სანიტრად ამირჩიეს: თეთრი ჩანთა წითელი ჯვრით, იოდით, ბამბით, ბინტით და ორი კლასელის ჩურჩული: „იოდის მაგივრად მორფი არ წაგვისვას!..“ ყოველთვის ყვირილი მინდა, ამას რომ ვიხსენებ, მინდა ჩემს ბავშვობას ხელი მაგრად ჩავკიდო და შორს გადავმალო...

ეს იყო მე-4 კლასამდე. მაღალ კლასებში ყველა, განურჩევლად - კლასელი იყო თუ მასწავლებელი, რაღაცნაირი პატივისცემით მექცეოდა, უფრო მოწიწებას ჰგავდა ეს ყველაფერი, ვგრძნობდი ამას ყოველ ნაბიჯზე, მხოლოდ, რა იყო მიზეზი, არ ვიცი.

ნანული, თქვენ, ალბათ, სხვა რამეს ელოდით? ანუ ბედნიერ ისტორიას? ვერ ვიტან ტყუილს, ან უნდა ჩუმად ვიყო, ან ვთქვა ის, რაც იყო, რაც ვარ, რისგანაც მოვდივარ და ჩამოვყალიბდი. აბსოლუტურად არ მეწყინება, თუ ჩემი ნაამბობი არ მოგეწონებათ, ვერ გეტყვით, რატომ გწერთ, რატომ გაგიხსენით გული, ყველას ყოველთვის ძალიან ბედნიერი ვგონივარ, ჩემი ბავშვობა არ მაძლევს ამის უფლებას...

ყოველთვის თამამად თქვი...

მადლობა, რომ ბოლომდე ჩაიკითხეთ, არ არის ეს ის ისტორია, რითაც დღევანდელი მკითხველი დაინტერესდება...

მადლობა, ნანული ძვირფასო, არ მქონია ფიქრად, რომ ეს გამოქვეყნდება, არა იმიტომ, რომ მრცხვენია... არა, ჩემი ასაკი მაძლევს უკვე ამ სითამამეს და ამერიკამ ბევრი რამ მასწავლა. კიდევ ერთი და - ამით დავხურავ თემას. არ მინდა ზედმეტი ემოციით დაგტვირთოთ, ვიცი, რომ სხვა საქმეც ბევრი გაქვთ.

სკოლაში ადრე მივედი და, სანამ ჩემი კლასელები მოგროვდებოდნენ, ვიცდიდი. ცამდე ასული ნაძვები იდგა სკოლის ეზოში და ამ ხეებს შორის ფიცრები იყო ჩაჭედებული. იქ ვიჯექი.

ერთი ქალბატონი მომიახლოვდა, შემათვალიერა (წინათ გწერდით, რომ დედაჩემს კარგი გემოვნება ჰქონდა და ეს ჩვენ, ძმას და დებს, ყოველთვის გვეტყობოდა). მკითხა: ვისი შვილი ხარო? მამა იმ პერიოდში ციხეში იჯდა, დედას ვალები ჰქონდა... უცებ ვერ ვუპასუხე, მერე მაინც დედას სახელი ვარჩიე, მეთქვა. პატარა ვიყავი... ასე ვეცადე, მამა დამემალა, თუ დამეცვა...

თვალწინ მიდგას იმ ქალბატონის (ნინა დეიდას) ლამაზი თვალების სითბო, ჩამიხუტა და ჩუმად მითხრა ყურში: „არასდროს, არასდროს არ თქვა ასე, ყოველთვის თამამად თქვი, რომ გენოს შვილი ხარ“. მერე ბევრი რამ ისეთი მიამბო მამაზე, რაც სიამაყედ დღემდე მომყვება. ნინა დეიდა ვერც წარმოიდგენდა მაშინ, რომ წლების მერე თვითონაც გამოცდიდა იმ უბედურებას, რასაც ნარკომანია ჰქვია.

ასე დაიწყო სიკეთის გაკვეთილები ჩემთვის.

ნანული, თქვენ მიმიხვდებით, რატომ გწერთ ამ ყველაფერს, ძვირფასო. იქნებ ერთი ადამიანი მაინც დაფიქრდეს და სცადოს, გვერდი აუაროს იმას, რასაც უგულო ადამიანთა ჯიბის გასქელება, საკუთარი ოჯახის გაუბედურება და შვილების ბავშვობაშივე „დაბრძენება“ ჰქვია.

ანიკო დეიდას „მულინის“ ძაფები

ჩემი ბავშვობის ერთ-ერთი გამონათება იყო ანიკო დეიდა (დედას მეორე და) და მისგან ქუთაისიდან მიღებული „დეპეშა“: „თამარა, ჩამოვდივარ პირველი რეისით, დამხვდით“.

ანიკო დეიდას ჩამოჰქონდა ჩვენთვის ტყემლის ტყლაპები, რომლებსაც სარეცხის გასაშრობ თოკზე გადაფენდა დედა. ისეთი ლამაზები იყო, სულ ლაპლაპი გაუდიოდა და იმ თოკზევე ქრებოდნენ ნელ-ნელა, ვინ აცლიდა გაშრობას...

კიდევ „მულინის“ ფერადი საქარგი ძაფებით სავსე, გამოკრული ფუთა მოჰქონდა ანიკო დეიდას. ვიქექებოდით იმ ფუთაში, ვშლიდით და ოცნებასთან ერთად ისევ ვახვევდით ძაფებს. მაგრამ მოქარგვით არაფერს ქარგავდა ანიკო დეიდა და ისევ ისე გამოკრული მიჰქონდა ის ფუთა უკან, ქუთაისში... ერთი ძმა სამამულო ომში ჰყავდათ დაკარგული და დედასგან ვიცი, რომ იმ მძიმე წლებში ნემსის წვერით ინახავდა ობლად დარჩენილ ძმისშვილებს და თვალის ჩინიც დაკარგა... ჩვენთან, დედასთან იყო ბოლო წლებში და გალში გარდაიცვალა.

მახსოვს, გონებით სულ ქუთაისში იყო, ეძახდა ელგუჯას, ვაჟას, ღუღუნას (ძმისშვილებს), ეძახდა თავის მეზობლებს: კოკიას, ჟორჟიკას, კაკოია

ბოგვერაძეს, თინაია დარსაძეს... ქუთაისში ჩამოასვენეს ძმისშვილებმა.

ცოცხალივით მენატრება, წელს აუცილებლად დილიდან საღამომდე დავრჩები მის სასაფლაოზე და რამდენ რამეს მოვუყვები...

ადამიანს ან აქვს მორალი, ან - არა!

ავთო ჯეჯელია კომკავშირის რაიკომის მდივანი იყო, ყველასთვის სასურველი სასიძო... მე სწორედ მისი იქ მუშაობა არ მომწონდა. დედამ იცოდა თქმა: როგორ გაამუტრუკეს კომუნისტებმა ხალხიო და, მგონი, ეს იყო მიზეზი, მეგონა - ყველა ერთნაირი იყო, საბედნიეროდ, ასე არ აღმოჩნდა და მე დღესაც მის გვერდით დედოფალი მგონია თავი.

მანამდე კი იყო ბევრი შური, უფრო მეტი - ჭორი, ცოტა სიმართლე და არნახული უსინდისობა... გავუძელით, უფრო სწორად, სიყვარულმა აიტანა და დაიტია ეს ყველაფერი.

სამშობლოს დატოვება და ამერიკაში წამოსვლა არ იყო ჩვენი ოცნება. მაგრამ ის ომისშემდგომი 10 წელი, რომელიც ხან უკრაინაში დავყავით და ხან რუსეთში - დაბრუნების იმედით, გულუბრყვილობად და დროის დაკარგვად მიმაჩნია. რა მიამიტები ვიყავით და რა ადვილად ვტყუვდებოდით, თუ ვიტყუებდით თავს!

ყველა მედალს ხომ ორი მხარე აქვს და, ჩემდაუნებურად, დღემდე ვაკვირდები ამ ყველაფერს.

ლტოლვილობამ დამანახა ადამიანები უნიღბოდ. ჩემთვის აშკარა გახდა ის თანდაყოლილი თუ ჯიშით გამოყოლილი თვისებები, რომლებსაც ასე ნიღბავდნენ თურმე იქ და მერე გაჭირვების მიზეზით ამართლებდნენ.

მაგალითად, ეს იყო არგაჩენილი ბავშვების დაბადების მოწმობები... რამდენ ჩემს ნაცნობს „გაუჩნდა“ მესამე და მეოთხე შვილი, რამდენი იღებდა დიდი ხნის გარდაცვლილი ახლობლების პენსიებს და დახმარებებს წლობით, რამდენი ომამდე გარდაცვლილი გახდა „გმირი“, რათა მათი შვილები ჩარიცხულიყვნენ უმაღლეს სასწავლებლებში, რამდენმა იკადრა უკადრებელი, რომ „თანამდებობა“ ჰქონოდათ ისევ და ამ ხალხისგან ჭკუის სწავლება იყო ყველაზე ძნელი მოსასმენი. ხან ჰქონდათ მორალი და ხან არა, მე კიდევ მგონია, რომ ადამიანს ან აქვს მორალი და ან არა.

და არავინ მითხრას, რომ ეს გაჭირვების ბრალია, რომ დრო ცვლის ადამიანებს და ა.შ. ბევრი ვიცი ღირსე-

მშობლები

ოჯახი

ახალდაქორწინებულნი

ული მაგალითიც, როცა ადამიანებს უკიდურესმა გაჭირვებამაც კი ვერ შეუცვალა სახე და ვაღმერთებ ასეთებს! მიყვარს ისინი!

ერთხელ გალში დედამ წამიყვანა ბაზარში, ხორცი უნდა გვეყიდა. მაშინ იქაც რიგები იყო და თქვენ გემახსოვრებათ, როგორ მოძრაობდა ეს „რიგი". ერთი ქალბატონი ძალიან აქტიურობდა, ვერ ეტეოდა ხალხში თუ თავისსავე კანში, არ ვიცი. რატომღაც, მგონია, რომ ასე აქტიურობენ ის ქალები, რომელთა ქმრებს სახლში ბევრი ფული მოაქვთ და, როგორც წესი, განზე საყვარელი ჰყავთ (და ეს ცოლებმა იციან). მე არ ვიცი, რის კომპენსაციას ცდილობენ ისინი ამ „პირველობით" ბაზარში. მოკლედ, ამ ქალბატონს არც ეეჭვებოდა, რომ ყველაზე დიდი, კარგი ნაჭერი მას ეკუთვნოდა.

დედაჩემი მშვიდად იდგა, ყოველთვის ეტყობოდა დედას, სავსე ოჯახში რომ იყო გაზრდილი და არც არაფერზე ფეთდებოდა. ბაზრიდან ცარიელიც რომ წამოსულიყო, მაინც მოახერხებდა რაღაცას და მშივრებს არ დაგვტოვებდა.

ჩემი ყურადღება გასაყიდ ხორცს არ მიუპყრია მაშინ, მეხსიერებაში ჩამრჩა შემდეგი სურათი: ხორცის მოზრდილ ნაჭრებს შორის ენერგიულად მოძრავი, სიმსუქნეშეპარული, ნუნებამდე (ალბათ - სიმწრით, ჩუმად) დაკვნეტილი ფრჩხილები და თითებზე იმავე ხორცის ქონისგან გადაგლესილი, სხივჩამკვდარი ბრილიანტის თვლიანი ბეჭდები...

ყველაფერს თავისი დრო და ადგილი აქვს და ეს როგორმე უნდა ვისწავლოთ ქართველებმა.

კიდევ, მეზობელი გვყავდა ერთი, ისეთი პრეტენზიულად მედიდური სახით დადიოდა, თითქოს ყველა უნდა დამალულიყო გარშემო! შინ და გარეთ ოქროს „ცეპები" ეკიდა გულზე, და არც თითებს და ყურებს ეტყობოდათ, რომ „დაჩაგრულები" იყვნენ. უთუოდ გადამყიდველთან ნაყიდი, „ძვირიანი" კაბები ეცვა ყოველთვის. აი, ფეხებზე კი... ოი, როგორ მეცოდებოდა ის „ბასანოჩკები", რომლიდანაც ზაფხულობით წინ ფართე, მოუვლელი ფრჩხილები და უკან დახეთქილი ქუსლები მოუჩანდა. მე, რატომღაც, იმ ქალის ქმარი უფრო მაღიზიანებდა, რომელიც ვერასდროს ამჩნევდა ამ საცოდაობას! ან იქნებ ხედავდა კიდეც ყველაფერს, ვინ იცის... ან რა ჩემი საქმე იყო ამის დანახვა?

აქ, ამერიკაში

ამერიკაში არავინ იპრანჭება ყოველდღიური ჩაცმა-დახურვით. სამსახურშიც (თუ ფორმას არ ითხოვენ) სადად და უბრალოდ აცვიათ. აქ არავის იღებენ ჩაცმით, შეხვედრაც და გაცილებაც ჭკუის მიხედვით ხდება ორივე.

ერთ-ერთი პროექტი, რომელიც ავთომ განახორციელა, ეკუთვნოდა დევიდ ჩერიტონს, რომელიც არის კომპიუტერული მეცნიერების პროფესორი სტენფორდის უნივერსიტეტში და არის ოფიციალური მილიარდერი და გუგლეს ერთ-ერთი დამფუძნებელი. დღესაც პალო ალტოში (ქალაქია) შეიძლება ქუჩაში შეხვდეთ მას, თავის ძველ ველოსიპედთან, ან 1986 წლის „ფოლკსვაგენთან ერთად". და არაფერი მის ღირსებას ამით არ აკლდება.

შორსა ვარ იმ აზრისგან, რომ ამერიკაში ყველა ჭკვიანია, კოხტაა და ა.შ. მაგრამ ჩვენთან, საქართველოში, ნამეტანი მოსდით...

ასევე არ იციან აქ თავიანთი ბიოგრაფიის შელამაზება, არ ერცხვინებათ ინვალიდი შვილები, ახლობლები და არ კეტავენ მათ ცხრა ბოქლომს მიღმა. მე მყავდა ბიძა, რომელიც 7 წლის ასაკში მენინგიტით დაავადდა და ბებიამ და ბაბუამ ხელისგულზე გაზარდეს. გუთო - ჩემი ტკივილიანი მოგონება და სიყვარული!.. ცინიკური შეკითხვაც მოუციათ ხშირად, თუ ვინ იყო ის ჩემი. არავის განვიკითხავ, მეტიც, ვფიქრობ, რომ მათაც არ ესმოდათ, რას მეკითხებოდნენ... 55 წლის ასაკში გარდაიცვალა და მთელმა ქალაქმა დაიტირა, მადლობა ჩემს გალელებს ამ სიყვარულის გამოხატვისთვის. მის საფლავზე ხშირად დამხვედრია ცოცხალი ყვავილი და ახალჩაფერფლილი სიგარეტი, გუთოს სიმღერა და კინო უყვარდა ძალიან.

ისევ გადავუხვიე თემას...

ოჯახი

ორი ქალიშვილი გვყავს, თამარი და ნინო. ორივემ სკოლა აქ დაამთავრა.

თამუნამ საქართველოში გაიმარჯვა კონკურსზე „XXI საუკუნის ლიდერები" და ამ პროგრამით ჩამოვიდა ამერიკაში. მერე სწავლა გააგრძელა ოსტინის კერძო კოლეჯში, მისი განხრა საერთაშორისო ურთიერთო-

ბებია. ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლეს მიანიჭეს ბუკბურნეტის (ქალაქი) საპატიო მოქალაქის წოდება.

ცხოვრობს მეუღლესთან ერთად ვაშინგტონში და იქვე მუშაობს საზელმწიფო სამსახურში. უამრავი შეხვედრა ჰქონდა საინტერესო ადამიანებთან, დალაი ლამადან მამა ბუშის ჩათვლით, შეხვედრია მიხეილ სააკაშვილსაც... თამუ ისევ აპირებს სწავლის გაგრძელებას და წელს ოთხი ყველაზე დიდი უნივერსიტეტი გაუღებს კარებს. ვნახოთ, რომელს აირჩევს. არ უყვარს, როცა აქებენ, ეს რომ წაიკითხოს, მეტყვის: კარგი, რა, დე...

ჩვენი სიძე, კარლი, ამერიკელია, თანაკურსელები არიან. შარშან გვქონდა დიდი ტეხასური ქორწილი. ძალიან კეთილ და სათნო ხალხთან დაგვამოყვრა თამუმ. ქორწილი მართლა დიდი იყო, მხოლოდ, ისინი იყვნენ 300 და ჩვენ სამნი (ავთო, მე და ნინო), მაგრამ ეკლესიაში ვგრძნობდი, რომ ყველა ჩემიანი იქ ტრიალებდა, ბევრი ვიტირე, ვერაფრით მოვერიე თავს. იმ დღეს კიდევ უფრო მწარედ ვიგრძენი ჩვენი წელში გაწყვეტილი ლტოლვილობა...

დიდი ყურადღების ქვეშ ვიყავით, ყველა გვეფერებოდა, გვიხუტებდნენ გულში, მადლობას გვიხდიდნენ ასეთი ლამაზი და ჭკვიანი შვილისთვის, დიდი სითბო ტრიალებდა ირგვლივ, მაგრამ მე მაინც მაკლდა, მაკლდა, მაკლდა ჩემი ქვეყანა და ქართული...

ნინომ სკოლის მერე კოლეჯი დაამთავრა, პარალელურად მუშაობდა, და ეხლა დევისის უნივერსიტეტს ამთავრებს, ფსიქოლოგი გახდება მალე. ორივე ჩართულია საქველმოქმედო პროგრამებში, ეხმარებიან ძალიან გაჭირვებულ ბავშვებს. ნინო თავისუფალ დროს უფასოდ მუშაობს ცხოველთა თავშესაფარში, მეც მიყვარს ძალიან

ქოიჩქუნო, ცხოვრება ტანჯვის გამოცდაა!

ცხოველები და, საერთოდ, ბუნება. კეთილი და უბრალო ბუნების გოგონები არიან, ზედმეტი არაფერი უყვართ.

იცით, არანაირ აღფრთოვანებას არ განვიცდი, როცა საქართველოში ჩასულს ჩემი მეგობრები თუ ნაცნობები თავს მაწონებენ იმით, თუ როგორ უყიდეს შვილს ბინა, მანქანა, მოაწყვეს სამსახურში, „მოუყვანეს“ ცოლი... ასეთ დროს ყოველთვის უხერხულად ვარ, ჩემთვის ბევრად საინტერესოა, იმ „ბავშვმა“, რომელიც 25-30 წლისაა, რა გააკეთა ამისთვის, ანუ რა არის მიზანი და მისაღწევი ცხოვრებაში.

ავთო თავისი პროფესიით მუშაობს (ინჟინერმშენებელია), ენა კარგად იცის, შრომა არ ეზარება და თავისი წესიერებით კარგი ავტორიტეტი აქვს.

იცით, რა „აღმოვაჩინე“?

მე „John Muir“-ში ვმუშაობ, ეს ერთ-ერთი ყველაზე კარგი სამედიცინო ჰოსპიტალური ქსელია ამერიკაში. ჩემს თვალწინ დღეში მრავალი ეროვნების, ფერის და ორიენტაციის ადამიანი ირევა და, იცით, რა „აღმოვაჩინე“, ნანული? ყველა ადამიანი ერთნაირადაა კეთილი და ბოროტი, ლამაზი და უშნო, ზრდილობიანი და უხეში, ჭკვიანი და სულელი და ა.შ. ყველას ერთნაირად სტკივა, უხარია, ერთნაირად სჭირდება ყურადღება და თანადგომა.

აქ ყველა ესალმება ერთმანეთს, გისურვებენ ბედნიერ დილას თუ საღამოს. რამდენჯერ ჩამხუტებია უცნობი ადამიანი და უთქვამს მადლობა, გაუთბია და გაულამაზებია დღე ჩემთვის. განა იმიტომ, რომ უპრობლემოები არიან და არაფერი უჭირთ. ყოველდღიური ყოფითი კულტურა მეტია და მინდა ასე იყოს საქართველოშიც.

სამსახურიდან თავისუფალ დროს ნამცხვრებს ვაკეთებ, მიყვარს მათი გაფორმება ჩემივე გაკეთებული (ზოგჯერ მოგონილი) ყვავილებით. მიმაჩნია, რომ ტორტით არ უნდა ძღებოდნენ, ის ესთეტიკური სიამოვნებისთვის უფრო მგონია...

ამდენი არასდროს მილაპარაკია საკუთარ თავზე და, ცოტა არ იყოს, მეუხერხულება, თქვენ ჩემზე ბევრად, ბევრად უკეთ იცით, თუ რა ფორმას მისცემთ ამ წერილებს, ან იქნებ სულაც არ არის საჭირო მათი გამოქვეყნება?

ნანული ცხვედიანი

ჯასტიჩლელი

მიხო მოსულიშვილი

გურამ დოჩანაშვილთან

- არ ვიცი, გაგონებთ თუ არა აურელიანო სქელოს გასუქებამდე ანდა მის უფროსს, პოლკოვნიკ ჯანჯაკომო სემინარიოს, მარშალ ედმონდო ბეტანკურის უფროს ძმას, მაგრამ არ მინდა, ეს ინტერვიუ ისევე ჩაიშალოს, როგორც იმ მოთხრობაში სათაურით: „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ და ამიტომაც ეგებ ისე მესაუბროთ, როგორც რომელიმე კლიმს...

- სიამოვნებით ვეცდები, გულწრფელად გიპასუხოთ. თქვენ ჩემთვის სანდო და ახლობელი ხართ.

- თქვენი მოთხრობის „იქამდე“ პატარა, შვიდი წლის პერსონაჟი თავის ბებია ფაცას და პაპა სილოვან ემხვარს - ყოფილ „კნიაზსა“ და „აფიცერს“, აგრეთვე იმათ ნათესაობას მისჩერებია, უსმენს და იმახსოვრებს ყველაფერს. იქვეა ექიმი მამაც და მშვენიერი სოფელი ღულელები... ალბათ, ესაა თვენი ბავშვობა, არა?

- დიახ, ჩემი ბავშვობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი.

- გთხოვთ, უნივერსიტეტი გაიხსენოთ, თქვენი სტუდენტობა, ლექტორები, მაშინდელი გარემო...

- კარგ ლექციებს ნაკლებად ვაცდენდი; მაგრამ ლექციების დიდი ნაწილი დიამატ-ისტმატისა და პოლიტეკონომია-სკკპ ისტორიისგან რახან შედგებოდა, მე უფრო უნივერსიტეტის ბაღი მაქვს დამთავრებული, რომლის უმანტიო რექტორიც შოთა ჩანტლაძე გახლდათ.

- თქვენ გურამ რჩეულიშვილსაც იცნობდით, ხომ?

- ჩემდა საბედნიეროდ, ვიცნობდი; მთელი ქალაქის თვალისჩინი იყო, - ის მერე რა რომ, ზოგიერთისათვის დამაშინებელი თუ გამაღიზიანებელი - ჩაცმულობით თუ ქცევით, არადა, ამითაც აკვირვებდა და აკვირდებოდა ხალხს. სულით-ხორცამდე ნაღდი ვაჟკაცი გახლდათ; მთელი ხუთი წლით იყო უფროსი, და მხოლოდ ოცდაექვსისა გარდაიცვალა, მაგრამ, ოთხმოცი წელიც რომ ვიცოცხლო, ოთხმოცდახუთი წლისა მეგონება, იმდენად წარუშლელი კვალი დატოვა ჩემზე.

პირველად მის ბინაში ვნახე, მაშინ ვერაზე ცხოვრობდა, ჩემი მეგობარი თეიმურაზ მეტრეველი და მე მის ოჯახს ვესტუმრეთ, გურამ რჩეულიშვილის ოჯახში აღმოვჩნდით, და თვალებდაჭყეტილები ვათვალიერებდით - კედლები მისი ერთ-ერთი ახლობელი მხატვრის გრაფიკით აჭრელებულიყო, უცნაური სახეები გვიმზერდნენ თუ იყურებოდნენ განზე, საწერ მაგიდაზე ადამიანის თავის ქალა ედო, და მიუხედავად იმისა, რომ დაკვრა არ იცოდა, ტახტზე ბრტყლად დადებული გიტარის რომელიმე სიმს როგორღაც დაგემოვნებით და ღონივრად ამოკენკავდა იმ საჩვენებელი თითით, სხვა ორ თითთან ერთად ძირითად დროს ნატანჯი და ბედნიერი კალმისტარი რომ ეჭირა და ჟღრიალს გაფაციცებული უგდებდა ყურს, თან ხანდახან ჩვენც შეგვათვალიერებდა; უცებ საშინელება გვკითხა - ხომ არ ვწერდით... ძალიან შეეკრთი, მეჩვენებოდა (ხანდახან, ახლაც), რომ რაღაცა ასაკრძალ თუ საჩოთირო თუ ზედმეტად თამამ საქმეს თუნდაც ფარულად, მივდევდი, და, რაღა თქმა უნდა, ვივუარეთ, მაგრამ ჯონდოს პერანგის ჯიბეში ფანქრის წვერი დაუნახა და აბა ეს რად გინდაო... ჯონდო ძალიან შეცბა და, - ისეო... თურმე ისიც წერდა, ჩემსავით მალულად.

რამდენიმე დღის შემდეგ „ცისკარის“ რედაქციაში, როგორც იქნა, გავბედე და მივედი. მანამდე ასეთი მღელვარება არ გადამხდენოდა. მიუხედავად იმისა, რომ რაღაცეები მქონდა გადატანილი, თვით შეყვარებაც კი, თან მერე სად ეს - საბავშვო ბაღში. ბატონ ვახტანგ ჭელიძეს დავუდე თუ არა ჩემი ნაცოდვილარი, მაშინვე გამოქცევა დავაპირე, მაგრამ დამადევნა, ელენესი რა ხარო... თუ არ წავიქცეოდი, არ მეგონა, მამიდაა-მეთქი, ვუთხარი, მეგონა, დავიღუპე, რადგან შინაურებმა თუ გაიგეს ესეც თუ მჭირდა, მთლად სამარცხვინო საქმეში გავმჟღავნდები-მეთქი... დიდი მოკითხვა გადაეციო...

არადა, მთელი დოჩანაშვილობა მაშინ ოთხნი ვიყავით - ორი მამიდა, მამაჩემი და მე... უმცროსი მამიდაჩემი, ელენე, „მცხეთური ხელნაწერის“, ბიბლიის ხუთწიგნეულის გამომცემელი, ბატონ გიორგი მელიქიშვილის მეუღლეა, რომელთანაც ბატონ ვახტანგს თურმე ბავშვობის დროინდელივე მეგობრობა აკავშირებდა, რა ვიცოდი ეს, თორემ რა მიმადგმევინებდა ამ ჟურნალში ფეხს... მერე სასწრაფოდ გამოვვარდი და ვიწრო კიბეზე თავჩაღუნულად ისე დავეშვი, ვიღაცას უცაბედად ძალიან დავეჯახე და, უნებურად რომ შევხედე, აბა თუ იცით, ვინ... - გურამ რჩეულიშვილი.

არასოდეს, არც მანამდე და არც შემდეგ, არავის დავუთვალიერებივარ ისე გამომცდელად და დაჟინებით, როგორც მან, მაშინ...

- თქვენ არქეოლოგადაც იმუშავეთ ერთხანს, რა მოგცათ ამან, როგორც მწერალს?

- ამ შეკითხვაზე ბატონ ჯუმბერ თითმერიასთან დიალოგიდან გავიმეორებ პასუხს: „უბედნიერესი ვარ, ჩემს სამ ძირითად ხელობათაგან ერთ-ერთი არქეოლოგობა რომ იყო. ოცდარვა არქეოლოგიური ექსპედიციის მონაწილე ვარ. წელიწადში ხანდახან რვაათი თვე არქეოლოგიურ გათხრებსა თუ დაზვერვებზე ვიყავი, ძირითადად იმერეთსა და აფხაზეთში, ხევსურეთსა და თუშეთს გარდა არაა საქართველოში კუთხე, „არქეოლოგიურად“ არ მომევლოს, ხოლო არქეოლოგია - ესაა ხანდახან მზის ამოსვლიდან შებინდებამდე, დამაზრალ სიცივესა და აუტანელ ხვატში, მტვერში, თოვლსა თუ ჭყაპში შენი უტყვი და უცნობი წარსულის ძიებისა და ამომზეურების ძნელი და ასაღელვებელი რომანტიკა - ამ ხმამაღალი სიტყვისა ამ შემთხვევაში არ მეშინია. თანაც, თვეობით რომ ცხოვრობ ხან ერთ, ხან მეორე და მეოცე სოფელში, მუშაობისას როგორ ეცნობი იქაურებს, შენს თანამედროვე ხალხსაც, და უნებურად როგორ აკვირდები და სწავლობ მათ, და იქ ყველანი, კარგები თუ პირიქით, როგორ უფრო შენები ხდებიან, რადგან შენები არიან...

- როდის დაიბეჭდეთ პირველად და როგორი იყო მაშინდელი ლიტერატურული გარემო?

- 1961 წელს. მაშინდელი ლიტერატურული გარემო, ასე ვთქვათ, კარგა ძნელი კი იყო, მაგრამ კეთილისმყოფელი ადამიანებით არცთუ ღარიბი.

- გვიამბეთ, როგორ სწავლობდით პროზის ოსტატობას?

- შეძლებისდაგვარად გულ და თავმოდგინედ.

- თავის სამუშაო ინსტრუმენტს, ქართულ ენას როგორ უნდა მიუდგეს დამწყები მწერალი? სიტყვა უნდა დაიმორჩილოს თუ თავად დაემორჩილოს? თქვენ როგორ მუშაობთ სიტყვაზე?

- ეს მუდამ ორმხრივი სიყვარული უნდა იყოს; არცთუ იშვიათად მხატვრულ ნაწარმოებებზე მეტი გატაცებით და გულისყურით ვკითხულობ ჩვენს ლექსიკონებს, განსაკუთრებით სულხან-საბასას.

- მწერლის თქვენეულ იდეალად ისევ თუ დარჩა: „მგელზე ამხედრებული ამაყი გლახა, არწივით მხარზე - ისიც არ იწურთნებაო, ამბობენ". ეს ხალხური ლექსიდან უნდა მოდიოდეს: „კაი ყმა, მგელი, არწივი, არც ერთ არ გაიწურთნების..."

- რა თქმა უნდა.

- როგორც ერთგან წერთ, პროზას აქვს თავისი მკაცრი, ბრძნული კანონები, ხერხები, საშუალებები... ეგებ გაგვიზიაროთ თქვენეული გამოცდილება?

- თქვენ ეს იცით, მაგრამ რადგან სხვებისთვისაც ვსაუბრობთ, ვიტყვი, რომ ეს რამდენიმე მოთხრობაში მაქვს აღწერილი: „საქმე", „იქამდე", „თავფარავნელი ჭაბუკი"... განსაკუთრებით იმ რომანში, რომელსაც ახლა ვწერ...

- რიტმი მხოლოდ პოეზიას აქვსო, მაგრამ პროზაშიც ხომ არსებობს? ეგებ მაგალითიც მოგეყვანათ?

- ყოველი ღირებული პროზაული ნაწარმოები ამის უტყუარი მაგალითია.

- რა ადგილი და საზღვრები აქვს მეტაფორას პრიზაში?

- როცა მეტაფორას მივადგები - უმთავრესია, ისევე როგორც აუარება რამ.

- როგორ ეძებთ ეპითეტს?

- ჩემი დაძაბული შესაძლებლობების ფარგლებში.

- ვის და რატომ თვლით ისეთ მწერლად, ვისი სტილისტიკაც უნდა შეისწავლოს მწერლობის მოწადინე კაცმა?

- ვერასოდეს მოიგონებს და შექმნის ადამიანი იმას, რაც ბიბლიაში არაა; მწერლის უპირველესი და უმთავრესი მოვალეობაა, ბიბლიის მარადი სიბრძნეები თუ გაფრთხილებები მთელი თავისი მწერლური ხერხებითა და საშუალებებით მიაწოდოს მკითხველს, ამიტომ: „სტილი - ეს ყველაფერია (ფლობერი)" - დიდ სიმართლედ ჟღერს. სტილი - ეს პირველ რიგში მშობლიური ენისა და ჩვენი ქართველი კლასიკოსების შესწავლაა, რომელთაგან უპირველეს სტილისტად გურამიშვილი მგონია, უცხოელებიდან კი - ფლობერი, სალტიკოვ-შჩედრინი, ფოლკნერი; ტოლსტოისა და თომას მანის სტილური მრავალმხრიობის საოცარი შემთხვევებიც განსაკუთრებულია.

- ნაწარმოების დამთავრების შემდეგ სიცარიელეში ხომ არა ხართ ხოლმე? თითქოს აღარ დაგრჩენიათ სიტყვები, გრძნობები, აზრები...

- რაღა თქმა უნდა, სიცარიელეში; იმდენი უნდა ჩადოს ყველა და ყოველგვარმა შემოქმედმა ნაწარმოებში, რომ არარაფერი შერჩეს, მაგრამ ეს მხოლოდ ორიოდე დღით, რადგან მათეული მისჯა მოწყალეა.

- ნაწარმოებზე მუშაობისას თუ შეგხვედრიათ ისეთი ადგილები, დიდი ხნით რომ შეუფერხებიხართ და როგორ სძლევდით მათ?

- ძალიან ხშირად; ჩემს ჯერჯერობით ერთადერთ რომანზე მუშაობისას, შეფერხებისას, ათი მოთხრობა მაინც დავწერე, რომლებითაც ჩემთვის ძნელ ადგილებს, ასე ვთქვათ, ვუსაფრდებოდი და ვეპარებოდი. ერთმა სიტყვამ კი, უკვე მერე, პირდაპირ მომსპო - თვით წმინდა ღვთისმშობელზე, ასე ვთქვათ, „ეპითეტი" უნდა შემეფარდებინა, როგორია... წინადადება ასე იწყებოდა: „ლამაზია რომ, როგორც რო..." და მერე? როგორც რო - რა? ღვთისმშობლისადმი მოწიწებით მიძღვნილი ეპითეტები თუ შედარებები მაშინ ჩემდა სამარცხვინოდ არ ვიცოდი, და გინდაც მცოდნოდა, ვერც ერთს ვაკადრებდი ამაღლებულიდან ჩემს დაბალ ქაღალდზე გადმოტანას, თან, ამომიჩემდა რომ, ეს შედარება თუ ეპითეტი ორმარცვლიანი უნდა ყოფილიყო. თვენახევარი არაფერი გამიკეთებია, ამ სიტყვის ძებნის გარდა; რა და როგორი საშუალებები არ გამოვიყენე, მეპატიოს და, ძალად გამოთიშვებიც კი, და მერე, უცებ - „ლამაზია რომ, როგორც რო... - თვითონ!" მგონი, სწორი ვიყავი, ღვთისმშობელს სხვა რამ რა შეედრება, თუ არა თვითონ, მოწიწებლური ქებათა ქება, სადიდებელი, სამადლობელი, - სხვაა.

- ოთხმოციანი წლების უნივერსი-

ტეტელ სტუდენტებს თქვენი „სამოსელი პირველისთვის“ ნობელის პრემიაც კი მიუნიჭებიათ ხოლმე, მე შევსწრებივარ ასეთ საუბრებს. გვიამბეთ ამ რომანზე, როგორ მუშაობდით? თითქოსდა სფეროს გარშემო მოძრაობენ მისი პერსონაჟები და რაღაც დიდებული, ჰარმონიული მუსიკაც იგრძნობა ტექსტის მიღმა...

- ჩემი შესაძლებლობების ფარგლებში, მგონი პატიოსნად და ნებისყოფიანად ვმუშაობდი.

- უნდა შეისწავლოს თუ არა მწერლობის მოწადინე კაცმა ფილოსოფია, სხვადასხვა რელიგიური სისტემები, ხელოვნების სხვა დარგები, თუ ეს ფუჭი მცდელობა იქნება და მხოლოდ თავის ნიჭს უნდა მიენდოს?

- სხვა მეცნიერებებისა და რელიგიების შესწავლისა რა მოგახსენოთ, მაგრამ მთელი თავისი ნიჭი ქართველმა კაცმა მართლმადიდებლურ ქრისტიანობაში შეძლებისდაგვარად და უფრო მეტადაც კი ჩაღრმავებას უნდა მოანდომოს.

- ყურადღება უნდა მიაქციოს თუ არა მწერალმა კრიტიკას?

- რა ვიცი, ალბათ; თუმც, მწერლისათვის ყველაფერი დასაკვირვებელი და საფიქრალი უნდა იყოს, ამიტომ, რასაკვირველია, თავხედობა და სიბრიყვეც კი.

- ამასწინათ ერთ ჟურნალში მთელი რუბრიკა ვნახე ამგვარი სათაურით - „კარცერი-ლუქსი“. თქვენ რას იტყვით, ცუდი იქნებოდა, ჯერ რამდენიმე, შემდეგ კი მეტი და მეტი კარცერ-ლუქსი რომ გვქონოდა საქართველოში - დაწყებული მთავრობის ზედა ეშელონებიდან და დამთავრებული ქუჩით, ყველანაირი ფენისათვის?

- მე მგონი არ გვაწყენდა, მაგრამ სადაა; ისე კი, ხდება სასურველი უტოპიები.

- გთხოვთ, ჩვენს ფიროსმანზე და საერთოდ, ფერმწერებზე გვესაუბროთ, რა გამოადგება პროზაიკოსს იმათი, ფერმწერთა ხერხებიდან?

- ფიროსმანი და ვაჟა ფშაველა ადამიანებთაგან ჩემი ხატებია. დიდი ფერმწერიდან პროზაიკოსი ყველაფერს უნდა სწავლობდეს, და ამავე დროს ველასკესის მრავაწახნაგოვანი სიდიადე და გვირგვინოვანი ცდები უნდა ჰქონდეს; ველასკესის ორი ნახატი, რამდენად ადრე - ნაღდი „იმპრესიონიზმია“, მოდი და ამის შემდეგ „იზმ“-ებს ენდე. ისე კი, რამდენი საშუალება აქვს ფერწერასა და მუსიკას, რამდენი ფერი, ხაზი, ბგერა, რიტმი, მაგრამ ყოველთვის მახსოვს, კაცობრიობის უპირველესი და უმთავრესი მონაპოვარი - ბიბლია - სიტყვით რომაა შექმნილი, სიტყვა მრავალმხრიობით - მაინც უდიადესია, და თითქოს უტყვი სასვენი ნიშები - რა ერთგულად ჰყავს...

- პირადად ჩემთვის ყოველი კარგი მკითხველი დონ კიხოტად აღიქმება და მართლაც, არის მკითხველობაში რაღაც დონკიხოტური სასწაულები - აღფრთოვანებაც არის და ცივი წყლის გადასხმაც კოხტადაა. თქვენ, როგორც ვიცი, დიდებული მკითხველი ბრძანდებით თქვენეული ფიქსატორით - აი, მკლავზე რომ დაგბურძგლავთ ხოლმე. გთხოვთ, დაგვისახელოთ ის მწერლები, რომლებსაც უბრუნდებით ხოლმე. და რატომ? რა უნდა იკითხონ დამწყებებმა?

- დამწყებებს თავად განგება მოუვლენს საჭირო მწერლებს; კარგად დამწყებებს ვგულისხმობ. ან, აარიდებს; არ გეგონოთ, ჩემი თავი პირველ მაგალითად მომქონდეს, მაგრამ მოგახსენებთ იმას, რაც უკეთ ვიცი: ორმოცდაათის რომ გავხდი, სალტიკოვ-შჩედრინი მერეღა წავიკითხე, და, კიდევ კარგი, თორემ ადრეულ ასაკში ნაღდად გამსრესდა; თუმც, შესაძლოა, არც, ეგებ ვერც გამეგო. სკოლებში, მგონი, ნაადრევად ასწავლიან რუსთაველს და „შუშანიკის წამებას“, ეს ის ნაწარმოებებია, რომლებიც ან სკოლამდე, ან სკოლის შემდეგ უნდა წაიკითხო, სკოლამდე იმიტომ, რომ ბავშვი ამაღლებულ საიდუმლოთა დიადი მიმღებია;

- პერსონაჟებიდან... ვიცი, რომ ძალიან გხიბლავთ ბრმა და მუნჯი, თანაც მშვენიერი ანტონია არფაზე დამკვრელ ანსელმოიანი რომანიდან. რატომ?

- ბრმა და მუნჯია, უბედური და ჩვილივით ამაღლებული, და, მოსავლელი, და მაღლით მომვლელი... თან, იმისი ქმარი რომელ საქმესაც მისდევდა... ანტონიას სიყვარულს ვერავის ვასწავლი, თვითონ უნდა წაიკითხონ და ისე მიხვდნენ... მაგრამ არიან, „მყვანან“ ისეთი „ლიტერატურული“ ქალები, რომლებიც, მირჩევნია...

- თქვენ ამბობთ, რომ ნაწარმოების წერისას სულ უნდა გახსოვდეთ ერთი კომპოზიტორი. სხვაგან ასახელებთ კიდევაც - ბახი, ბეთჰოვენი, მოცარტი, ვერდი, როსინი... უფრო ნათლად ხომ ვერ აგვიხსნიდით როგორ „გადმოითარგმნება“ მუსიკალური ნაწარმოებები პროზაში?

- ეს კომპოზიტორი ჩემთვის ჰენდელია, რომელიც გამუდმებით უნდა მახსოვდეს და მახსოვს. ისე კი, თქვენგან ჩამოთვლილები, ტევად მრავალწერტილიანად, ყოვლად აუცილებლები არიან, ოღონდ გააჩნია, სად და როდის... ხოლო თუ როგორ „გადმოითარგმნება“ მუსიკალური ნაწარმოები პროზაში, ურთულესი შეკითხვაა, ამომწურავი პასუხის გასაცემად მთელი გამოკვლევები დაგვჭირდებოდა, ისე კი, ორიოდ სიტყვით - „შეხამებითი საჭიროებისამებრ...“

- გვიამბეთ თქვენს ურთიერთობაზე კინოსა და თეატრთან, ტელევიზიასთან. მოგწონთ თქვენი ნაწარმოებების ინსცენირებები? აქვე ხომ არგაიხსენებდით დიდ ეროსის?

- დიდად ვაფასებ თეატრს, კინოხელოვნებასა და ტელევიზიას, მათი მეშვეობით ბევრჯერ მიგრძვნია ამაღლებული დატვირთვა და შვება, მაგრამ ისინი ჩემთვის მაინც სხვა რელსებია; უღრმესი მადლობა რეჟისორების იმ უმრავლესობას, რომლებმაც ჩემი ნაწარმოებების ინსცენირებისათვის პატიოსნად იშრომეს; ხოლო ერთ-ერთი დადგმა, ჩემთვის ისეთი იყო, რომ არამცთუ აღარც დადგმულა, მგონი რომ ვეღარც დაიდგმევა ჩემი ნაწარმოებებიდან მსგავსი რამ...

ბატონი ეროსი, როგორც მსახიობი და პიროვნება, საყოველთაოდ ამაღლებული შვება იყო, და დიდ გიორგი შავგულიძესთან ერთად არა მგონია სხვა რომელიმე მსახიობი ასე ახლოს მოსულიყოს ყველასთან ჩვენთან; ბედნიერი ვარ, რომ ჩემს ორ ტელესპექტაკლში ბატონმა ეროსიმ მთავარი როლები შეასრულა, მოგეხსენებათ, როგორ დებდა ყველაფერში მართალ და ამასთანავე მრავალსახოვან გულს, თან, იმ დროს იძულებითი „უსაქმურობის“ გამო, როლებს განსაკუთრებით მოწყურებული იყო...

- ისეთი ზოგადი კანონი ხომ არ შეგინიშნავთ, რაც მთელ ქართულ ლიტერატურას ახასიათებს, ამგვანებს ან განასხვავებს სხვა ქვეყნების ლიტერატურებისაგან?

- ყველა ჩვენი კლასიკოსი - მართლაც ხალხისაა, სახალხოა, ბედნიერებაა ეს; მათი შემოქმედების დიდი წილი თუმც სხვადასხვახარისხობრივად მაგრამ გასაგები და ყველასთვის მისაღები და თანამდგომია, რაღა თქმა უნდა, იციან მარტივად, გასაგებად და რთულადაც წერა, - კლასიკოსები ბრძანდებიან. ხალხურობაა ალბათ ჩვენი ლიტერატურის მთავარი ღირსება, ისევე როგორც თავიანთ ქვეყნებში სერვანტესი და პუშკინი არიან. და არა მხოლოდ თავიანთ ქვეყნებში...

- თქვენ როგორი დამოკიდებულება გაქვთ ქრისტიანულ სარწმუნოებასთან?

- მართლმადიდებლური ქრისტიანობა - ჩემი უმთავრესი და სანუკვარი ოცნებაა. მაგრამ... ამ „მაგრამ“-ის თქმა მხოლოდ სასულიერო პირთან შეიძლება, აღსარებისას, და არა საჯაროდ. საჯაროდ - შენიღბულად, თუნდაც მხატვრულ ნაწარმოებში. ერთს კი ბედნიერებად ვიტყვი, რომ ჩემი უსაყვარლესი და სათაყვანებელი პიროვნების, მეუფე დანიელის, საბედნიეროდ მომრავლებული მრევლის თუმცა უღირსი, მაგრამ მაინც ერთ-ერთი მათგანი ვარ.

- როცა ერი დაპირისპირებულ მხარეებად გაიყოფა, სად არის ნამდვილი მწერლის ადგილი?

- ყველგან, და ყველასთან.

- როგორი უნდა იყოს მწერლის პოზიცია ხელისუფლებასთან მიმართებაში - განზე უნდა იდგეს, რომ კრიტიკის ზნეობრივი უფლება შეინარჩუნოს თუ მხარი დაუჭიროს?

- მხარი უნდა დაუჭიროს, რადგან ნებისმიერ ქვეყანაში რაგინდ უზნეო ხელისუფლება დროებით გამაგრდესავით, მაინც ღვთითაა, ჩვენივე ცოდვებისაგან და ჩვენივ ქრისტიანული რწმენითა და ნებისყოფით აღმოსაფხვრელად, ეს, ოღონდ მხარდაჭერა - მლიქვნელობა როდია; ეს ჩემი მიგნება არაა, ასეთ დიდ სიბრძნეს რიგითი ადამიანები ვერ ვწვდებით ხოლმე, ან დავცინით ან გვძულს ხოლმე მოუწონარი, და ბოროტება ღვივდება. ოღონდ ეს იმას არ ნიშნავს, ბრმად ან მონურად შევეგუოთ და უპირველესი მთავარი „კრიტიკა“ - ზნეობრივი უფლება არ შევინარჩუნოთ. ისე კი, ყველაფერს სჯობს, რომ ჯერ საკუთარ თავს ჩავუკვირდეთ და მივხედოთ, რაღა თქმა უნდა, ესეც არაა ჩემი მიგნება. მით უმეტეს რომ, ამას ხშირად ვერ ვახერხებ... მწერლობა და საერთოდ ყოველგვარი შემოქმედება - ერთდროულად წყალობა და დაწყევლასავითაა, და, თითქოს მარადიული, უფრო სწორად კი, ჯერჯერობითი, ხოლო ამ ჯერჯერობითობაში: რომელი რომელს, ვინ ვის...

- რატომ აირჩიეთ მაინცდამაინც იტალიურ-ესპანური გარემო თქვენს „სამოსელი პირველში“? ალბათ, ქართველებთან მსგავსების გამო, არა?

- დიახ. იყო სხვა მიზეზებიც.

- თქვენ ესპანეთში მოგიწიათ ყოფნა და იქ კორიდასაც დაესწარით, გვიამბეთ...

- კორიდა რაა, დღესაც ვერ მივმხვდარვარ, ერთი ის ვიცი, რომ ესპანური სულია, როგორც თვით ლორკა ამბობს, შემართულად ფაქიზიც და დაუნდობელიც. ხარი რომ გამოვარდება არენაზე, იმასაც ვერ მიხვდება კაცი, რაა ეს - ღონით აღსავსე სილამაზე თუ უფრო მკვლელი. აღარ იცის, ჯერ რომელი მესამეხარისხოვანი მეტოქე დალეწოს, ისინი კი არბენინებენ, დროებით შესახიზნში ემალებიან, ეს - პირველი დაღლაა, მერე დგება მხედრის ჯერი, შუბით ჩხვლეტს ქედზე, და ხარმა აღარ იცის, როგორ მოუღოს ბოლო სქელი დამცველი საფარით გაწყობილ, საცოდავ, თვალებახვეულ ცხენს, და იმის მხედარს, პიკადორს ლამობს; მე რომ დავესწარი, იმ „კორიდა დე ტოროზე“ ცხენი რქებით ისე აიტაცა და მოაჯირს იქით გადააგდო, მკვლელია, არა? არა, ბუნებაში გაზრდილს, ცხენისგან (ძაღლისგანაც, სხვათა შორის) განსხვავებით თავისუფალს, და ღონივრად ლაღს, თურმე კორიდამდე ორი დღით ადრე სიბნელეში ამწყვდევენ, და დროდადრო ზემოდან, უსაფრთხო ადგილიდან წყალს ასხამენ, სილას აყრიან რომ გააცოფონ, ასე ხდიან მკვლელად. არენაზე კი, იმ დასაღლელი გაღიზიანების შემდეგ, ტორეროები ჭვილთებს ასობენ ზურგში, რომ სისხლნაკლული, დაასუსტონ, ბოლოს კი, მთავარ მკვლელთან, მატადორთან, პირისპირ რჩება თუმც მასზე ისევ მაინც რამდენად ღონიერი, მაგრამ მერე კი, სულ ბოლოს, ყოფილ ღონიერ ქედზე დაცემულს, ჩოჩიალით რომ გაათრევენ თოკჩაბმული და დამჯრობით ცოცხალი ცხენები, არ შეიძლება არ დაგენანოს კი არა, გაცილებით მეტი, ასე შენს თვალწინ დაკლული ბუნებრივი და თავისუფალი ძალა.

ტელევიზიით იქვე, ესპანეთში, ჩემთვის ჯერ „რაღაც“ გადაცემას ვუყურებდი, ესპანურისა რა მესმის, კეთილხმიანობის გარდა, და ვიღაც კაცი რადაცეებს რომ ჰყვებოდა, მაინც ვიჯილდოებდი სმენას, მერე კორიდა აჩვენეს, ოღონდ ხარის მოკვლამდე, ნაწყვეტი, მე კორიდის წვრილმანებისა დიდი არაფერი გამეგება, მაგრამ ხალხის აღტაცებისდა მიხედვით, ალბათ მაგარი მატადორი იყო, ძალიან დავაკვირდი მის ამაყად ლამაზ მოძრაობებს, გამიტაცა, და უცებ ისევ ეს წელანდელი კაცი არ აჩვენეს? ისევ რაღაცეებს ლაპარაკობდა, ოღონდაც კიდევ კარგი, დიქტორისა და კომენტატორისაგან განსხვავებით, მორცხვად და ძუნწად, მერე ისევ კორიდა, ისევ ის დიქტორ-თუ-კომენტატორ პროფესიაარასწორად-ამორჩეული კაცი, ისევ კორიდა და, ისე უცებ მივხვდი და დამარტყა, მგონი შევხტი კიდეც - ეს კაცი თვითონ ის მოხდენილი მატადორი ყოფილა, ტელეეკრანზე - სულ სხვა, არენაზე კი, იმდროინდელი ესპანეთის თურმე უპირველესად აღიარებული ვაჟკაცი, არადა, თითქმის ყოველ მატადორს იშვიათად ლამაზი, ჩამოქნილი სხეული აქვს - ხმელია, აწურული, ხოლო მოძრაობს დახვეწილად და ამაყად, მაგრამ ფეხის ოდნავი მონაცვლეობაც კი, მომაკვდინებელი რქების ბოლო წამში ასარიდებლად, მაყურებელთა დიდი სტვენისა და ღრიანცველის და შეურაცხმყოფელი შეძახილების ამტეხია, ეს კი, სილაზე მთლად გადასხვაფერებულად ამოსულ-აშოტილი მატადორი, მუხ-

ლებზე დადგა და უერთგულესი და უპირველესი შემწის - წითელი მოსასხამის დახვეწილი მოძრაობებით აიყოლია და თავის ირგვლივ, ბეწვზე, რამდენჯერმე შემოივლო სიკვდილი.

მორიდებულად გამოჩნდა ისევ ტელეეკრანზე, რაღაცეები თქვა, შეწრიალებულმა, და უცებ, ისევ სილაზე, და ახლა თავისი უმთავრესი სიკვდილამცდენი რამ, წითელი მოკლე მოსასხამიც აღარ ეკავა, უმისოდ იდგა, ერთდროულად ჩამოქნილი და აწურული, და რომ მეგონა ხარი უკვე მოკლამეთქი, მაგრამ არა, არა, შორიახლოს ეგულებოდა თურმე, და სილაზე მაღალი ფეხის დარტყმით იწვევდა, ხარიც გამოქანდა, რაღა თქმა უნდა, რაღაც საოცრება ხდებოდა, ნეტა რიღასი იმედი ჰქონდა, და უცებ, ამა პირველმა მატადორმა, მიზავთებულ ხარს როგორღაც მკაცრი ბრძანებით აჩვენა ხელისგული, და იქვე, გოჯზე, ადგილზე გააქვავა... და თავიც კი ჩააღუნინა...

ხოლო აღფრთოვანებული ტაშისცემისა და შეძახილების პასუხად, ხარს ცალ რქაზე ჩამოჰკიდა თავისი ულამაზესად ბრჭყვიალა მოკლე ქურთუკი, და, ესეც არ იკმარა და, ხარს ახლა თვალებითა და ხელისგულით აღარ ნუსხავდა და, შემობრუნდა და ხალხს მაინც ამაყი თაყვანი სცა, ყოვლად დინჯად და აუღელვებლად, ეკრანზე ბევრად მეტად ღელავდა, არადა, ზურგშექცეულისათვის, ხარს ერთი რომ აექნია ის ჩაქინდრული თავი, თირკმელებს იღლიებში ამოუყვანდა; მერე კი, დაშნა მოიმარჯვა და იმისთანა თავისი საქმის ზედიდოსტატისათვის ნახტომში საბოლოო უზუსტესი ძგერება რა იყო, არაფერი, და მართლა სულ ბოლოს კი ის იყო, რომ არენაზე გადმოჭრილი აურება აღფრთოვანებით-გაგიჟებამდე-შეყვარებული ესპანელელი ქალბატონ-სენიორიტების უპირველესად თავდავიწყებული სურვილი ის იყო, რომ მაინცდამაინც მხრებზე თუ ვერ შეესვათ ეს უპირველესი მატადორი, იმისი ტანსაცმლის ნამცეცი მაინც მოეხელთებინათ და, კინაღამ გაპუტეს, ადამიანო, ეს ხართან ასე ამაყად მებრძოლი ვაჟკაცი კაცი, უდანაშაულო ყოფილ ხარს კი, - უმწეობას, ახლა, შრომადღეებიანი ცხენები მიაჩოჩიალებდნენ, თუმც, ხარს არენაშორითა თავისთვის მიმავალი კაციც აუგია რქებზე, მოკლედ, ჩემი და ბატონო მიხო, კორიდა მე კი არა, ერთ ნამდვილ და გავლენიან ესპანელსაც ბოლომდე არ სცოდნია, რადგან აი, ასე დიდებულად ბრძანა: „ჩემი ნება რომ იყოს, კორიდას ავკრძალავდი, მერე კი, რომ აიკრძალებოდა, ავიღებდი და დავჯდებოდი და ვიტირებდი“-ო.

- იქნებ ამიხსნათ, ამ ესპანელებს რა ემართებათ - სამშობლოში ერთი ნორმალური ფეხბურთელთა ნაკრები ვერ შეუდგენიათ, არგენტინაში კი ჩინებულად თამაშობენ ყოველთვის, რა ხდება ნეტავი, ჰაერის გამოცვლა ხომ არ მოქმედებს?

- ამაზე ზედაპირულად და ნახევრად ხუმრობით შესაძლოა მხოლოდ ის მოგახსენოთ, რომ ამერიკის სამხრეთი ძირითადად ესპანელების მიერაა დაპყრობილი; ამაზე გამახსენდა და რა ვქნა, ვერაფრით გავიგე თითქმის ყველა ევროპული ქვეყნის გულშემატკივრების გაბედნიერებული აღფრთოვანება თავიანთი გუნდის წარმატებით, როცა იმ გუნდში მთავარი ძალა - უცხოელებია.

- თქვენი ყოველი ახალი ნაწარმოები ძალიან გაგვირისხებს ხოლმე ზოგიერთ ჩვენს ღრამმატიკოს-სქოლატიკოსს, - ეთამაშება და ეცელქება სიტყვებსო... რა იმალება ამის უკან? მარტო სიტყვებთან კი არა, ბოლო დროს სიუჟეტშიც უწესრიგობები შეინიშნებაო, არადა, თითქოს იქაც აირევა ხოლმე ყველაფერი, თუმცა წესრიგი როგორ არაა, ოღონდ ფარულად, არა?

- ჩვენს წელთაღრიცხვამდე ბევრი საუკუნით ადრე ერთსაც ეგვიპტელ მწერალს უთქვამს, ნეტავი მომაგონებინა ისეთი სიტყვა, ჩემამდე რომ არავის უთქვამსო; მაგრამ ახალი სიტყვების მოგონება თვითმიზანი კი არ უნდა იყოს, არამედ - მოქნილობა. თან, ორ და სამ სიტყვას ერთადერთში ბუნებრივად თუ გააერთიანებ, რაა ამაში ცუდი, „ღრამატიკოსობების“ განრისხება კი ბუნებრივია - აბა ტყუილად იზეპირეს წესები?! და როგორ თუ ჩარჩოებს უწუნებენ და უსხვაფერებენ, ფრიადოსნები ყვანდათ... არადა, პირველყოფილ ადამიანს იმდროინდელი გრამატიკა რომ მტკიცედ დაეცვა, და შთამომავლობისათვის მისაბაძ მაგალითად გადაეცა ეს, დღესაც ვიზმუვლებდით... ამბების აღრევებშიც მაინცდამაინც ცუდს ვერაფერს ვხედავ, ქაღალდი ქვეყანასავით ამტანი და დიდია, და, როგორც თქვენ ბრძანეთ, ხოლო წესრიგი ქვეყნად ყოველთვისაა, თვალშისაცემი უწესრიგობებისასაც კი, ოღონდ, მე თავს კი არ ვიმართლებ და ვიქებ, არა - ამისაკენ არ მივილტვი, სხვა საქმეა თუ - როგორ შევძლებ, ოღონდ ცდა მაინც სჯობს იმას, „ოღონდ კი არ გამბრაზდე განათლებულო მკითხველო შენი კი ჭირიმე შენიო“-ს.

- ასე მგონია, დიდი ლიტერატურისათვის მნიშვნელობა არცა აქვს, თუ როდის დაიწერა... ათი საუკუნის წინათ დაწერილი ნაწარმოები უფრო ახლოს შეიძლება იყოს ჩვენთან, ვიდრე გუშინ დაწერილი, არა?

- რაღა თქმა უნდა. „გილგამეშიანი“-სთანა უკვდავად და მარადიულად თანამედროვე მხატვრული ნაწარმოები მე არ მეგულება. და ამაზე რომ ჩამოვარდება სიტყვა, მიუხედავად იმისა, რომ ჩემს ნაწერებსა თუ ნათქვამებში მუდამ ეჭვი მეპარება, გადაჭრით შემიძლია ახლა ვთქვა, რომ გურამიშვილისთანა საჭიროდ თანამედროვე მწერალი, „დავითიანით“, დღეს ჩვენ, ქართველებს, არ გვყავს, რაგინდა გულზე თეორიულად ავიბაგუნოთ მუშტი და ენა.

- აი ახლა ვიხსენებ თქვენს მშვენიერ პერსონაჟებს - კარმენს, ანამარიას, ანნა მანიანის, სხვებს და ვფიქრობ, რომ მუსიკისა თუ მშვენიერების თქვენეული სიმბოლოს ქალი განასახიერებს, სწორია?

- ბედნიერი ვარ, ჩემთან დაკავშირებით ასეთი რამ რომ მკითხეთ, მაგრამ ბახი, თავი და თავი, კაცია. და, რაღა თქმა უნდა, იქაც, სადაც ქალებს ამღერებს.

- ერთგან წერთ, სახარებაში ღიმილი ერთ ადგილზეაო. რა ადგილია?

- ამით შესაძლოა ცუდი სამსახური გავუწიოთ ზოგ მკითხველს: ვისაც თავისით არა აქვს ნაპოვნი ეს ადგილი, მხოლოდ იმას თუ წაიკითხავს, და ამაში რა ყრია... კონტროლიორობა? მით უმეტეს რომ, ეს ადგილი, ნიშნის მოგებაცაა.

- იმ დიქტატურის წლებშიც ხომ არსებობდა დაუმორჩილებელი ქართული ლიტერატურა? ხომ მაინც იყვნენ დაუჩოქებელი მწერლები?

- ჩვენდა დიდად საბედნიეროდ, კი. დიდი შინაგანი სიამაყითა და სიხარულით ჩამოვთვლიდი მათ, მაგრამ, ვაითუ ვინმე გამომრჩეს.

- ზეგარდმო მადლი უნდა იყოს გადმოსული მწერალზე, რომლის ხელშიაც თიხასავით მოქნილნი ხდებიან სიტყვები, კი არ უჯიუტდებიან და თავიანთ ჭკუაზე დაატარებენ. გრძნობს თუ არა ასეთ კაცად თავს გურამ დოჩანაშვილი?

- რა თქმა უნდა, ვერა.

- იქნებ ისეთი შეკითხვა დაგესვათ საკუთარი თავისთვის, რაც ვერ გკითხეთ...

- „ვინ, როგორი ხართ, როგორა ხართ?“ - და, თუმც ამომწურავი, მაგრამ ვერაფრიშვილი პასუხი:

„არ ვიცი“. ■

ცოლ-ქმარი იყრება. მოსამართლე ქმარს ეკითხება:

- როგორ ფიქრობთ, რატომ უნდა ცოლს თქვენთან გაყრა?

- აბა, რა ვიცი, ჩემო ლამაზო ცუნცულა ბიჭო!

* * *

ლოთი, რომელმაც სმას თავი დაანება, ტირის: - ღვიძლი, ღვიძლი მეცოდება, ხალასტოიზე რომ მუშაობს.

* * *

- ჭიჭიკია, ვალს როდის დამიბრუნებ?

- მაცალე, ბუჯო, ერთი თვე რაია და შენი რიგიც მოვა.

- იცოდე, ხვალვე დამიბრუნე, თვარა შენს მევალეებს ვეტყვი, ჭიჭიკიამ ვალი დამიბრუნა-თქვა.

* * *

თბილისის ფოსტაში წერილებს ახარისხებენ. ერთ-ერთ წერილზე გაკრული ხელით, მწვანე ფლომასტრით აწერია - თოვლის ბაბუას. ყველას გაეღიმა, იფიქრეს ბავშვი წერს, ვნახოთ რა არისო:

- გამარჯობა თოვლის ბაბუ, მე ლევანი ვარ, 10 წლის, მშობლები დამეღუპა. ბებიას და ბაბუას ძალიან უჭირთ. სკოლაში სიარული მინდა, მაგრამ გარეთ ცივა, ტანსაცმელი კი არ მაქვს. თუ შეგიძლია თბილი პალტო, თბილი ქუდი და კაშნი გამომიგზავნო...

კინალამ აეტირათ ფოსტაში, საწყალი ბავშვი, დედ-მამა არ ყავს, სწავლა უნდა და ტანსაცმელი არ ააქვსო. მოდი, ფული შევაგროვოთ და ვუყიდოთო.

წავიდნენ ბაზრობაზე, უყიდეს თბილი პალტო, ქუდი, მაგრამ კაშნის ფული არ დარჩათ. შეფუთეს, გაუგზავნეს იგივე მისამართზე და ერთი კვირის შემდეგ მიიღეს წერილი. ყველას გაუხარდა, მოგროვდნენ და კითხულობენ:

- დიდი მადლობა თოვლის ბაბუ, მივიღე შენი გამოგზავნილი თბილი პალტო, თბილი ქუდი, მაგრამ კაშნი არ იყო. ეტყობა ფოსტაში მოიპარეს.

* * *

- ბიკენტიამ ახალი სიტყვა თქვა მეცნიერებაში, - ამბობს ჭიჭიკია.

- რა ქნა ასეთი, - ჰკითხეს მეგობრებმა.

- რა ქნა, ჩემო ბიძია, და გააუქმა ბანკეტი დისერტაციის დაცვის შემდეგ.

* * *

- რა იყო, შენთვის ღმერთს თმა დაენანა?

- არა, წითური შემომთავაზა და უარი ვუთხარი.

* * *

ზარი კარზე. გააღეს და ზღურბლზე კაცი დგას.

- მე პიანინოს ამწყობი ვარ.

- მე არ გამომიძახებიხართ?!

- ვიცი, თქვენმა მეზობლებმა გამომიძახეს.

* * *

ჭიჭიკიას ეკითხება შვილი:

- მამა, რას ჭამ?

- სადაა შვილო საჭმელი, გეიწი იქით, ვამთქნარებ.

* * *

ექვსი თვეა მიხო ამერიკაშია. შევიდა რესტორანში და მიმტანს ეუბნება: - ახლა მომიტანე დამწვარი ლობიო, დაახეთქე მაგიდაზე და მითხარი - შეხეთქე!

- რატომ?

- ეე, სახლში ყოფნა მომენატრა!

* * *

- პოლკოვნიკო, სადილი მხოლოდ ნახევარ ასეულს ჰყოფნის.

- გასაგებია, შეტევის შემდეგ ვისადილებთ.

* * *

ჭიჭიკია ეუბნება ბიჭიკიას:

- გახსოვს, ბონდიიე რომ ცხოვრობდა ციხის წინ?

- ჰო, მერე?

- ახლა კი თავის სახლის წინ ცხოვრობს!

* * *

ცხრასართულიანი სახლის ლიფტთან ჩოჩქოლია. ახალგაზრდა ქალმა ლიფტში იმშობიარა - იქით ბავშვი ჩხავის, აქეთ დედა.

- ნუ გეშინია, შვილო, ახალშობილი კარგად არის, მშვენიერი ბავშვია, - ამშვიდებს ქალი.

- მომეჭრა თავი! ლიფტში ვიმშობიარე! - ვერ აჩერებენ ახალგაზრდა დედას.

- მერე რა მოხდა, შვილო, უარესებიც ხდება. ამ ორი წლის წინ ქალმა ავტობუსში იმშობიარა.

- ის ქალიც მე ვიყავი! - უმატა ტირილს ქალმა.

* * *

- მე ძალიან რთული ბავშვობა მქონდა, სანამ ხუთი წლის გავხდებოდი, სულ მეგონა, რომ „გაჩუმდი“ მერქვა.

* * *

პოეტი მიმართავს თავის მეუღლეს: - ვეძებ და ვერ მიპოვია ჩემი საუკეთესო ლექსი, ალბათ, ჩვენმა გოგონამ დაწვა.

- ნუ ამბობ სისულელეს, ბავშვმა ჯერ კითხვა არ იცის და რატომ დაწვავდა?!

* * *

- ქსენია, სულაც არ მომწონს, ასე მოკლედ რომ იჭრი თმას.

- მე მომწონს შენ რომ ყოველდღე მელოტდები?

* * *

მიხო ადის ავტობუსში. მძღოლი ეჩხუბება: - რამდენჯერ გითხარი, კაცო, ცხვარი არ შეიძლება ავტობუსში-მეთქი!

- ესა ცხვარი არაა, მაღარიჩია, ცხვარი თბილისშია, ინსტიტუტში სწავლობს, - აუხსნა მიხომ.

* * *

კადრების უფროსი ქუჩაში თანამშრომელს ხვდება:

- რას ჰგავს ეს? თქვენმა ძმამ ახლახანს დამირეკა და მითხრა, რომ საავადმყოფოში დაგაწვინეს.

- იდიოტი, ხვალ უნდა დაერეკა.

* * *

მილიონერის დაბადების დღეა. დილით მისი ცოლი გადის აივანზე და ხედავს - ქალაქის თავზე ულამაზესი ცისარტყელაა.

- ჰო, ასეთ სისულელეებზე ფული არ ენანება.

* * *

- ჩემო საწყალოო! - დასტირის ქმარს ცოლი, - რა უდროო დროს წახვედი! წახვედი და არაფერი დაგრჩა!

- როგორ არ დარჩა, ქალო! - იდაყვი გაჰკრა მეზობელმა ქალმა, - ქალიშვილი ხომ დარჩა?

- არაა ეგაა მაგისიიი!

* * *

- ხოდა, ჩემო აფრასიონ, - ეტრაბახება ერთი მონადირე მეორეს, - შენ ხომ გახსოვს, ბაქოს ტყეებში რომ წავედი ათი წლის წინ სანადიროდ.

- კი, რავა არ მახსოვს, მერე?

- რა, მერე... მოვხვდი მუსლიმან კაციჭამიებში, მეორე მხრიდან გამოვიდნენ ებრაელი კაციჭამიები.

- კი მაგრამ, როგორ გადარჩი შეჭმას?

- რაც მე მაშინ ვიღრუტუნე!

ნიუ-იორკში გამართული პირველი პოეზიის საღამოს შესახებ მოგვითხრობს ეს მცირე ფოტო-რეპორტაჟი.

დათა აჯიაშვილი

სატრფიალო

ნუშისთვალავ, ატმისფერო
როგორ მინდა მოგეფერო!
ვარსკვლავის და მთვარის დარო,
მინდა ზღაპარს შეგადარო!
გულს სიცოცხლე უხარია,
მიზეზიც აქვს გასახარი –
ბედისწერამ შემახვედრა
ქალი, გაზაფხულის დარი.
ჩემს სიხარულს წვიმა აწვიმს,
სიხარულით დაჰქრის ქარიც,
უხარიათ, რომ ვიპოვე
ქალი, აღმავალ მზის დარი.
მთელი ღამე მე და მთვარემ
ხეტიალში გავატარეთ,
რაც რამ ლამაზს შევეყარეთ –
სულ ყველა შენ შეგადარეთ,
შენი დარი ვერსად ვპოვეთ,
თუმც ქვეყანა მოვიარეთ.
ბოლოს, მაინც შენი სახლის
ქუჩაზე შემოვიარეთ.
მშვენიერო, ბროწეულის
ყვავილების ფერის დარო,
სულს სწადია, კიდევ უფრო
ძლიერად რომ შეგიყვარო.
მსურს, რომ წუთისოფლის ქაქი
შენთან ერთად გავატარო,
თუ მოკვდები, მინდა, მიწა
შენი ხელით დამაყარო.
ჩემს სიყვარულს მე ვერ დავთმობ,
არ მინდა, რომ გავეყარო,
ქალო, გაზაფხულის დარო,
მინდა ზღაპარს შეგადარო!
შენი დარი სხვა ვინ არის,
ვარდობისთვის ცისკრის დარო?!
გადღეგრძელებ საყვარელო,
ჩემი გულის ბინადარო!

* * *

ზოგჯერ ვფიქრობ – რატომაა,
რომ ცხოვრება ასე არის?
ზოგი მკვდარიც ცოცხალია,
ზოგი კიდევ ცოცხლად მკვდარი,
ზოგი ცვცხლის ალია,
ზოგი კიდევ – ფერფლი,
ზოგი მონადირეა,
ზოგი კიდევ – მსხვერპლი,
ზოგის გულში სიკეთეა,
ზოგის ფეთქავს მტრულად,
ზოგი ნაღდი ლომია,
ზოგი კიდევ – ტურა,
ზოგი ცოცხლობს მხოლოდ
ფრენით,
ზოგი კიდევ – ცოცვით,
ზოგი მხოლოდ ღვარძლით,
გესლით,
ზოგი კიდევ – ლოცვით.
ყველა მათგანს გასავლელი
გზა აქვს მხოლოდ ერთი,
ყველას ერთნაირად ხედავს
მოსამართლე – ღმერთი.

ზვიადი ინასარიძე

ვაჟკაცი ბიჭი საღარა

ვინც ერთი ცრემლი დაღვარა,
შავ ტაიჭს იჯდა საღარა,
დაუკრა ბუკი, ნაღარა
და ცრემლით ღაწვი დაღარა.
ვინაც სამშობლოს გულისთვის,
თმაში იჩინა ჭაღარა,
მის ტკივილს თვისად იტევდა,
გული ფიქრებით დაღალა.
დაღვრილ სისხლს მადლად მიიღებს,
ზეცას ვაჟკაცი საღარა,
ვინც ძმობას შეეწირა და...
სიცოცხლე სანთელს ადარა.
ქვე კი სდიოდა ღვენთები,
ქართულს მიწაზე, ღვა-ღვარა.

ვაზი ჯვრისა და ჯვარი ვაზისა

მაშ დაგვეკარგა ძველი საუნჯე?!
მაშ აღარა ვართ ქართველნი ღვთისა?!
ან დაგვავიწყდა სვეტიცოველის
მადლი ძლიერი, ცოცხალი ხისა?!
შენ ასე ფიქრობ? შეძცდარხარ ძმაო!
ქართველს ვერ გასტეხს მაცდური ენა,
ოქროს, ბრილიანტს მას ურჩევნია,
თუნდ ღარიბულად ოჯახში ლხენა.
თუ ბევრი ჰყავდა წარსულში შვილი,
განა დღეს ლოცვამ გვივიწყა მათმა?!
ისე იმრავლებთ მაღლე რჩეულნი,
ამას ფიქრობდეთ – „რა უნბათ დათბა".
დათბება სწორედ, ეინვა კი წავა,
დამაზრზობელი სულისაც ხორცთან,
გადაიერება ზამთრის ღრუბლები
და აღმოჩნდებით გოლგოთის ბორცვთან.
იმედს ნუ კარგავთ კეთილნო გულნო,
დღეს ხომ ქართლოსი თქვენთა ფეთქავს,
მალე მორჩება ტანჯვა-წამება,
ბოროტ გულებს კი შურები ხეთქავს.
არწივი მაშინ ცალ ფრთას ითრევდა?!
ამ ერთს უმატებს უფალი ხუთსა!
ექვსფრთიან მთაჯრებს კი რა გაუძლებს,
არ დაემართოს კეთილი ცუდსა.
მანამდის ცოტა ითმინე ერო,
სანამ ბოლომდის ეახლო ქალწულს,
იოანე კი გამოგვიგზავნის,
თავის ჰრეველ და საყვარელ ნათლულს.
ნიკორწმინდაში კვლავაც გვეხილოს,
ლაღი სრულება მკვეთრი ხაზისა,
სამშობლოვ ჩემო, გფარავდეს მარად,
ვაზი ჯვრისა და ჯვარი ვაზისა...

თიკო მაჭავარიანი

სახლი

გზაგასაყარზე მე მდგარმა ხშირად,
დავფიქრებულვარ – თუ სად მაქვს ბინა?
შიშშეჰერობილი მუხლზე დავმდგარვარ,
ჰირჯვარს ვიწერდი –
ღმერთო, სადა ვარ?
ნაცნობი არ სჩანს, სუნიც უცხოა,
ხალხს ფერი არ აქვთ, თან უფორმოა,
კითხვები ჰასუხს აღარ ითხოვენ,
თითქოს ამ გზაზე ყველას იცნობენ.
დაკარგულია ასაკი, სქესი,
არ არის სევდა და არც ეგო მესი,
ყველა შენია და ყველასი შენ ხარ,
მერქანმოცლილი შიშველი ხე ხარ,
დრო უძლურია და ვერრას გაკლებს,
თუ მართლა გიყვარს, იპოვი კარებს!
გზაგასაყარზე ახლაც მე მდგომმა,
უფალს შევთხოვე კვლავ თანადგომა,
დაბრუნებულმა რომ ვიცნო ბინა,
თავი რომ ვიგრძნო – დავბრუნდი შინა.

* * *

როცა სიჩუმეს გავეცალე,
ვფიქრობ გონებით,
სხეულში ლღობა გავიცადე
ჩემი გრძნობებით,
კალმით ფურცელზე მძიმედ
დავდგი ფიქრთა ლოდები
და შენში ჩემი გზები ვნახე –
ნუ დაღონდები!
მე ვერ ავღწერე მზე და მთვარე –
რად მაგონდები?
ფერთა გამაში სიტყვის ძალამ
შექმნა გორები,
სუნთქვა ნამვებში და სამოთხე
გაქრა ობები,
როცა სიჩუმეს გავეცალე,
ვფიქრობ მოვედი!

ნანა მეფარიშვილი

ვარსებობ, ჯერ კიდევ იმედი აქ არის,
ფერადი სიზმრები ცრემლებით გავლეშე.
შენთან მაქვს სიცოცხლის ციმციმა ლამპარი,
აქ კი ვარ ფრთებით და ოცნების გარეშე.
არადა ვფრინავდი, ვუსწრებდი ბედურებს,
იქ, მთებში, ბუდეც კი შეკარი იმედით.
ვინც შენ არ დაგტოვა,
ვაღმერთებ ერთგულებს,
ვინც საგზლად იკმარა სინათლე მცირედი.
ნამიან ტყეებში გავფინე რითმები,
გაბუტულ მუზებთან კამათი აღარ ღირს,
უსულო სხეულით ლექსად ვერ ვითქმები,
დუდუნიც არ მესმის მტკვრისა და არაგვის.
ვინატრებ თბილისის ღამეს და ალიონს,
მისი მზე ცრემლებლად
ყელში მაქვს გაჩრილი,
უმწეო ლექსებმა სიცოცხლე გალიოს,
ოღონდაც თავს მადგეს

მთაწმინდის აჩრდილი.
შეშლამდე ავიკლებ ხმაურით სამეაროს,
თუ შენთან განგებამ შეხვედრა მაღირსა,
სული რომ სხეულთან სიმღერით გავეარო,
უმწეოს მომეცით წეალობა ამისა.
ერთ მუჯა მიწაზე გადავფენ იმედებს,
მუხლებით მივირბენ იქ –
დედის ლოგინთან,
მოვალ როს უფალი წეალობას ინებებს
და ქუჩებს მხურვალე კოცნებით მოგირთავ.

გმადლობ, უფალო!
მუხლებზე ვდგები და შეგწირავ მადლობას,
უფალო, რამდენჯერ შემეარე სიხარულს.
მომასწარ უამრავ დარსა თუ ავდრობას,
შეძენის წეალობას, დაკარგვის სინანულს.
რამდენჯერ დილის მზით სარკმელი ამინთე,
ვარსკვლავით მოჭედილ მთვარიან ღამისთვის,
ლოდინით გადაღლილს შეხვედრით გამითბე
სული და – უფალო, მადლობა ამისთვის.
უმწეო ცოდვილი სიეარულს მაწვნიე,
ღიმილით შემჭიდე გრძნობათა ქარიშხალს
და როცა მატკინეს, ხელებში მარწიე,
შენა ხარ, ვინც ხელი არასდროს გამიშვა.
ლოცვებში ჩაღვრილი ეოველი ფრაზისთვის,
მეგობრის მზერისთვის,
ცრემლებს რომ მითვლიან,
თვალებთან გაბნეულ ეოველი ხაზისთვის,
ნაოჭად მიერილნი
ჩემს წლებს რომ ითვლიან.
რამდენი აჭრილით ამინთე თვალები,
ტერფებთან შემახე ნამიან ბალახებს.
ტაძართან თავდახრილს შემიღე კარები
და ცოდვილს შენდობის წეალობა მანახე.
ოქტომბრის ფერმორთულ აკვანში მაძინე,
იზრუნე შენგანვე ნაბოძებ სულისთვის,
მადლობა, უფალო, ბავშვი რომ მაცინე
და ეელში ჩაღვრილი დედის რძის სუნისთვის.
ხვალაც თუ მზის სხივმა ამინთო სარკმელი,
უფალო მადლობას ცრემლებით განიშნებ.
სულ ახლოს მატარე, ბევრი მაქვს სათქმელი
და შენგან განვარდნად
ნურასდროს გამიშვებ.

ზურა სალუქვაძე
ისე როგორც სამშობლოში...
სიმართლის ფასს ვერა გასტეხს,
ასეთია კაცის ბედი,
ჩემი ქვეენის ჯერ სადარი
ვერ მოვძებნე სადმე ხედი.
ვერ ვიგრძენი ის ჰაერი,
სიოდ რომ ქრის ჩვენთან მთაში,
ვერც ვარსკვლავებს შევწედი ხელით,
როგორც ჩვენთან სოფლის ცაში.
ვერც ის მრავალეამიერი,
ქართველებს რომ გვაქცევს ერთად,
ისე, როგორც სამშობლოში,
ვერ ვიგრძენი ეს მე ვერსად!
ჩემს წინაპარს ჩემთვის მიწა,
სისხლით დაუბარებია,
სიშორეში უფრო მივხვდი,
თურმე როგორ მეეარებია.
მიჯირს სხვის მიწაზე ეოფნა,
სხვა ენაზე ლექსის სმენა,
მე ფრთებს მიშლის ჩემი ტკბილი,
საეეარელი დედა ენა.
ასეთია ჩემი გრძნობა,
ასეთია ჩემი ფიქრი,
ჩემი გული და გონება,
მუდამ სამშობლოში მიქრის.
სხვის ქვეეანას თუკი ვსტუმრობ,
არ გეგონოთ დამრჩენი ვარ,
აქ ეფასდები მხოლოდ იმით,
თუ როგორი ქართველი ვარ.
ლექსს კი კითხვით დავამთავრებ,
რითაც გული არ ერთობა, –
სამშობლოში ცხოვრება თუ?
სამშობლოსთვის ქართველობა?!

ღამე რომ იხატებოდეს...
ღამის სიმთვრალეში სიჩუმის
მელოდიას,
ფერები დაჰკარგვია...
უსასრულობაში,
სიბნელის ბატონობით ზეცა
ჩაკარგულა
მუქი ფერების უსასრულობაში.
წვდიადის სიღრმეული სიბრძნის
აკორდებით
ტალღების სისმაურის დუეტში
გარეულა,
საოცრად ვერცხლისფერი,
უზომოდ ვერცხლისფერი,
სხივები ფუნჯების ფერებში არეულა.
მთვარეს კი სწეენია სიბნელის
თავხედობა
და მზისგან დღის სინათლის
ნაწილი მოუპარავს –
ცოტა სიეარულის,
ცოტა რომანტიკის,
ფერებში გაუსნია და
ფერებში მოუხატავს.
სიბნელე სიმთვრალეში...
სიჩუმის მელოდიას,
ტალღების თქეშის ფონზე
რითმებად აჰეოლია,
ეველა მხატვარია,
ეველა მხატვარია...
ღამეს კი მთვარის გარდა...
მხატვარი არ ჰეოლია!

კობა სვანაძე
სევდის გუბურას,
ცრემლის დუმფარებს,
უნაზეს ძეწნას,
უფერო ფანქრით და დუნე ხელით
ვაქარგავ ღიმილს.
მთვარის სხივებში დაბუდებულ
ლოდინის ფეთქვას,
დროის სანთელზე დაღვენთილი
წამები ითვლის.
დაუფიქრებლად შევსვი სამსალა
დროის სასმისით,
აშლილ მარღვებში ლტოლვის
მდინარე სისხლად მქუხარებს,
შავ თვალთა სიღრმეს ვერ ივიწეებს
ვნებული სული,
და მონატრება უმწეო გზნებით
მკრთალად მდუმარებს.
ფიქრი რიალებს ფერფლისფერ ცაში
ვით უგზო ფიფქი,
უკვალოდ ვნებას რა გააქრობს
გულის კრატერში,
მოგონებები განფენილან
რუს აჩრდილებად,
ტრუბადურს ვკაკვარ, გზააბნეულს
– ავხორცს ჰარემში.
სულს ამშვიდებდა ნაზი ქროლვა
– ნატვრის ზღვაური,
უსაზღნო ძრწოლა შეათრთოლებს
ოცნების ხეებს,
შენს ბაგე-ღაწვთა ცეცხლისფერი
ჟინის ალმური,
უმალ გააქრობს, განაქარვებს
უფერო ცრემლებს....
* * *
სული მოკრძალებით თრთოდა,
თაღებს აბნელებდა დარდი,
ლოცვა, გალობა, ლტოლვა,
კვნესის არფა და ჰანგი,
თვალშეუდგამი ტალღა,
უფსკრულისებრი სიღრმე,
შენი თვალების სევდა –
ქვესკნელის შავი სივრცე.
ვბენა ქცეული სევდად –
მორთულხარ ვნების ხამლით,
ჩემი ფიქრების ნისლი,
ცა დაშანთული ტანჯვით.
ჩემი ოცნების ჰერავ,
ჩემი სამსხვერპლოს კერპო,
ჩემი გრძნობების ნიმფავ,
ჩემო ხატო და ღმერთო!

დავით ჯანყარაშვილი
მე ჩემი ხალხის სუნთქვა ვარ
მე ჩემი ხალხის სუნთქვა ვარ,
ლხენა ვარ ქართველთ ენისა
ჩემი წარსულის სულთქმა და
ღელვა მომავლის გენისა.
ქართველის დაბადება ვარ,
იმ ქართველის დედის მახდილი,
ომში მიმავალ ღვთისავარს,
რომ გაუნათა მანძილი.

რა დრო გასულა, ვბერდები,
უკვე დიდი ვარ მე ხნისა,
მაგრამ კვლავ ავღიღინდები,
თუ გამარჯვება მეღირსა.
თუ მალე გამოიდარებს,
ჰირმოქუფრული ბუნება,
თუ დროზე გამოვიჯარებთ
და უფალმაც ინება –
ისევ ავანთებთ სიცოცხლეს,
ქართლოსიანთა გვარშია,
კიდევაც გავიჯეჯილებ
ამ ჩემს მთასა და ბარშია!
თავს კიდევ ერთხელ მოვუერი,
აზვირთებულსა ლაშქარსა,
ქართველებს კვლავ ერთად შეეერი,
ბიჭებსა მაგარ-მაგარსა!
გვეეოფა მოთქმა-გოდება,
ხელი მოვკიდოთ თოფსაო,
ერთხელაც კიდევ გადვიხდი,
გადასახდელსა ომსაო!
ჩამოვიაროთ, ჩავკიროთ,
ციხე-გალავან-გოდოლი,
რომ ვედარ შემოგვეცილოს,
ურჯულო, თურქი-მონღოლი!
რომ ვეღარ დაბოგინებდეს,
კავკასზე უცხო ჩექმაო!
ვინც დამონებას გვიქადის,
იქით ვაწვნიოთ დელგმაო!
მოღალატეს და გამეიდველს,
ერთხმად ვაქციოთ ზურგიო,
მოვკვეთოთ საშვილიშვილოდ,
არ გაუტეხოთ ჰურიო!
ისევ ავლესავ ხეესურეთს,
ომში ნაქებსა გორდასა,
ეოფას ვუტირებ მომხვდურებს,
გადავუშენებ მოდგმასა!
ალალ სტუმარსაც მივიღებთ,
ავაღორძინებთ ნდობასა,
სიეკარულს გავეჯიბრებით,
ერთმანეთს ვიტეკვით ძმობასა!
მოგილბობთ გულებს დაჩაგრულს,
გეტეკვით სიმღერას საამურს,
ჩამოვკრავ ფანდურს და ჩანგურს,
ამოვაკვნესებ სალამურს!
მარადის ვცემდეთ თაეკანსა
წვენსა ნაკურსა ვაზისას!
მუდამ ვარწევდეთ აკვანსა,
ენისას ფარნავაზისას!
შემოვუნახოთ მომავალს
წინაპართ ნაამაგარი,
მერმე დავსხდეთ და დავმახოთ:
,,ნამგალი, ბიჭო, ნამგალი!"
მე ჩემი ხალხის სუნთქვა ვარ,
მღერა ვარ ქართველთ ენისო,
იქნებ, როდესმე გულდამწვარს,
მეც გამარჯვება მეღირსოს.

მუსიკა, ჰანგი და ჰარმონია

მუსიკა, ჰანგი და ჰარმონია
მიფორიაქებს სულს და მგონია,
ისევ ავიკრეფ კალთებს ჩოხიანს
და შევუეკები აღმართს გორიანს!

შეეეჭიდები გოლიათს მაღალს,
შეეერკინები თუნდ მთელს მთიანეთს,
ჩემს დროშას ისევ ავიტან მაღლა,
ჩემი სიმართლით ავაფრიალებ!

ერთ ქართველს მთაზე ფეხი შეუდგამს,
შექანებულა მთა და გორია,
მეორეს სიტეკა ისეთი უთქამს
სხვათა ნათქვამი მონაჯორია!

ქართული ჰანგის სმენით დავმტკბარვარ,
ქართული სუფრის ვარ მოტრფიალე,
ქართული რითმის ეშხით დავმთრალვარ,
ქართული სიტეკის ვარ მატიანე!

მკლავზე დავიხვევ მე ეველა აღმართს,
ისევ დავიჰერობ ახალ მწვერვალებს!
ქართული გენი ვერ იტანს დაღმართს,
ის სიმართლისთვის იღწვის,
მღელვარებს!

ცნება უფლისა მე დროშად მახლავს,
ჩემი მეობაც მისით მქონია,
ისევ ღვთისაგან შევიტეობთ მართალს,
სხვა ეველაფერი მონაგონია!

მუსიკა, ჰანგი და ჰარმონია
მიფორიაქებს სულს და მგონია,
ისევ ავიკრეფ კალთებს ჩოხიანს
და შევუეკები აღმართს გორიანს!

თამარ ჯაჭვაძე

ფერები

მაღიზიანებს ლურჯი ფერი,
რადგან ამ ფერით ზღვა არის ჩემში,
მაღიზიანებს ეკითელი, რადგან –
მიეკარს ვარდები ეკითელი ფერის.
ხმელი ფოთლები მაღალი ვერხვის,
მაღიზიანებს შავი, რადგანაც –
შავი ეოველთვის იწვევდა ტკივილს.
თეთრიც არ მიეკარს, რადგან ხანდახან,
იწვევს უაზრო, სულელურ სიცილს.
არ მომწონს მწვანე, რადგანაც ჩემში
ასოცირდება ის, როგორც მკვახე,
ანდაც იმიტომ, ამჟამად ეოფილს,
ძლიერ უეკარდა ეს ფერი – მწვანე!
მაღიზიანებს ფერი ნაცრისა,
ანდაც უბრალოდ სულ ნაცრის ფერი.
თითქოს შავ-თეთრი ფოტოა იგი –
ლამაზი, მაგრამ არაფრის მთქმელი.
მე არ მაღელვებს ფერი ცისფერი,
ან ვარდისფერი ან ხაკისფერი,
მე მხოლოდ ერთი მაღელვებს მუდამ
სამშობლოს ზეცის და დროშის ფერი!

რედაქციისაგან:

ამ გვერდებზე თქვენ ახალგაზრდა თუ დამწყები პოეტების მოკრძალებულ პოეტურ სტრიქონებს გაეცნობით.

წაიკითხავთ და კიდევ ერთხელ დარწმუნდებით, რომ მამულის სიყვარული და მონატრებაა ის მუხტი, რამაც თითოეულ მათგანს ხელში კალამი ააღებინა.

ჩვენ ხელუხლებლად, ყოველგვარი შესწორებების გარეშე, გთავაზობთ ამ სტრიქონებს, როგორც მათი სულის უტყუარ ანარეკლს და პირველ ნაბიჯებს ემიგრანტული პოეზიის ლაბირინთებში.

მატარებელი

მატარებლებად დაიეო სიცოცხლე,
გზებად დაირღვა რამდენი წელი...
და ტელეფონის შნურში მორბიან
დღეები ჩემი, ფიქრები ჩემი.
სადღაც ათასი წვიმის წვეთს იქით,
სადღაც – ათასი ფანტელის მიღმა,
მიედინება სიცოცხლე ჩემი,
მიედინება უჩემოდ, მშვიდად.
და მარტოობის ბოროტი ხელი
ისევ მიმათრევს უცნობი გზებით,
იქ – დღეს მზიანი დილა გათენდა,
აქ – ისევ უძილო ღამეში ვდნები.
ათასი წვიმის წვეთის გადაღმა
ათასი სხივი ათბობს ჩემს ქალაქს.
მე კი სრულიად უცხო ქალაქში
სევდიან ფიქრებს ვიხურავ საბნად.
და მონატრების ბალიშში ჩარგულს
მე ნოსტალგიის მცვივა ცრემლები,
მოგონებების თაროს ვალაგებ,
მსურს კიდეს მივწვდე,
მაგრამ ვერ ვწვდები.
ჩემი გრძნობების ბიბლიოთეკა,
სავსეა ძველი, ჭრელი წიგნებით,
მოგონებებით დახუნძლულ თაროს
ათრთოლებული ხელით ვეხები.
ლიანდაგებად დაიეო სიცოცხლე,
მიეკარს, მე მიეკარს მატარებელი!
და მომღიმარი სახით დავდიკარ
ცხოვრების მგზავრი, დამსვენებელი.

ალექსანდრე (ნუკრი) ნიშნიანიძე ერთი ჩვენთაგანია, 2002 წლიდან ნიუ-იორკში რომ იზიარებდა სამშობლოდან შორს წასული ემიგრანტის ხვედრს. მამულის უსაზღვრო მონატრებამ დააწყებინა მას ხატვა...

... და ხატავდა ნიკორწმინდას, თბილისის ძველ უბნებს, მშობლის ლოდინს, საკუთარი სარკმლიდან დანახულ ნიუ-იორკსაც კი.

გასულ წელს იგი სამშობლოში დაბრუნდა.

წასვლამდე კი მისი ნამუშევრებიდან ეს სამი ნახატი ამერიკაში გამომავალი ქართული გაზეთის „მამულის“ რედაქციას უსახსოვრა. ჩვენ ახლა მოგვეცა საშუალება გზა დავულოცოთ და მადლობა მოვახსენოთ ჩვენს უძვირფასეს მეგობარს, დიდებულ ქართველს.







თარაზულად:

1. ოსკარ უაილდი „... გრეის პორტრეტი“; 2. გუინპლენის სატრფო „კაცი, რომელიც იცინის“; 3. ბერნარდ ალბას ერთ-ერთი ქალიშვილი; 4. „... ვიყავ მწვერვალზე ვიდეგ, თვალწინ მეფინა ქვეყანა“ (ვაჟა); 5. ავტორი რომანებისა „ლაშარელა“, „ყორნალი“; 6. რუსი პოეტი, ავტორი პოემისა „რუსი ქალები“; 7. ეს ფრანგი მწერალი ხოტბას ასხამდა 30 წლის ქალს, და ძლიერ უყვარდა ყავა, რომელსაც უზომო რაოდენობით მიირთმევდა; 8. ძველი ბერძენი პოეტი (ძვ.წ. მე-2ს.); 9. ქართველი მწერალი, ავტორი რომანებისა: „მეშვიდე ცა“, „თვალი პატიოსანი“; 10. ერთი-ერთი გოჭი ცნობილი ზღაპრიდან; 11. მე-9 საუკუნის ბიზანტიელი პოეტი ქალი; 12. ამ ქალბატონის ლიტერატურულ სალონში დაიბადა ჟურნალ „ცისკრის“ დაარსების იდეა, ეს არის მანანა ანუ ... ორბელიანი; 13. რობინზონ კრუზოს თავგადასავალის ავტორი; 14. გერასიმეს ძაღლი; 15. ჰემინგუეი „მშვიდობით ...“; 16. ქართველი მწერალი, დრამატურგი, ავტორი ისტორიული რომანისა „გიორგი რუსი“; 17. ამ მწერლის ნამდვილი გვარია მამულაიშვილი; 18. დარტანიანის სატრფოს კონსტანციას გვარი; 19. მსაზღვრელი სიტყვა, რომელიც დაერთვის საგნის სახელს; 20. ჰამლეტის სამშობლო; 21. „... ვარდი შევნიშნე, ობლად რომ ამოსულიყო“ (აკაკი.); 22. ფრანგი მწერალი (მე-20 ს.) რომლის ნამდვილი სახელი და გვარია ანრი ლუი ბურიიონი; 23. ბერძენი მწერლის, ქსენოფონტის თხზულება ალექსანდრე მაკედონელის შესახებ.

შვეულად:

24. ქართველი მწერალი ქალი, რაფიელ ერისთავის და, ავტორი დრამისა „შური ბარბარე ...“; 25. თხრობითი ლიტერატურა; 26. ჩხიკვი, რომელიც ჩხიკვ ქეთევანზე იწერდა ჯვარს; 27. იტალიელი მწერალი, სცენარისტი; 28. მთავარი პერსონაჟის სახელი შოლოხოვის რომანიდან „წყნარი დონი“; 29. ედგარ ... პო; 30. ქართველი მწერალი, ავტორი პოემისა „ვაზის ტირილი“; 31. ... თვალს, რომ მოშორდება გული გადასხვაფერდებაო (ანდ.); 32. ქართველი ენათმცოდნე ... კვაჭაძე; 33. ა. ანტონოვსკაია „... მოურავი“; 34. მეფე სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუისადან“; 35. მე-17 საუკუნის კიევის რუსეთის ძეგლი „ამბავი ... ლაშქრობისა“; 36. ფრანგი მწერალი, ნოველების ოსტატი („მატეო ფალკონე“, „კარმენი“, „ტამანგო“); 37. გრ. აბაშიძე, ლექსი „კაპიტანი ...“; 38. ქართველი პოეტი, ავტორი სტრიქონებისა „არის ასეთი ქვეყანა, მას საქართველო ჰქვია“; 39. იტალიელი პოეტი; 40. „ვინ ... გაიგებს ან ვინ რა იცის, რამდენჯერ ცხარე ცრემლი მდენია“ (ვაჟა); 41. გოეთეს ტრაგედია, რომელსაც თითქმის მთელი სიცოცხლე წერდა; 42. თანამედროვე ქართველი პოეტი, საქართველოს ახალი ჰიმნის ტექსტის ავტორი; 43. უზბეკი პოეტი, მოაზროვნე; 44. არგოსის ასული, პერსევსის დედა (მით.); 45. „ბაში-აჩუკის“ პერსონაჟი, ... ჩოლოყაშვილი; 46. წმინდანად შერაცხული ქართველი მწერალი წმინდა ... მართალი; 47. „... გავიარე, მსურს მოვიხედო და დავინახო მთისა ქედები“ (გალაკტიონი).

მამულის კალენდარი

შეხვედრა
კახი კავსაძესთან
ფილმის ჩვენება და სადილი

23 აგვისტოს, ფილადელფიაში
25-26 აგვისტოს, ნიუ-იორკში
28 აგვისტოს, ვაშინგტონში

ინფორმაციისათვის დარეკეთ:
917-803-7566



რომანტიული გასეირნება
საჰაერო ბუშტით
ხანგრძლივობა 1 საათი.
მზის ამოსვლამდე ან ჩასვლამდე
1 საათით ადრე, ვიდეოსერვისით
1-800-462-3201
ბილ.ფასი: $165, $195

შაბათს, 15 სექტემბერს, 7:30pm
ტრიო „საუნჯისა“ და
ნიკო ნადირაშვილის
საიუბილეო კონცერტი
Millennium Theatre in Brooklyn
718-615-1500; 718-615-1617
718-303-8888; 718-897-4500

ჯუსიკა

მეხვედრა

ბექა
ბოჩიაშვილის
CD ალბერიკული
პრეზენტაცია
For date:
www.bekagochiashvili.com

შაბათს, 1 სექტემბერს, 8pm
კოლხიდაშვილების
ოჯახი
მეგობრებთან ერთად
347-580-9155; 646-204-9154
129 West 67th St. New York

ჯაჭვაკა-ეჭსჭრეკი
11-წლიანი გამოცდილებით
როგორია შენი შემდეგი სვლა?
საჯაერო გადაზიდვები
ორივე მიმართულებით:
1 პაუნტი - 2.74$ (ჩვენს ოფისში მოტანილი)
1 პაუნტი - 2.95$ (სახლიდან სახლამდე)
საზღვაო გადაზიდვები:
1 პაუნტი - 0.91$ (ჩვენს საწყობში მოტანილი)
ავეჯი და დიდი ზომის ტვირთი ფასდაკლებით.
Location In Brooklyn:
164 Brighton 11 St.
Brooklyn NY 11235
Tel: 718-934-1700
Alt: 347-500-5037
Location In New Jersey:
123 Pennsylvania Ave Gate 3
Kearny NJ 07032
Tel: 201-333-5555
Location In Ohio:
9333 Reading Road
Reading, OH 45215